

ნორა ქვიციანის ადვოკატი სასამართლოს მიმართავს
A4



ჰეკმანი, ნიუმენი, პატარა იურგენი და ორი იქსი
C2



K2-ის ხუთი რუსი, ერთი ქართველი და ერთიც ირლანდიელი
C1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 1 აგვისტო, 2006 წელი. №171 (1323)

ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## პოლიტიკა

### ისრაელის კომენტარი ქანაში მომხდარ ტრაგედიაზე

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური კომენტარს აკეთებს 30 ივლისს ლიბანის სოფელ ქანაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაზე.

A3

## პოლიტიკა

### რუსეთი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება არ ირღვევა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანდრეი კუზნეცოვი აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში კიდევ ერთი აფხაზური მთავრობის გამოჩენა არავითარ ხელშეკრულებას არ არღვევს.

A3

## ამბები

### ბათიაშვილის საქმე სტრასბურგამდე მივა

ამბოხებულთათვის ინტელექტუალური დახმარების გაწევაში ბრალდებულის, უშიშროების ყოფილი მინისტრის, ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას აპროტესტებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ადვოკატი სოსო ბარათაშვილი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/08 | 2/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 37 |
| ბათუმი | 33 | 32 |
| სოხუმი | 33 | 32 |
| ქუთაისი | 37 | 36 |
| გორი | 31 | 32 |
| თელავი | 34 | 36 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2502 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2903 |
| რუბლი | 0.0658 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
თვალსაზრისი A 5
პროექტი A 6
რევიუ A 7
რევიუ A 8


# ისევე წარმატებით, როგორც კოდორში...

### ამერიკა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით იმედს გამოთქვამს

გიორგი ასანიშვილი

*ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზა, კოდორის ინციდენტის მოგვარების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეულ ძალისხმევას დადებითად აფასებს და იმედს გამოთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებიც ისევე წარმატებით მოგვარდება, როგორც კოდორის პრობლემა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*მეთიუ ბრაიზა: "ოფიციალური მოსკოვისა და სოხუმის განცხადებები ნამდვილად არ უწყობს ხელს მდგომარეობის მოწესრიგებას".*

# ამსუბუქებს თუ არა მთავრობის ნაბიჯები მეწარმეთა ზარალს?

### კიდევ ერთი შეღავათი დაზარალებული მეწარმეებისთვის

B

*რუსეთის მთავარი ანტისანიტარის მიერ დაწუნებული ქართული ღვინო და მინერალური წყალი ქვეყანაში გამარტივებული წესით დაბრუნდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ ორიოდე დღის წინ მიიღო.*



# სოფიკო - ГРУЗИЯ!




## კოდორის ოპერაცია და საქართველოს ურთიერთობა ნატო-სთან

*საქართველოში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზამ კოდორის ხეობაში განხორციელებულ სპეცოპერაციას წარმატებული და ეფექტური უწოდა. ასეთ მოსაზრებას ბევრი ავტორიტეტული ექსპერტი ეთანხმება. თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მიიჩნევს, რომ კოდორის ოპერაციამ და ქვეყნის გამთლიანებისკენ მიმართულმა მილიტარისტულმა ზრახვებმა, შესაძლოა, დააზარალოს საქართველოს ურთიერთობები ნატო-სთან.*

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად 24 საათისათვის*

რადიო "თავისუფლების" ინგლისურენოვან საიტზე გამოქვეყნდა ამერიკელი რიჩარდ გირაგოსიანის სტატია, რომელიც კოდორის ხეობაში მიღწეულ წარმატებას მოჩვენებითს უწოდებს და საქართველოს ხელისუფლების ორ მთავარ მიზანზე აკეთებს აქცენტს. მისი აზრით, თბილისის პირველი მიზანია ხეობაში მართვის უფლების გადაცემა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისათვის, რაც, თავის მხრივ, მკაცრ გზავნილს წარმოადგენს სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის.

"კოდორის ხეობამ მხოლოდ ხაზი გაუსვა საფრთხეს, რომ თბილისი აფხაზეთისა და ოსეთის მოუგვარებელ კონფლიქტებში სამშვიდობო მოწესრიგებიდან სამხედრო-ძალისმიერი პროექტისაკენ იხრება. თუმცა, საქართველოსგან განსხვავაებით, რომელიც ფიქრობს, რომ სწრაფი წარმატება კოდორის ხეობაში კიდევ ერთი დადასტურებაა ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის მზაობისა, ალიანსისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის და შეტევითი პოტენციალის დამტკიცებისა, არ უდა გამოყენებულიყო დაუმორჩილებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ," - წერს გირაგოსიანი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## უნარ-ჩვევების გამოცდის შედეგები

ეკა ჯანაშია

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა მედიაცენტრმა გუშინ ზოგადი უნარების გასწორებული ტესტები ინტერნეტში (w.) გამოაქვეყნა. ამ მისამართზე ყველას შეუძლია ნახოს საკუთარი ტესტების შედეგები და დაადგინოს, მოხვდება თუ არ იგი სახელმწიფო გრანტების სისტემაში.

ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი უნარების შედეგები მას შემდეგ გახდა, რაც მთავრობამ სწავლების დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში 6 მლნ 500 ათასი ლარი გაითვალისწინა. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო გრანტს მიიღებენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც ზოგად უნარებში მაღალ შეფასებას მიიღებენ.

შეფასებისა და გამოცდების მონაცემთა ბაზის მენეჯერმა დავით ჭანკოტაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ამ ეტაპზე იმის თქმა, ვინ რა დაფინანსებას მიიღებს, შეუძლებელია. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სახელმწიფო გრანტი ოთხად გაყო - აბიტურიენტებს სახელმწიფო დააფინანსებს 100, 70, 50 და 30 პროცენტით. შესაბამისად, თითოეულ ეტაპისთვის გამოყოფილია 1,5 მლნ ლარი. **"შეფასებისა და გამოცდების ცენტრში დაფინანსება შემდეგნაირად განაწილდება - დათვლა დაიწყება მაღალი ქულებიდან და სადაც გათავდება მილიონ ნახევარი, იქ შეწყდება 100-პროცენტიანი დაფინანსების ეტაპი. შემდეგ 70-პროცენტიანი დაფინანსების მომპოვებელთა ვინაობა გაირკვევა და ა.შ."** - განმარტავს ჭანკოტაძე.

კითხვაზე, თუ რამდენი ქულა იქნება საკმარისი ამა თუ იმ სახით სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად, მან ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდო ქულების დასახელება შეძლო - ვინც უნარებში დააგროვა 85 "მშრალი" ქულა ("მშრალი" ქულა ნიშნავს პირდაპირ, ყოველგვარი სკალირების გარეშე დათვლილ ქულებს) და მეტი, მიიღებს 100-პროცენტიან დაფინანსებას. 76-დან 85-მდე ქულის პატრონები მოხვდებიან სახელმწიფო გრანტის 70-პროცენტიანი დაფინანსების ბადეში და ა. შ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კოდორის ხეობაში ფინანსური პოლიციაც შევიდა

კოდორის ხეობის ზედა ზონაში პოლიციური ბლოკ-საგუშაგოები შეიქმნება. ჩვენი ინფორმაციით, დაგეგმილია ხეობაში ასეთი რვა საგუშაგოს განთავსება, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იმორიგევებენ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ხეობაში რჩება პოლიცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კანონიერება, სპეცდანიშნულების რაზმები კი ხეობას ტოვებენ.

გარდა ამისა, კოდორის ხეობაში ფინანსური პოლიცია შევიდა. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელოს სამმართველომ დალი-კოდორის ხეობის სოფლების გამგეობების შემოწმება დაიწყო.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, საქმე ჰუმანიტარული ტვირთების და სხვადასხვა სახის დახმარებების მითვისებას ეხება. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფინანსური პოლიციის თანამშრომლები გამგეობებიდან საბუღალტრო დოკუმენტაციას იღებენ. მას კომპლექსური რევიზია ჩაუტარდება.

**"რევიზიის დასრულების შემდეგ განისაზღვრება მითვისებული და გაფლანგული თანხის ზუსტი ოდენობა. ამასთანავე, გამოიკვეთება კონკრეტულ პირთა ბრალეულობის საკითხებიც",** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით არის დაწყებული, რაც მითვისებას ან გაფლანგვას გულისხმობს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე შპს "კოდორის გზის" საქმიანობის წინასწარი გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიცია ფირმის ხელმძღვანელობას დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვას ედავება.

*24 საათი*

# უნარ-ჩვევების გამოცდის შედეგები

პირველი გვერდიდან

თუმცა, ეს მხოლოდ თეორიული ვარაუდებია და დაბეჯითებით ამ ეტაპზე რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. საბოლოო სურათი ტესტების შედეგების შემოწმების შემდეგ გაირკვევა.

100-პროცენტიანი გრანტის მფლობელ სტუდენტს სახელმწიფო წელიწადში სწავლის გადასახადის სახით 1500 ლარს გადაუხდის, 70-პროცენტიანი გრანტის მფლობელს - 1050 ლარს, 50-პროცენტიანს - 750 ლარს, 30 პროცენტიანს - 450 ლარს.

ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ჯერჯერობით მხოლოდ უნარების ტესტების შედეგებია გამოკიდებული. დანარჩენი საგნების შედეგები ინტერნეტში 15 აგვისტომდე დაიდება.

როგორც ცენტრის კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა ია კუტალაძემ გუშინ ეროვნულ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზოგად უნარებში საგამოცდო ტესტის ოთხი ვარიანტი იყო შემუშავებული. პირველი ვარიანტით გამოცდა 7864-მა, მეორე ვარიანტით 7900-მა, მესამე ვარიანტით 7842-მა, ხოლო მეოთხე ვარიანტით 7887-მა აბიტურიენტმა ჩააბარა. შარშანდელისგან განსხვავებით, ზოგად უნარებში უმაღლესი შეფასება 100 ქულა არც ერთ აბიტურიენტს არ დაუგროვებია. 99 ქულა კი მხოლოდ ორმა აბიტურიენტმა მოიპოვა. 80-დან 99 ქულამდე სულ აბიტურიენტთა 5-მა პროცენტმა, 41-დან 60 ქულამდე კი 40-მა პროცენტმა დააგროვა. მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარი ანუ 15 ქულა ვერ დააგროვა აბიტურიენტთა 0,97-მა პროცენტმა.

# ახალი ძველი სკოლა

ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის N2 საჯარო სკოლა ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა გურიაში. ბუნებრივია, წელთა სიმრავლემ თავისი კვალი დაამჩნია შენობას. ყოველწლიური კოსმეტიკური თუ სხვა სახის მცირე რემონტი სკოლას ველარ შველოდა და ლამის დანგრევის პირას იყო მისული. წლევანდელ 1 სექტემბერს კი მეორესკოლელები სრულიად გარემონტებულ და რეაბილიტირებულ სკოლის შენობაში შეხვდებიან. საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის შესაბამისად, უკვე ერთ თვეზე მეტია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სკოლის ორივე კორპუსის აღდგენა-განახლების სამუშაოები, შეიცვალა კარფანჯრები, იატაკი, სახურავი, შეილესა გარე და შიდა კედლები. სკოლის რეკონსტრუქციაზე შპს "ამაღლება 98"-ის 8 სამშენებლო ბრიგადა მუშაობს. როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების უფროსი ინჟინერი რომან გიორგაძე აცხადებს, თუ სამშენებლო მასალების მოწოდებაში შეფერხებები არ იქნება, მეორესკოლელები ახალ სასწავლო წელს განახლებულ შენობაში შეხვდებიან. ასე რომ, სულ მალე ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლის შენობა, რომელიც 1938 წელსაა აგებული, ხელახალ ცხოვრებას დაიწყებს.

# ოზურგეთში სატელეფონო სადენების ქურდობის ბუმია

არცთუ დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ოზურგეთის რაიონში ახალი ციფრული სატელეფონო ქსელი ამოქმედდა. ე.წ. ატეეს-ი ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, წარსულსავე ჩაბარდა გაუმართავ მუშაობასთან დაკავშირებული ნერვთა წყვეტა. თუმცა ახალი სატელეკომუნიკაციო საშუალებაც შეიძლება ნერვიულობისა და დავიდარაბის საგანი გახდეს. უკანასკნელ დღეებში ფერად ლითონებზე ფასების გაზრდის კვალდაკვალ დაიწყო სატელეფონო სადენების მასიური ქურდობა. საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიის ოზურგეთის ფილიალის უფროსის დავით იმედაშვილის განცხადებით, სადენების ქურდობა უმაგალითო მასშტაბებს აღწევს. მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში ქურდებმა სამი უბნის მცხოვრები 1500 აბონენტის ტელეფონი გამოიყვანეს მწყობრიდან, ასე რომ, მომხმარებლის თითქმის ნახევარი სატელეფონო მომსახურების გარეშე დარჩა. სამართალდამცავი ორგანოების ...მონდომების მიუხედავად, დამნაშავეთა დაკავება ჯერჯერობით არ მოხერხდა, როგორც ჩანს, მოქმედებს კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომლის წევრებიც სპეციალური ხელსაწყოებით არიან შეიარაღებული.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

# ახალგაზრდა პარლამენტართა კონფერენცია

*23-დან 28 ივლისის ჩათვლით ბათუმში ახალგაზრდა პოლიტიკოსთა კონფერენცია მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი პარლამენტარები, რომელთა ასაკი 35 წელს არ აღემატება. "ჩვენ გვჯერა დემოკრატიის და თავისუფლების", - ამ თემის გარშემო მსჯელობდნენ ახალგაზრდა დეპუტატები. კონფერენციის მუშაობა კოდორში განვითარებულ მოვლენებს დაემთხვა, რის გამოც ღონისძიება მედიის ყურადღების მიღმა დარჩა. "24 საათმა" რამდენიმე შეკითხვით მიმართა კონფერნციის ერთ-ერთ ინიციატორს, პარლამენტარ ბიძინა ბრეგაძეს.*



**- ვის ეკუთვნის ახალგაზრდა პარლამენტართა შეკრების იდეა?**

- ამგვარი იდეა მე და ჩემს კოლეგებს - ირაკლი ქავთარაძესა და დავით კირკიტაძეს გაგვიჩნდა. საქართველოს პარლამენტმა მხარი დაგვიჭირა და ღონისძიების ორგანიზებაც უზრუნველყო.

**- ევროპაში ამ ტიპის კონფერენციები ხშირად იმართება?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, არა. კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა უკვე დიდი ხანია ჩართულია პოლიტიკაში. მათ განაცხადეს, რომ ამგვარი ინიციატივის შესახებ ევროპაში არ სმენიათ.

**- რა იყო კონფერენციის მთავარი მიზანი, რა ძირითადი საკითხები განიხილეთ?**

- კოფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ესტონეთის, უნგრეთის, ლიტვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტის წევრები, მიზნად ისახავდა, უცხოელი კოლეგებისათვის გაგვეცნო ის ცვლილებები და წარმატებები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის შემდგომ წლებში შეინიშნება. გარდა ამისა, გვინდოდა, ჩვენი მოსახლეობა დარწმუნებულიყო, რომ საქართველო არ არის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო 32 წლის ესტონელი დეპუტატი, რომელიც 27 წლის ასაკში ესტონეთის იუსტიციის მინისტრი გახდა.

განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე. ისინი უცხოელებს დეტალურად ესაუბრნენ იმ წამატებებზე, რომელსაც ბოლო წლებში თავინთ დარგებში მიაღწიეს.

უცხოელებს მივაწოდეთ ინფორმაცია ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე, პოლიციის რეფორმაზე და სხვა საინტერესო თემებზე. მათ ეს საკითხები ძალიან აინტერესებდათ, უამრავი შეკითხვა დაგვისვეს.

**- განსაკუთრებით რა საკითხებით დაინტერესდნენ უცხოელები?**

- შეკითხვა მრავალი იყო. მე მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას. აზერბაიჯანელი დეპუტატები დაინტერესდნენ გაზსადენის პროექტით. საუბარია გაზსადენზე, რომელიც ბაქოდან უნდა გამოვიდეს და საქართველო გაიაროს. გარკვეულწილად, ეს ჩვენთვის რუსული გაზის ალტერნატივა იქნება. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დეტალურად განვიხილეთ ენერგეტიკის მინისტრთან ერთად.

გარდა ამისა, პარლამენტის წევრმა ირაკლი ქავთარაძემ, რომელიც არის ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრი, საკმაოდ საინტერესოდ წარმოადგინა ჩვენი და ნატო-ს ურთიერთობა. მაქსიმალური მხარდაჭერა მივიღეთ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგებისგან. მათი სახით, საქართველოს ლობისტთა რიცხვი სხვადასხვა ქვეყნებში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ მომავალში ევროპაში შევიძენთ უფრო მეტ მოკავშირეს იმ პროცესში, რასაც ჰქვია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება და საქართველოს ინტეგრაცია ერთიან ევროპულ ოჯახში.

დღეს ჩვენ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ყველა აღნიშნავს იმას, რომ ევროპელ მეგობრებთან ურთიერთობა უნდა გავააქტიუროთ. ევროპაში საქართველოს შეხაებ მაინცდამაინც ბევრი რამ არ არის ცნობილი. პირიქით, გარკვეულ წრეებში შემორჩენილია ძველი სტერეოტიპები, რომელიც ომს, არეულობას და მატერიალურ სიდუხჭირეს უკავშირდება. ბათუმის კონფერენციამ საშუალება მოგვცა, ევროპელი ახალგაზრდებისთვის ბევრი ახალი ინფორმაცია მიგვეწოდებინა.

**- ახალგაზრდა პარლამენტართა შეკრება ერთჯერად ხასიათს ატარებდა თუ იგი ტრადიციად იქცევა?**

- ახალგაზრდა დეპუტატებმა გადავწყვიტეთ, რომ ამგვარი კონფერენციები მომავლაშიც მოვაწყოთ. ჩვენი მიზანია, გავაფართოოთ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მოძრაობა ევროპაში და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა პოლიტიკოსი ჩავრთოთ.

*24 საათი*

# გაერო-ს უშიშროების საბჭო ისრაელს ლიბანში ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობაზე მიუთითებს

**ლიბანის სამხრეთით სიტუაცია "ცეცხლის სტაბილურ შეწყვეტას საჭიროებს", -** ნათქვამია გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის განცხადებაში, რომელიც სასწრაფო კონსულტაციების შედეგად იქნა მიღებული.

კონსულტაციები გაერო-ს გენერალურმა მდივნმა კოფი ანანმა ქალაქ ქანაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო მოიწვია. გუშინწინ ისრაელის მიერ მიტანილი იერიშის შედეგად ქანაში 55-მდე ადამიანი დაიღუპა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ "სასწრაფოდ უნდა მოხდეს რეზოლუციის მიღებაზე მუშაობის დაწყება".

ისრაელი დათანხმდა ლიბანის სამხრეთით ცეცხლი 48 საათის განმავლობაში შეწყვიტოს, ანუ მანამ, ვიდრე ქანაში მომხდარი ინციდენტის გამოძიება მიმდინარეობს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ადამ ერლის განცხადებით, აშშ მიესალმება ისრაელის ამ გადაწყვეტილებას და იმედოვნებს, რომ ის ხელს შეუწყობს "სამხრეთ ლიბანში ოჯახებისა და ბავშვების ტანჯვის შემცირებას".

მისი თქმით, ისრაელი იტოვებს უფლებას, დარტყმები მიიტანოს ლიბანზე იმ შემთხვევაში, თუ ექნება ინფორმაცია მასზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

თუმცა, მიუხედავად გამოცხადებული მორატორიუმისა, ისრაელმა მაინც მიიტანა დარტყმები ლიბანის აღმოსავლეთ რაიონებზე. აფეთქებები ლიბანი-სირიის საზღვართან მოხდა.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ლიბანის პრეზიდენტმა ემილ ლაჰუდმა არ მიიღო პირობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მეტიც, ლაჰუდმა შეაქო რადიკალური მოძრაობა "ჰესბოლა" და ხაზი გაუსვა, რომ "ეს ორგანიზაცია ლიბანის ინტერესებში მოქმედებს, "ჰესბოლას" გამარჯვება კი სრულიად ლიბანის გამარჯვებაა".

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### თბილისი - "სისუფთავის ქალაქი"

"თბილისი სისუფთავის ქალაქი" - ამ დევიზით თბილისში გუშინდელი დღიდან ახალმა საქალაქო სამსახურმა დაიწყო მუშაობა.

დასუფთავების საქალაქო სამსახურის პრეზენტაცია გუშინ რიყეზე, თბილისის მერმა გიგი უგულავამ გამართა.

"ჩვენ შევძელით თბილისი სინათლის ქალაქი გამხდარიყო, ეხლა უნდა ვიზრუნოთ თბილისი გახდეს სისუფთავის ქალაქი. ჩვენი ქალაქის ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა, თბილისში იწყებს მუშაობას დასუფთავების სამსახური, რომელიც იქნება ერთ-ერთ მთავრი ფაქტორი ქალაქში სისუფთავის დაცვის საქმეში, თუმცა მხოლოდ ისინი ვერ მოახერხებენ სისუფთავის შენარჩუნებას, თუ თითოეული ჩვენთაგანი არ ვიზრუნებთ ამ საკითხზე", - განაცხადა უგულავამ.

მისი თქმით, ახალ სამსახურში 2500 ადამიანი დასაქმდება. ქალაქის დასასუფთავებლად უკვე შეძენილია 50 ერთეული მანქანა. ამდენივე უახლოეს დღეებში ჩამოვა. ახალი ტექნიკის დახმარებით, ქუჩების დაგვის შემდეგ ისინი ხილის სურნელით შეზავებული წყლით გადაირეცხება.

უგულავას განცხადებით, მთავარია, რომ სისტემა აწყობილი იყოს და საზოგადოების მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები მოჰყვეს. მთავარია ხალხმა ისწავლოს მუშაობა და თითოეულმა ჩვენთაგანმა გააცნობიეროს, რომ ეს არის ჩვენი ქალაქი." - აღნიშნა მერმა.

მისი თქმით, თბილისში 31 ივლისი მეეზოვის დღედ გამოცხადდება. **ინტერპრესნიუსი**

### 15 სექტემბრიდან EURONEWS-ზე საქართველოს შესახებ სარეკლამო კლიპი დატრიალდება

ტელეკომპანია EURONEWS-ის საეთერო ბადეში საქართველოს შესახებ სარეკლამო კლიპი, სავარაუდოდ, 15 სექტემბრიდან დატრიალდება.

ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს შესახებ სარეკლამო-საიმიჯო კლიპის განთავსებაზე მოლაპარაკებები ტელეკომპანია CNN-თანაც მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

"მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე საქართველოს, როგორც უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნის მნიშვნელობის წარმოჩენისთვის" თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო. აქედან 100 000 დოლარი CNN-ში, ხოლო 60 000 ევრო EURONEWS-ში საქართველოს შესახებ სარეკლამოსაიმიჯო კლიპის ჩვენებას მოხმარდება. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთს მსო-ში გაწევრიანების იმედი ეწურება

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წელს და მომავალ წელს ნამდვილად არ შევა - აცხადებს რუსეთის მსო-ს საკითხებში მოლაპარაკების ჯგუფის ხელმძღვანელი მაქსიმ მედვედკოვი.

ექსპერტთა შეფასებით, ის, რომ რუსეთის მსო-ში 2006 წელს ვერ გაწევრიანდება, ცხადი გახდა G8-ის ივლისის სამიტის წინ, აშშ-თან გამართული მოლაპარაკებების ჩავარდნის შემდეგ. მედვედკოვის თქმით, აშშ-თან მიღწეულია შეთანხმება, რომ წლის ბოლოსთვის ხელი უნდა მოეწეროს ორმხრივი მოლაპარაკებების პროტოკოლს.

მედვედკოვის თქმით, მართალია საქართველო რუსეთს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მსო-ში რუსეთის გაწევრიანების მიზნით, მაგრამ რუსეთი არ აპირებს ყველა დათმობაზე წასვლას. საუბარია საქართველოს მოთხოვნაზე, რომ რუსეთმა ჩაკეტოს არალეგალური საბაჟო პუნქტები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტზე დაწესებული აკრძალვები მოხსნას.

მედვედკოვი საუბრობს დამატებით სირთულეებზე. კერძოდ, მალე უკრაინა შეიძლება გახდეს მსო-ს წევრი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ "რუსეთს მოუწევს მოლაპარაკებების უკრაინასთან გამართვაც".

ამ ეტაპისთვის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას აშშ, კოსტა-რიკა, მოლდავეთი და საქართველო ეწინააღმდეგებიან. **ინტერპრესნიუსი**

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, თბილისი, საქართველო**

**ა. წ. 5 და 6 აგვისტოს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო თბილისში მართავს მეორადი საყოფაცხოვრებო ავეჯის (5 აგვისტო) და მეორადი საოფისე ავეჯისა და მოწყობილობების (გენერატორი, ბოილერი და ა.შ., 6 აგვისტო) ღია აუქციონს.**

**ლოტების დათვალიერება შესაძლებელია მხოლოდ აუქციონის დღეს. დათვალიერება დაიწყება დილის 9:00 სთ-ზე, აუქციონი - 11:00 სთ-ზე. პოტენციურმა მონაწილეებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ სალაროსთან სახელისა და გვარის და მობილური ტელეფონის მითითებით და უნდა გადაიხადონ დეპოზიტი 150 აშშ დოლარის ოდენობით. ყველა წარმოდგენილი საგანი იყიდება არსებულ მდგომარეობაში ყოველგვარი გარანტიის გარეშე. მყიდველი პასუხისმგებელია ნებისმიერი სახის საბაჟო მოსაკრებელზე.**

**აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ლილო, რუსთაველის ქ. N 4, აშშ-ს საელჩოს საწყობი. (ყოფილი ლილოს საბაჟო ტერმინალის უკან) დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 92 28 44, შიდა 125.**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ისევე წარმატებით, როგორც კოდორში...

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს პრობლემატიკაზე 11 წელი ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში კოდორის ხეობაში, კანონის აღსრულებისა და კრიმინალური მდგომარეობის თვალსაზრისით, ყოველთვის მძიმე ვითარება იყო. ჩემი ინფორმაციით, ამ რეგიონში ჩატარდა პოლიციური ოპერაცია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის უსაფრთხოებას. თუ საქართველოს ხელისუფლების მიერ მომავალში გატარებული ღონისძიებებიც საერთაშორისო შეთანხმებების ნორმებში დარჩება, ვითარება კოდორის ხეობაში აუცილებლად დარეგულირდება"**, - აცხადებს ამერიკელი დიპლომატი და იქვე სინანულით აღნიშნავს, რომ **"ოფიციალური მოსკოვისა და სოხუმის განცხადებები ნამდვილად არ უწყობს ხელს მდგომარეობის მოწესრიგებას"**.

მეთიუ ბრაიზა საქართველოში არაერთხელ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად იგი თბილისში "შემთხვევით მოხვდა", - მთიანი ყარაბაღის საკითხებზე მომუშავე "მინსკის ჯგუფის" თანათავმჯდომარე აზერბაიჯანსა და სომხეთში იმყოფებოდა და, როგორც თავად ამბობს, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, რომ საქართველოსაც სწვეოდა.

თბილისში ვიზიტის ფარგლებში, მეთიუ ბრაიზა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესა და საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილს შეხვდა. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა აშშ-ს მიერ საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის, ევრო-ატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის საკითხები.



მეთიუ ბრაიზა: "ჩვენ თავს საქართველოს მეგობარ ქვეყნად მივიჩნევთ".

საკმოდ დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, ამერიკელმა დიპლომატმა გუშინ ბრიფინგის გამართვაც მოასწრო და მასმედიის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, მეთიუ ბრაიზამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

**"საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს ინტენსიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად... სამხრეთ ოსეთს უნდა მიეცეს ავტონომიის ისეთი ხარისხი (საქართველოს ფარგლებში), რომელიც მას დააკმაყოფილებს,"** - აცხადებს ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე. იგი ქართულ საზოგადოებას იმასაც შეახსენებს, რომ **"ვაშინგტონში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის დროს, ჯორჯ ბუშმა მრავლისმთქმელი განცხადებები გააკეთა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით"**.

**"ჩვენ თავს საქართველოს მეგობარ ქვეყნად მივიჩნევთ, რადგან გვაქვს საერთო ფასეულობები და შეხედულებები,"** - აღნიშნავს მეთიუ ბრაიზა. მისი შეფასებით, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველომ დემოკრატიზაციის გზაზე დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, განსაკუთრებით - საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით.

ამერიკელი დიპლომატის თქმით, საქართველოს აქვს შანსი, რომ დემოკრატიზაციის პროცესი კიდევ უფრო გააფართოოს და ეს ყველაზე ნათლად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოჩნდება, რომელიც **"აუცილებლად მაღალი სტანდარტებით უნდა ჩატარდეს"**.

# ისრაელის კომენტარი ქანაში მომხდარ ტრაგედიაზე

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური კომენტარს აკეთებს 30 ივლისს, ლიბანის სოფელ ქანაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაზე.

30 ივლისს ისრაელის საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს ლიბანის სოფელ ქანაში იმ ადგილზე, საიდანაც ხორციელდება სარაკეტო დარტყმები ისრაელის ქალაქებზე, ნაჰარიასა და სხვებზე. ამ სარაკეტო დარტყმის შედეგად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა. დაღუპულთა ნახევარზე მეტი ბავშვები არიან.

საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის განცხადებით, "ისრაელი ღრმა სინანულს გამოხატავს უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის გამო." შაბთაი ცური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ისრაელის სამიზნე არ არის მშვიდობიანი მოსახლეობა. ისრაელის სამიზნე მხოლოდ ჰესბოლას მებრძოლები არიან. ისრაელი იძულებულია გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას ჰესბოლას მიერ ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული სარაკეტო შეტევების საპასუხოდ, რომელთა მიზანი რაც შეიძლება მეტი ისრაელელი მშვიდობიანი მოსახლის დახოცვა და დაშავებაა. მრავალი ისრაელელი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა და დაიჭრა ჰესბოლას სარაკეტო იერიშების შედეგად. ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილის მილიონზე მეტი მოსახლე კი ბომბების საწინააღმდეგო თავშესაფრებში ცხოვრობს.

"როდესაც ლიბანელ ბავშვს კლავენ, ისრაელი გლოვობს, როდესაც ისრაელელ ბავშვს კლავენ, ჰესბოლა ზეიმობს," - ამბობს ისრაელის ელჩი საქართველოში.

როგორც შაბთაი ცური აცხადებს, "ჰესბოლა სარაკეტო დანადგარებს გამიზნულად ათავსებს იმ ადგილებში, სადაც საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობა იმყოფება. ამით იგი მოსახლეობას "ცოცხალ ფარად" იყენებს. ეს საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული პრაქტიკაა. როდესაც რაკეტებს მშვიდობიანი მოსახლეობის ადგილსამყოფელიდან უშვებს, ჰესბოლა აცნობიერებს, რომ ისრაელი თავდაცვის მიზნით საპასუხო შეტევას განახორციელებს. ამიტომაც პასუხისმგებლობა ამ ტრაგიკულ სიტუაციაზე მხოლოდ და მხოლოდ ჰესბოლას ეკისრება.

ქანასა და მისი შემოგარენის მოსახლეობა ისრაელის ძალებმა რამდენიმე დღით ადრე რამდენჯერმე გააფრთხილეს - რადიოსა და სააგიტაციო ფურცლების მეშვეობით, რითაც დაყოვნდა ისრაელის თავდაცვის ძალების შეტევა. ზრუნვა ლიბანის მშვიდობიან მოსახლეობაზე ისრაელის საბრძოლო დოქტრინის განუყოფელი ნაწილია. ეს უკიდურეს სიფრთხილეს მოითხოვს იმისათვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანი. ხშირად ეს ოპერატიული უპირატესობების საზიანოდაც ხდება. მაგალითად, სააგიტაციო ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდა ქანას მოსახლეობას დაეტოვებინათ ეს ადგილი, გახდა წინასწარი გაფრთხილება ჰესბოლასათვის, რამაც შეამცირა მოულოდნელობის ელემენტი.

"ისრაელის ძალებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მშვიდობიან მოსახლეობას დაეტოვებინა ლიბანის სოფელი ქანა, მაგრამ ჰესბოლა უფრო მეტად იყო დაინტერესებული იმაში, რომ ისინი იქ დარჩენილიყვნენ."- აცხადებს ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური.

# კოდორის ოპერაცია და საქართველოს ურთიერთობა ნატო-სთან

პირველი გვერდიდან

შემდგომი დილემა კი, გირაგოსიანის აზრით, არა საქართველოს საფრთხეებს, არამედ თავად ნატო-ს მომავალს უკავშირდება. საქმე ისაა, განაგრძობს მიმომხილველი, რომ ნატო-მ სულ ახლახან განსაზღვრა უსაფრთხოების სტრუქტურა და შემოხაზა პასუხისმგებლობის სივრცე. ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა გასულ თვეებში არაერთხელ გაიმეორა, რომ ნატო-ს გაფართოება დროებით შეჩერებულია და არავითარი ოფიციალური ინფორმაცია ნატო-ში გაწევრიანებაზე ალიანსის ნოემბრის სამიტზე ლატვიაში არ გაკეთდება.

საქართველოსთან დაკავშირებით იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საკუთარი მოსაზრება ბრიუსელში 26 ივლისს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრაზე გააკეთა. ითქვა, რომ ჯერ კიდევ ბუნდოვანია, მიიღებს თუ არა საქართველო ინტენსიურ დიალოგს -ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემდგომ საფეხურს და გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ერთგვარ პრელუდიას.

გირაგოსიანის აზრით, საქართველოს გაწევრიანებამ ნატო-ში - ქვეყნისა, რომლის მიამართაც ალიანსის შიგნით განსხვავებული მოსაზრება არსებობს მოუგვარებელი კონფლიქტების გამო, შესაძლოა უფრო შეასუსტოს, ვიდრე გააძლიეროს ალიანსის უსაფრთხოება. "ამასთან, საქართველოს გაწევრიანება ნატო-ში შესაძლოა, აისახიოს რუსეთთან ძალიან ფაქიზ თანამშრომლობაზე და იმაზე უფრო დაძაბოს ურთიერთობა მოსკოვთან, ვიდრე ეს ალიანსის გაფართოების ბოლო ორი რაუნდის წინ არსებობდა," ასკვნის სტატიის ბოლოს რიჩარდ გირაგოსიანი.

ამ შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ამერიკელი ექსპერტის მოსაზრება აუცილებლად საჭიროებს კომენტარს:

- კოდორის ხეობაში სპეცოპერაცია ორ დღეს გრძელდებოდა და საქართველოს უსაფრთხოების ძალებმა ამოცანა ძალიან სწრაფად და სერიოზული მსხვერპლის (მომიტევოს დაღუპული ქალბატონის სულმა) გარეშე გადაჭრეს. ამდენად, ნატო-სთვის, რომელიც აქცენტს სწრაფი რეაგირების ძალებზე აკეთებს (Rapid Reaction Forces), კოდორის ოპერაცია უარყოფით დასკვნებს ვერ გამოიწვევდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციაში ჭარბად იყო გამოყენებული სამხედრო კომპონენტი, ამას დასავლეთისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ძალიან ბევრი სპეცოპერაციის გახსენება შეიძლება, როდესაც პოლიციურ ძალებს დასჭირვებიათ სამხედრო ძალის მხარდაჭერა. შესაბამისად, ძნელია დააბრალო საქართველოს მთავრობას ნატო-სთან ვალდებულებითი პირობის დარღვევა, არც IPAP- ით და არც უფრო ადრინდელი ხელშეკრულებებით საქართველოს ნატო-სთან არასოდეს აუღია ვალდებულება, რომ მსგავს სიტუაციაში ლეგიტიმურ ძალას არ გამოიყენებდა.

- შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზურაბ ნოღაიდელის უეცარი ვიზიტი ნატო-ში განპირობებული იყო არა იმით, რომ იაპ დე ჰოოპ სხეფერს ლატვიის მომავალ სამიტზე ესაუბრა (თუმცა, გირაგოსიანის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის მიღების საკითხი გაურკვეველია, სერიოზული გამოწვევაა თბილისისათვის), არამედ - იმისათვის, რომ ნატო-ს ხელმძღვანელობას პრემიერ-მინისტრისგან მოესმინა, ექნება თუ არა კოდორის ოპერაციას გაგრძელება, ვთქვათ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კრიმინალების დევნის მოტივით. რა პასუხი მიიღო ამ შეკითხვაზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ამას უახლოეს პერიოდში თავად საქართველოს ხელისუფლების ქმედებები წარმოაჩენს.

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR-ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანკტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები [illegible] შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები [illegible] შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები [illegible] შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები [illegible] შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# რუსეთი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება არ ირღვევა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანდრეი კუზნეცოვი აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში კიდევ ერთი აფხაზური მთავრობის გამოჩენა არავითარ ხელშეკრულებას არ არღვევს.

"თუკი იქ განთავსდებიან ჩინოვნიკები, ეს არ ეწინააღმდეგება არავითარ ხელშეკრულებას", - განუცხადა კუზნეცოვმა "კომერსანტს".

მისი თქმით, 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით, ხეობაში სამხედრო ფორმირებების ყოფნა იკრძალება.

კუზნეცოვი მიიჩნევს, რომ აფხაზების გაღიზიანება და მუქარა ხეობაში შესაძლო სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ არამართებულია.

"თუკი აფხაზები წავლენ საომრად ისინი მართლები არ იქნებიან", - განაცხადა კუზნეცოვმა.

არაღიარებული აფხაზეთის საგარეო უწყების განცხადებით, "კოდორის ხეობის პრობლემა აფხაზეთის საშინაო საქმეს წარმოადგენს".

აღნიშნული განცხადება სოხუმმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ანდრეი კუზნეცოვის განცხადების საპასუხოდ გააკეთა.

არაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური გამოხატავს გაკვირვებას რუსეთის საგარეო უწყების მაღალჩინოსნის გამონათქვამების გამო და აცხადებს: "აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩარევა მოსკოვს პლიუსებს არ ჰმატებს".

სოხუმში მიიჩნევენ, რომ კოდორის ხეობა წარმოადგენს სუვერენული აფხაზეთის ნაწილს და აფხაზეთი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა ნებისმიერი, მათ შორის, სამხედრო მეთოდებით.

არაღიარებული აფხაზეთის ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ თუ აფხაზეთი ვერ უზრუნველყოფს საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ მის ხელისუფლებას არავითარი ფასი არ აქვს.

*ჯი-ეჩ-ენი*

# კოდორის ხეობაში პოლიციის ბლოკპოსტები განლაგდება

კოდორის ხეობისა და თვითაღიარებული აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან პოლიციის ბლოკპოსტები განლაგდება.

ამის შესახებ, ინფორმაციას რუსული სააგენტო "როსბიზნესკონსალტინგი" ავრცელებს.

სააგენტო, საქართველოს შსს-ზე დაყრდნობით, იუწყება, რომ კოდორის ხეობაში სულ რვა ბლოკპოსტი განთავსდება.

გარდა ამისა, ხეობაში მუდმივად იქნება შს სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც დაიცავს წესრიგს და პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა უსაფრთხოების დაცვაზე. ასევე, გაგრძელდება მოსახლეობისგან უკანონო იარაღის ამოღების პროცესი. აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საქართველოს შს სამინისტროს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან შოთა ხიზანიშვილთან დაკავშირება ვერ ხერხდება.

გარდა ამისა, სააგენტო "როსბიზნესკონსალტინგის" ინფორმაციით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომლები სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ფარგლებში გასულ წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთისა და ტრანსფერების დოკუმენტაციის შესწავლას აწარმოებენ. **ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთის მთავრობა კოდორში გადასასვლელად ემზადება

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების კოდორის ხეობაში გადაყვანის მოსამზადებლად გუშინ ხეობას სპეციალური სამუშაო ჯგუფი ეწვია. 15-კაციანი ჯგუფს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია ხელმძღვანელობს. ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა საკითხებს შეისწავლის. კერძოდ, თუ სად განთავსდება აჟარაში მთავრობა და რა პირობები უნდა შეიქმნას ამისათვის.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის მთავრობა კოდორის ხეობაში უმოკლეს ვადებში უნდა განთავსდეს.

*ინტერპრესნიუსი*

# კოდორელი აფხაზეთის მთავრობას სახლ-კარს სთავაზობს

საზღვარგარეთ მცხოვრები, კოდორის ხეობის მაცხოვრებელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას რეზიდენციისათვის თავის სახლ-კარს სთავაზობს.

აფხაზეთის მთავრობის ინფორმაციით, მათ საზღვარგარეთ მცხოვრები კოდორის მკვიდრი დაუკავშირდა და გულირიფშის რაიონის კოდორის ხეობაში ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრისათვის საკუთარი სახლ-კარი შესთავაზა.

აფხაზეთის მთავრობაში მოქალაქის ვინაობის ინკოგნიტოდ დარჩენას არჩევენ. ინიციატორის თქმით, შენობა კაპიტალურია, ეზო საკმაოდ დიდია, სადაც ვერტმფრენის დაჯდომაცაა შესაძლებელი. **ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ ქოქიაშვილი საავადმყოფოდან კვირის ბოლოს გაეწერება

დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის კახა ნურალიძის განცხადებით, კოდორის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი ერთ-ერთი სამართალდამცველი მიხეილ ქოქიაშვილი საავადმყოფოდან კვირის ბოლოს გაეწერება. მეორე დაჭრილს ვალერი მუჯირს საავადმყოფოში დარჩენა დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მოუწევს. კახა ნურალიძის განცხადებით, ორივე პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მათ ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

კოდორის ხეობაში დაჭრილი სამართალდამცველები - ვალერი მუჯირი და მიხეილ ქოქიაშვილი მკურნალობას მე-6 დღეა ქუთაისში გადიან. **ინტერპრესნიუსი**

**შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს მიღებას პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სპეციალისტის თანამდებობაზე**

კანდიდატისათვის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნებია:

- უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (ჟურნალისტიკა, ფილოლოგიური, დასავლეთ ევროპული იენები)
- ინგლისური ენის ფლობა (თავისუფლად)
- საოფისე კომპიუტერული პროგრამები
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა ან პრესსამსახურში მუშაობის სტაჟი
- ორგანიზატორის, რთული ამოცანების შეზღუდულ დროში გადაჭრის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა
- უპირატესობა მიენიჭება ვებ-საიტზე (Dreamwear, cutftp) სამუშაოდ საჭირო კომპიუტერული პროგრამების მცოდნეს.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 10 აგვისტომდე. მისამართი: თბილისი, კანდელაკის №12. ტელ.: 381509.

დაინტერესებულმა პირებმა CV უნდა გამოაგზავნონ ელ-მისამართზე gbg-pr@yahoo.com



**საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის განცხადება**

კორპორაცია დაინტერესებული საზოგადოების განსახილველად წარმოადგენს ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ექვსი პრიორიტეტული უბნის, კერძოდ, მენესოს, ნანიანის (I კატეგორიის საქმიანობები), ზოტიკიანთკარის, მდ. არყალას, 193-ე კილომეტრის და მდ. გლდანულას გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მომზადებულ გარემოზე ზემოქმედებების შეფასების და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების დოკუმენტაციას.

საზოგადოებრივი განხილვები გაიმართება:

1) თბილისში - 2006 წ. 7 აგვისტოს, 14 საათზე, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

2) დუშეთში - 2006 წ. 8 აგვისტოს, 13 საათზე, გამგეობის შენობაში.

დოკუმენტების ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს შეგიძლიათ გაეცნოთ:

ა) თბილისში - საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია, 300 არაგველის 24, VI სართული, ტელ. 74-85-18, ფაქსი 74-80-67, ელ.ფოსტა es@GGIC.ge.

ბ) დუშეთში - გამგეობის შენობა.

დოკუმენტები განთავსებულია აგრეთვე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე www.GGIC.ge.



**განცხადება**

ახალციხის რაიონული გამგეობა აცხადებს გადამზიდავთა შესარჩევ კონკურსს მგზავრთა შიდასაქალაქო გადაზიდვებზე მომსახურების უფლების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 7 აგვისტომდე განცხადებით უნდა მიმართონ ახალციხის რაიონული გამგეობის საკონკურსო კომისიას მისამართზე: ქ. ახალციხე კოსტავას ქუჩა №18, მეორე სართული, ოთახი №19.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული საჭირო რაოდენობის და შესაბამისი კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ფლობის დამადასტურებელი საბუთი.
- შესაბამისი კატეგორიის მძღოლების მართვის მოწმობის ასლი.
- ცნობა მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
- სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობა.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

კონკურსი ჩატარდება 10 აგვისტოს.



**საქართველოს პარლამენტის აპარატი საკონკურსო წესით შეისყიდის 10 ერთეულ პერსონალურ კომპიუტერს და 3 ერთეულ DVD ჩამწერს.**

მოსაწოდებელ საქონელს უნდა გააჩნდეს მწარმოებლის ან მიმწოდებლის გარანტია, მოწოდება უნდა მოხდეს ოპერატიულად შემსყიდველის მისამართზე, სასურველია უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

პერსონალური კომპიუტერების ტექნიკური მოთხოვნები.

CPU - Intel® Pentium® 4 640 3.20 GHz 800 MHz 2 MB with HT and Extended Memory 64-bit Technology ან უკეთესი

M/B - Socket775 ან ანალოგიური

RAM - 512 MB DDR2 ან უკეთესი

HDD - 80 GB (7200 rpm) SATA

Video - დედაპლატაზე

CD/DVD - DVD-ROM

Mouse - optical scroll mouse PS/2 or USB

Keyboard - standard keyboard PS/2

Speaker Active - Min 30 Watt

Case - კლასიკური დიზაინის (400 W Real)

UPS - APC BACK UPS 650

Monitor - 17 inch TFT Monitor 1028X1024 60 Hz, 75 Hz

DVD ჩამწერების ტექნიკური მოთხოვნები.

External USB DVD +-R/RW - ჩაწერის სიჩქარე DVD+R: 16x, DVD+RW: 8x, DVD-R: 16x, DVD-RW: 6x, CD-R: 40x, CD-RW: 32x, DVD+R9 (dual layer): 8 , DVD-R DL (dual layer): 8 , DVD-RAM: 5

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. წინადადება,
3. ინფორმაცია გარანტიისა და მომსახურების შესახებ.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 4 აგვისტოს 15.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 92-12-64.


# გამომძიებლის პასუხისმგებლობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, მათ მიმართა ადვოკატმა ირაკლი ჩიკვაიძემ, თავის დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის - არასრულწლოვან ზურაბ ჩიკვილაძის დაცვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულმა ჩიკვილაძემ, 2006 წლის 14 ივნისს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მიმართა გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალების გაცნობისა და საკუთარი ხარჯით ასლების გადაღების თაობაზე, მაგრამ მისი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების გამომძიებელ ჯღარკავას, ბრალდებულისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლების განხორციელების უზრუნველყოფის თაობაზე, მაგრამ პროკურატურიდან პასუხი არ მოსულა.

დაცვის მხარემ სახალხო დამცველის აპარატს ჯღარკავას წერილის ქსეროასლი წარუდგინა, რომლითაც ბრალდებულ ჩიკვილაძეს ეცნობა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 4161-ე მუხლით უფლება აქვს წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა.

არადა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს: "სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაიღოს საქმის მასალის ასლები (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან)."

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამომძიებელმა ჯღარკავამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები დაარღვია და არასრულწლოვან ბრალდებულ ჩიკვილაძეს საქმის მასალების გაცნობასა და ასლების გადაღებაზე უსაფუძვლოდ უთხრა უარი.

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურორს განეხილა იმავე რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების გამომძიებელ ჯღარკავას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის მოქმედებამაც ბრალდებულის უფლების შეზღუდვა გამოიწვია.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურიდან მიღებული წერილის თანახმად, პროკურატურამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს დაშვებული დარღვევების გამო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს ხელმძღვანელობის სახელზე შეიტანა წარდგინება, გამომძიებელ ჯღარკავას მიმართ მკაცრი დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ.

*24 საათი*

# ნორა კვიციანის ადვოკატი სასამართლოს მიმართავს

ემზარ კვიციანის დის ნორა კვიციანისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას მისი დაცვის მხარე დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის დას აღკვეთის ღონისძიება სასამართლომ უკვე შეუფარდა. როგორც მისმა ადვოკატმა პაატა ბუჩუკურმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება უკანონო და უსაფუძვლოა.



*ნორა კვიციანი დაპატიმრებულია.*

**"ნორა კვიციანს ბრალი ორ დანაშაულში - ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში ედება. ცეცხლსასროლი იარაღი მისი საცხოვრებელის ჩხრეკისას ამოიღეს, რომელსაც თავად არ ესწრებოდა. ნორა კვიციანთან ერთად, ბინაში მისი ძმა და შვილი ცხოვრობს. გაუგებარია, რატომ მიაკუთვნეს იარაღი მაინცდამაინც ნორა კვიციანს, ასევე დაუსაბუთებელია უკანონო ფორმირების შექმნაში მისი დადანაშაულება",** - თქვა პაატა ბუჩუკურმა.

პაატა ბუჩუკურის თქმით, ნორა კვიციანისთვის წაყენებული მუხლი 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*მედიანიუსი*

# სახალხო დამცველი დეპარტამენტის უფროსის დასჯას მოითხოვს

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2006 წლის 28 ივლისს გურიის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ლევან სკამკოჩაიშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაზეთ "გურიის მოამბე"-ს ჟურნალისტებს - საინფორმაციო სამსახურის უფროსს შორენა ღლონტსა და ჩოხატაურის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს გიორგი სირაძეს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებით ირკვევა, რომ 28 ივლისს, დილით, დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, შორენა ღლონტი ტელეფონით დაუკავშირდა ლევან სკამკოჩაიშვილს და ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. დეპარტამენტში მისულ ჟურნალისტებს სკამკოჩაიშვილი ადგილზე არ დაუხვდათ და მათ ლოდინი მოუხდათ. როგორც შორენა ღლონტი აღნიშნავს, სამსახურში მისულ დეპარტამენტის უფროსს მან კვლავ სთხოვა კომენტარი, მაგრამ პასუხად სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიღო: "თავი დამანებეთ, თქვენს გაზეთს არანაირ კომენტარს არ მივცემ, გაეთრიეთ, თავი დამანებეთ." რამდენიმე წუთში ჟურნალისტები მდივნის დახმარებით სკამკოჩაიშვილის კაბინეტში შევიდნენ და ამჯერად დეპარტამენტის უფროსს კომენტარის მიცემაზე უარის მიზეზი ჰკითხეს. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, სკამკოჩაიშვილმა მათ კვლავ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი გიორგი სირაძეს ჯერ მხარზე დაარტყა, ხელიდან ფოტოაპარატი გამოგლიჯა, ხოლო შემდეგ რამდენჯერმე სახეში დაარტყა. იმ დროს, როცა შორენა ღლონტი ცდილობდა სკამკოჩაიშვილისათვის ხელის შეშლას და ფოტოაპარატის გადარჩენას, აპარატი მოხვდა სკამს, ხოლო თავად ჟურნალისტს სკმაკოჩაიშვილმა ხელი მიარტყა, რაც ჩართული დიქტოფონის ხელიდან გავარდნით და დამტვრევით დასრულდა. ამიტომაც, მომხდარი ინციდენტი დიქტოფონზე მხოლოდ ნაწილობრივ არის დაფიქსირებული. როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, შორენა ღლონტი თავად გამოვიდა კაბინეტიდან, ხოლო გიორგი სირაძე დეპარტამენტის უფროსმა ხელის კვრით გამოაგდო.

ჟურნალისტები ლევან სკამკოჩაიშვილთან პირად დაპირისპირებას გამორიცხავენ, მაგრამ მისი გაღიზიანების ზუსტ მიზეზზე ვერ საუბრობენ, თუმცა მომხდარ ფაქტს უკანასკნელ პერიოდში ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე გაზეთ "გურიის მოამბე"-ში დაბეჭდილ სტატიებს უკავშირებენ. მათივე სიტყვებით, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსს სატელეფონო საუბრის დროს, ზოგადად, ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს - კონკრეტული თემა ან საკითხი დასახელებული არ ყოფილა.

გიორგი სირაძე აღნიშნავს, რომ მას სკამკოჩაიშვილთან უშუალო შეხება არასოდეს ჰქონია, 28 ივლისს ჩოხატაურიდან მასალა ჩამოიტანა და შორენა ღლონტს ინტერვიუზე მხოლოდ ფოტოკორესპონდენტის სტატუსით ახლდა. სირაძემ ჩოხატაურში მომხდარი ფაქტი გაიხსენა.

საქმე ისაა, რომ ჩოხატაურში ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტზე სამი ექიმი დააკავეს. ეს საკითხი დეტალურად "გურიის მოამბე"-მ გააშუქა. გიორგი სირაძე აცხადებს, რომ დასახელებული საკითხით აქტიურად იყო დაინტერესებული და არ გამორიცხავს იმასაც, რომ მისი მისამართით გამოვლენილი აგრესია ამ ფაქტს უკავშირდებოდეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ოზურგეთის პოლიციის განყოფილებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის I ნაწილით დაიწყო წინასწარი გამოძიება - ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან. საქმეს ოზურგეთის შს რაიონული განყოფილების უფროსი გამომძიებელი აკაკი სადრაძე იძიებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბრისას გამომძიებელმა განაცხადა, რომ გამოძიებამ დაზარალებულის სახით დაკითხა შორენა ღლონტი და გიორგი სირაძე. მტკიცებულების სახით ამოღებულია და საექსპერტო დასკვნისთვის გაიგზავნა ციფრული ფოტოაპარატი.

ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსს მომხდარ ფაქტზე კომენტარი არ გაუკეთებია. მას ვერც სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ, რადგან მისი ოჯახის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იგი რაიონში არ იმყოფება, ხოლო ტელეფონით მასთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

სახალხო დამცველი, მომხდარი ფაქტის გამო, აღშფოთებულია და მოითხოვს, გურიის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ლევან სკამკოჩაიშვილი კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს.

*24 საათი*

## მოკლედ

### კანონი ექსტრემიზმის შესახებ

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების პროექტზე, რომელიც ექსტრემიზმის მუხლის შეტანას ითვალისწინებს, კონსულტაციები გრძელდება. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა გვარამიას განმარტებით, კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით გრძელდება და შესაძლებელია კანონის მიღებაზე შეთანხმების მიღწევა არც მოხდეს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია, რომელიც ახალი კანონპროექტის ინიციატორად ითვლება, ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, რომ იურისტები საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შევსებას ცდილობენ. ამ ხარვეზით არ არსებობს ბერკეტი, რომ პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ არის, კანონის რეგულირების სფეროში მოხვდეს.

გვარამიას განმარტებით, ცვლილება არ მიიღებს პოლიტიკური შეზღუდვის ფორმას.

შესაძლებელია, კანონპროექტს ჰქონდეს რეკეტის შესახებ კანონის მოდელი - დასჯადი არ იქნება ხელისუფლების საწინააღმდეგო გამონათქვამები, მაგრამ დასჯადი იქნება მხოლოდ ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედება ან საკონსტიტუციო წყობის დამხობისკენ მოწოდება.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, პარლამენტარ ნინო კალანდაძის განმარტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქის სისხლის სამართლებრივ დევნას, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში.

"ცვლილებები სისხლის სამართლებრივ კოდექსში არ გაითვალისწინებს შეზღუდვას სიტყვის თავისუფლებაზე და პოლიტიკურ გამონათქვამებზე", - ირწმუნებიან პროექტის ავტორები. **24 საათი**

### იუსტიციის სახლი კოდორის ხეობაში

კოდორის ხეობაში იუსტიციის სახლი შეიქმნება. კოდორის ხეობაში პირველი იუსტიციის სახლის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში გუშინ გამართულ თათბირზე მიიღეს.

სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციისა და სააღსრულებო დეპარტამენტების უფროსები, ასევე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან სრული კოორდინაციით, კოდორის ხეობაში უახლოეს მომავალში იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული სამსახურების შექმნა დაავალა. მინისტრის განმარტებით, ეს სამსახურები იუსტიციის სახლში გაერთიანდება.

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კოდორის ხეობაში შეიქმნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურები, ასევე - სააღსრულებო დეპარტამენტის აფხაზეთის ბიურო.

**24 საათი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72. იურიდიული ოფისი "გაპი".

# SECURITY COMES FIRST

მამუკა ხერხეულიძე

სახელმწიფო უსაფრთხოებით იწყება, ქვეყნისთვის ეს იგივეა, რაც ლიტერატურისთვის - ანბანი. ამ საფუძველთა საფუძველზე დგას ყველა თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო. მთელი მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაც ამას გვიმტკიცებს. ჩვენ ჩვენი ვნახოთ - დავითის მიერ ჯარითა და უშიშროების, ანუ მსტოვართა სისტემით ჩადუღაბებულ, ხერხემლიან სახელმწიფოში გახდა შესაძლებელი ტახტზე ქალი ასულიყო, რომელსაც უკვე ჰქონდა საშუალება სიკვდილით დასჯა გაეუქმებინა იმ ბნელ ეპოქაში, თან პარლამენტი შეექმნა, თან უზარმაზარი რენესანსის მუზა და თანამონაწილე ყოფილიყო. თავად თამარის მამამ, გიორგი მესამემ, ალმაშენებლის უსაფრთხოების ინსტიტუტს სამპარავმძებნელო (სოდი) სტრუქტურა დაამატა. პატიმრებს რკინის გალიით ჰკიდებდნენ თაღოვან ხიდებზე, რომელიც ძალიან ბევრი იყო საქართველოში და თამარის ხიდის სახელითაა ცნობილი, ავაზაკებს ცოცხლად ალპობდნენ. საჭმლის მიწოდება ან თუნდაც გალიასთან მიახლოებაც ანალოგიურად ისჯებოდა. ხიდები, როგორც ვთქვით, ბევრი იყო.

სახელმწიფო ლეგიტიმური ძალადობაა, რომელსაც მას ხალხი ავალებს. ანისის აღების შემდეგ დავითმა ხუთი ათასი კაცი დასაჯა ღალატისათვის. თბილისის აღების შემდეგ მან დიდგორში თურქების მხარეს მებრძოლი მოღალატეებისათვის ხუთასი ჯვარი დააგმევინა დილმიდან სიონამდე. გიორგი ბრწყინვალემ მონღოლეთის კარზე მოსიარულე ოთხმოცი ერისთავი ცივგომბორზე მიიყვანა სათათბიროდ და თავის სპეცრაზმს დაახოცინა, რითაც ქვეყანა უამრავ შემოსევა-აოხრებას გადაარჩინა.

ქართველებს აქვთ ერთი საშინელი, ფატალური ანდაზა: ციხე შიგნიდან ტყდება, და მართლაც ასე იყო მე-14 საუკუნიდან 21-მდე. ჩვენ დაპყრობილი, ღირსებააყრილი ვიყავით, ისტორიის ყოველ მეორე გვერდზე ღალატის ამბავია. სულ ახლახანს, გასულ საუკუნეში, ორჯერ იყო, რომ უხერხემლობამ, აგენტების დაუსჯელმა თარეშმა ისევ რუსეთის იმპერიაში დაგვაბრუნა. მთელი უბედურება კი ისაა, რომ ბოლო ციხის გატეხვის მონაწილე ბათიაშვილები, სარიშვილები, ასათიანები, ნათელაშვილები, გამყრელიძეები და ძმანი მათნი ისევ იმავე ზრახვებით არიან შეპყრობილი, კუდი ძაღლისა არა განიმართების... მაგრამ დაუსჯელი ალარავინ დარჩება, დღეს უკვე სხვა ქვეყანაა და ეს აჭარაშიც ვნახეთ და კოდორშიც, და სულ მალე ჩვენი იურისდიქცია აფხაზეთშიც ასევე აღდგება და სამაჩაბლოშიც.

...ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ შეერთებულ შტატებში, ვაიომინგის მთებში, ხუთ-ხუთჯერ ნასამართლევი, ალ-ქაიდას მიერ დაფინანსებული გენგი ბაბაჯო და ორმოცი ყაჩაღი აჯანყდეს და სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქროს, ამ დროს ოპოზიციონერი ანუ დემოკრატი პოლიტიკოსები, ჰილარი კლინტონი ან ქერი მხარს უჭერდნენ ამბოხებულებს, ურეკავდნენ ტელეფონით ამხნევებდნენ, ეხმარებოდნენ, ალჯაზირას ეთერით მოძალადეს უწოდებდნენ საკუთარ სახელმწიფოს; სიენენის მეპატრონე მოსკოველი ოლიგარქი რომ იყოს და ეს არხი სულ ამ მოღალატეებს რომ სთხოვდეს კომენტარებს - დაანებეთ თავი ბაბაჯოს, იყოს თავისთვის ვაიომინგში, კონექტიკუტის ხეობაში, რას აშავებს. სისხლი არ დაიღვაროს. პაციფისტური ხეობაა მაინც, აჰიმსას მიმდევარი ხალხია. ძირითადად, პეპლებს იჭერენ ზაფხულობით, ეგაა და ეგო. არადა, განდისტები კალაშნიკოვებით, მუხებით, სტრელებით, სტინგერებით შეიარაღებული, სახეზე ნიღბებით, ყველა ცენტრალური არხებით თეთრ სახლს აშინებდნენ, ვაიომინგს ჰუგო ჩავესს დავუქვემდებარებთო.

ვინაიდან ახალი ჩამოსული ვარ იმ ქვეყნიდან, მინდა გითხრათ, რომ ასეთი სიუჟეტი ყველაზე მანიაკ ფანტასტ კინორეჟისორსაც არ მოუვა თავში. იქ დემოკრატები რესპუბლიკელებს არ უკიჟინებენ, ომი რატომ დაიწყეთო, ან ჩვენ რომ მოვალთ, ჯარებს გამოვიყვანთ ერაყიდანო. ჩვენ უფრო დიდ კონტინგენტს შევიყვანდით, სხვანაირად დავგეგმავდითო. კამათი ტაქტიკაზეა. მთავარ საკითხებში ისინი ერთსულოვანნი არიან. თუმცა ჩვენ სხვა ფორმაციაში, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ. არის ჩვენში რაღაც ადრეული. ამერიკის მოქალაქეებმა იციან: თუ რაიმე კავშირი გაქვს მტრის სპეცსამსახურებთან, ტელეფონსაც მოისმენენ და სამასწლიან პატიმრობასაც მოგისჯიან ზედვე, უმკაცრეს ფედერალურ ციხეში, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში - ნეოკონები თუ პეპლების მადევარი დემოკრატები. მოქალაქეები ამას გაგებით ეკიდებიან, ქვეყანა ომშია. მთელი ინტელექტუალური ამერიკის ყველაზე სვეტი საქსაფონისტი ლიდერი ბომბავდა ბელგრადს.

აღარაფერს ვამბობ ისრაელზე: კნესეტის ყოფილი ან დღევანდელი წევრები რომ გამოდიოდნენ ირანის ან პალესტინის არხებზე არაბულად და მათი აზრები ჰეზბოლას ლიდერების კომენტარებს ზუსტად ემთხვეოდეს. ტანკის ლულაში ჩატენიდნენ, ვთქვათ, გამყრელას ან შალიკოს, და გაისროდნენ, კაკოს უფრო მსხვილ კალიბრიან საზენიტო დანადგარში უკრავდნენ თავს. გუგავას და კუკავას რევოლვერშიც ჩაატევდნენ.

გნებავთ, ევროპაში წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, ყველაზე ლიბერალურ ჰოლანდიაში, აახვეხის ხეობაში რომ გათამაშდეს ასეთი სცენარი. ნიდერლანდების მთავრობა, რომელსაც ბიუჯეტში ათეულობით მილიარდი აქვს გამოყოფილი უსაფრთხოებისთვის და ნატო-ს წევრ ქვეყნებში საუკეთესო სამხედრო საჰაერო სალოკაციო სისტემები აქვს... რას ვერჩი აახვეხს, არ ვიცი... ნახშირი დარჩებოდა იმ ტერორისტებისგან და იმ პოლიტიკოსებისგანაც (ამათ დაბომბვა არ დასჭირდებოდათ, ჯოინთში შეაკეთებდნენ და მოწევდნენ ჰოლანდიელი ქეშები).

ისე, ფიზიკურადაც შორსაა ჩვენგან ცივილიზებული კონტინენტები. შორია გურჯისტანამდე. იქ რომ მოხვდე, ჯარისკაცის მამასავით ჯერ ფეხით უნდა იარო, მერე ურმით, მერე მარშრუტკით, მერე იმავე მარშრუტკით, ოღონდ ფრთებიანი, რომელშიც ქელეხის გასაშლელი სკამებია ჩამატებული რიგებს შორის. მაინც, ვინმე დაუპატიჟებელი ცოტა გაუპარსავი, დაბღვერილი, მოტერორისტო მგზავრი რომ შემოეხეტოს, ცოტა ბუზები და შინაურებისთვის სიგარეტის მოწევა, უფრო ახლობლებისთვის - რამე სხვაც.

ახლა წარმოვიდგინოთ, შევარდნაძის რეჟიმი რას იზამდა ასეთი კრიზისის დროს. გაგზავნიდა კრემლში კაცს, რას მიშვებით, თქვე უსინდისოებო, აფხაზეთი, სამაჩაბლო ჩაგაბარეთ, აჭარა თქვენია, ჯარების გაუყვანლობაზე ოცდახუთი წლით გიწერთ ხელს და ამასობაში დაიხოცებიან ეს ქართველები შიმშილით, თქვენ არ გრჩებათ ეს ტერიტორია, თქვე უმადურებოო? ეს მოხუცებულობა წყნარად გამატარებინეთ კანცელარიაშიო... კოდორში გაგზავნიდა ქურდებს, კანონიერსაც და ბიუჯეტისაც, გაატანდა ჩემოდნით ქეშს; ბაბაჯოს შესთავაზებდა კულტურის მინისტრობას ან უნივერსიტეტის რექტორობას (ემზარს ეს უფრო უნდოდა), ამ დროს თბილისის ქუჩებში რეიდები, მოქალაქეების დაწიოკება, პრაკოლების გასინჯვა, თავად პრაკოლიანი, ტყავისკურტკიანი ბანძების მიერ, მერე ქრთამის გამორთმევა, ემზარი უნივერსიტეტის რექტორი, ცოტა პრეზიდენტობაზეც მეოცნებე.

აფხაზეთის მოვლენების დროს ყველას გვახსოვს, როგორ მუშაობდნენ სახელმწიფოს სტრუქტურები, რომლებიც საერთოდ არ არსებობდა. სამხედრო შტაბი ცენტრალური ტელევიზიით აცხადებდა - 5-ის ნახევარზე გუმისთიდან გავიდა მწვანე ტანკი, მარცხენა კრილო ცოტა გასმული აქვს, შიგნით სხედან გოდერძი, გელა, ჯაგა, ვამეხი და კრისა. ამათი გვარები, საცხოვრებელი ადგილები, დაბადების თარიღები. მიდიან შრომა საკენის მიმართულებით, დანიშნულ ადგილას იქნებიან ექვსის ჩეთვერზე.

P.S. ხერხეულიძეები მეწინავეთა რაზმის წევრები იყვნენ საუკუნეების განმავლობაში, რაც დღევანდელ სამხედრო ენაზე სპეცრაზმს ნიშნავს. ამიტომაც მათ მინდა ვუთხრა მადლობა, ისრაელის ძალოვანებივით იმუშავეს.

ზაფხულის 5 საღამო
მაგთისგან
მობრძანდით და ისიამოვნეთ
თანამედროვე ქართული მუსიკით!
დასწრება უფასოა

გეპატიჟებით ყველას მცხეთის "თეატრონში"
პარასკევს, 4 აგვისტოს, 18:30-ზე, ჯგუფების:
ვაკის პარკი, Jazz or cat
კონცერტზე
მცხეთის „თეატრონი" თბილისიდან ოციოდე წუთის სავალზე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ისტორიული ძეგლის — ბებრისციხის — კალთებზეა განლაგებული, სადაც არც მოსვლა გაგიჭირდებათ და არც მანქანის გაჩერება.
უფასო ავტობუსები გადის 18:00, 18:30
სპორტის სასახლე, მეტროს სადგურები დელისი, დიდუბე და ავლაბარი.
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 00 00, 25 11 11
მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

მოკლედ

## ბათიაშვილის საქმე სტრასბურგამდე მივა

ამბოხებულთათვის ინტელექტუალური დახმარების გაწევაში ბრალდებულის, უშიშროების ყოფილი მინისტრის, ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას აპროტესტებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ადვოკატი სოსო ბარათაშვილი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

**"გამოძიებამ ვერ წარმოგვიდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ირაკლი ბათიაშვილი დამნაშავეა. სასამართლო პროცესზე ვერც სასამართლომ და ვერც ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებანი, რომლითაც შეიარაღებული მეამბოხეებისთვის ირაკლი ბათიაშვილის მიერ გაწეული ინტელექტუალური დახმარება დადასტურდებოდა. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლო და დაუსაბუთებელია. ის აუცილებლად გასაჩივრდება",** - აცხადებს ბათიაშვილის ინტერესების დამცველი.

სოსო ბარათაშვილი ირწმუნება, რომ გამოძიებას აქვს საკმაოდ უსუსური მტკიცებულებები მისი დაცვის ქვეშ პასუხისგებაში მისაცემად და ბრალდებულის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. ადვოკატის ვარაუდით, ირაკლი ბათიაშვილის საქმე სტრასბურგის სასამართლომდე მივა.

შეგახსენებთ, რომ გენერალური პროკურატურა ირაკლი ბათიაშვილს ორი მუხლით სდებს ბრალს - შეიარაღებული ამბოხების ინტელექტუალური ხელშეწყობა და დანაშაულის დაფარვა, რაც, გენპროკურატურის ინფორმაციით, გამოიხატა ემზარ კვიციანთან სატელეფონო საუბრებში, ამბოხების ხელშეწყობასა და რჩევების მიცემაში.

"მან არ შეატყობინა საქართველოს ხელისუფლებას მოსალოდნელი ამბოხების თაობაზე", - აცხადებენ პროკურატურაში.

*24 საათი*

## დაკავება ფულის გამოძალვის ფაქტზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა გუშინ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივის ტერიტორიაზე სპეცოპერაცია ჩაატარა. შსს-ს ინფორმაციით, ოპერაციის შედეგად დააკავეს ქურდული სამყაროს წევრობასა და ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი ორგანიზებული ჯგუფის ლიდერები.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ყოფილი პოლიციელი ნუგზარ ასანიშვილი და გოჩა გულორდავა, მეტსახელად "კოლო", წინასწარი დაკავების საკანში არიან.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, დაკავებულები, ქურდული სამყაროს წევრების სახელით, თბილისში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს, მცირეწლოვანი შვილებისა და მეუღლის გატაცების მუქარით, 10 ათას დოლარს სძალავდნენ.

სოდ-ის თანამშრომლებმა ასანიშვილი და გულორდავა დაზარალებულისგან გამოძალული თანხის მიღების ფაქტზე დააკავეს. მათ წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი იძიებს.

*24 საათი*

## საპყრობილეში პატიმრებს ტუბერკულოზზე გამოიკვლევენ

ბათუმის საპყრობილეში პატიმრებს ტუბერკულოზზე გამოიკვლევენ. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ჯგუფი ბათუმის N3 საპყრობილეში, ტუბერკულოზის შემთხვევათა ადრეული გამოვლენის მიზნით, 1 აგვისტოდან 12 აგვისტომდე გამოკვლევას ჩაატარებს.

გამოკვლევის დასრულებისთანავე საპყრობილეში ახალი, კეთილმოწყობილი სამედიცინო პალატები გაიხსნება, რომლებიც იუსტიციის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით გარემონტდა.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ტუბერკულოზზე გამოკვლევა ჩაუტარდება ბათუმის საპყრობილეში მყოფ 610-ვე პატიმარს.

როგორც ცნობილია, საპატიმრო დაწესებულებებში ტუბერკულოზთან ბრძოლაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საქართველოს 1998 წლიდან ეხმარება. ამ თანამშრომლობის შედეგად ლაბორატორიებისა და სამედიცინო ნაწილების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულია სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კერძოდ: ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რუსთავის N1 დაწესებულებაში, თბილისის N5 საპყრობილეში.

ბოლო წლებში საპატიმრო დაწესებულებებში ტუბერკულოზზე პატიმართა გამოკვლევისა და მკურნალობის სტატისტიკა ასეთია: 2004 წელს გამოკვლეულია 7 612, რომელთაგან 320-ს დაავადება დაუდგინდა. 2005 წელს გამოკვლეულ 12 454 პატიმარს შორის 357 დაავადებული იყო, ხოლო 2006 წლის 6 თვეში გამოკვლეული 7 099 ადამიანიდან ტუბერკულოზი 279-ს დაუდგინდა. ყველა დაავადებული DOTS-ის სტრატეგიის მიხედვით მკურნალობს.

*24 საათი*

## მითვისებული თანხის ოდენობას კომპლექსური რევიზია ადგენს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველომ გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე შპს "აპრილი 96"-ის წინააღმდეგ წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, შპს "აპრილი-96", რომელიც გურჯაანში მდებარე ავტოტექმომსახურების დიდი ცენტრია, ბიუჯეტს გადასახადს უმალავდა.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, საბუღალტრო დოკუმენტაციას კომპლექსური რევიზია ჩაუტარდება, რაც დამალული თანხის ზუსტ ოდენობას განასზღვრავს.

გამოძიება გადასახადისთვის თავის არიდების მუხლით დაიწყო.

ფინანსურმა პოლიციამ შპს "ფსიქიატრიის ნარკოლოგიური ლაბორატორიის ერთჯერადი ალკოჰოლური თრობის ექსპერტიზის" ყოფილი დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის წინააღმდეგაც აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, ყოფილმა დირექტორმა და მთავარმა ბუღალტერმა თანამშრომელთა კუთვნილი ხელფასები მიითვისეს.

სტაციონარის საბუღალტრო დოკუმენტაციას უკვე კომპლექსური რევიზია უტარდება, რის შემდეგაც მითვისებული თანხის ოდენობა განისაზღვრება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# განცხადება

## ქალაქ ოზურგეთის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქალაქის წყალმომარაგების შიდა-საქალაქო ქსელის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. M

**მომსახურების გაწევის სასურველი ვადა** - ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვე, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ქუჩებზე - არსებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად;

**დაფინანსების წყარო** - ადგილობრივი ბიუჯეტი;

D

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო კომისიას უნდა წარმოუდგინონ:

**- განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ** (დალუქვის გარეშე),

**- სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები** (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე მიმდინარე წლის 21 აგვისტოდან 26 აგვისტოს 17 სთ-მდე მისამართზე: 3500, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N3. II სართული (ქ. ოზურგეთის გამგეობა)

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

***ფიზიკური პირებისათვის:***

- მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი და შესყიდვის მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ცნობა სასამართლოდან, ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

***იურიდიული პირებისათვის:***

- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და/ან სანაციის საქმისწარმოება;
- ცნობა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:***

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი;
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ (კონკრეტული შესრულებული სამუშაოს მითითებით, ხელშეკრულების ასლთან ერთად);
- ინფორმაცია სამუშაოთა წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| № | ტექნიკის დასახელება | ტექნიკის აღწერილობა (მოდელი, ტიპი, მარკა) | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, მოძველებული და სხვ) | საკუთრების და/ან მფლობელობის ფორმა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | | | |

- ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილე პირის სპეციალისტების კვალიფიციურობისა და გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| № | თანამდებობა, სპეციალობა | სახელი, გვარი | ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება (წელი) | დაბადების თარიღი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | | |

- ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ (გასული წლის სრული და მიმდინარე წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში);

სატენდერო წინადადება ხელმოწერილ ინდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის და/ან პრედენდენტი ფიზიკური პირის მიერ.

დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელი სახით.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. Mმისი მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ 2006 წლის 21 აგვისტოს 17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საკონტაქტო პირს - თეა მიმინოშვილს, ტელეფონის ნომერზე: 895 53 08 73 E-mail: teamiminoshvili@mail.ru

*სატენდერო კომისია*

# სამხრეთ ოსეთი კონფლიქტის მოლოდინში

*თბილისთან კონფრონტაციის გამო შიშითა და ძალადობით აღსავსე ზაფხულის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა უარესის მოლოდინშია.*

ირინა ქელეხსაევა, ცხინვალი

სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის სოფელ ერგნეთთან მდებარე არაოფიციალური სასაზღვრო პოსტი ივლისში სამხრეთ ოსეთისათვის დაძაბულობის ერთ-ერთი ეპიცენტრი იყო. უკვე რამდენიმე თვეა, საზღვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფები აკონტროლებენ. პოსტზე ფორმიანი, შავნიღბიანი ქართველი ჯარისკაცები დგანან.

ამ პოსტთან უკვე სამი კვირაა რამდენიმე ავტომანქანა იცდის. ამ მანქანებით სომხური წარმოშობის რუსეთის, სომხეთისა და ლიტვის მოქალაქეები სამხრეთ ოსეთის გავლით სომხეთში მოხვედრას ცდილობენ. პოსტამდე მათ ჩრდილოეთ ოსეთი გამოიარეს და როკის გვირაბის გავლით არაღიარებულ რესპუბლიკაში მოხვდნენ. მათ თან ახლავს ოცამდე ბავშვი, რომლებსაც არც კი ახსოვთ, ბოლოს როდის დაიბანეს ტანი ან როდის ჭამეს ნორმალური საჭმელი.

აგარონ ბაბაიანი სომხეთში ვოლგოგრადიდან მიემგზავრება და აქ უკვე მეცხრამეტე დღეს ატარებს. მისი თქმით, ერთადერთ მიზეზად, რის გამოც მას არ ატარებენ, "სამხრეთ ოსეთის გავლით მგზავრობა" დასახელდა.

ცხელი ზაფხული სამხრეთ ოსეთისათვის დაძაბულიც აღმოჩნდა. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებამ იმის შესახებ, რომ მომავალ ახალ წელს ცხინვალში უნდა შეხვდეს.

21 ივლისს თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების დარგში გიორგი ხაინდრავა, რომელიც სამხრეთ ოსეთის საკითხებზე მუშაობდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იგი კონფლიქტურ რეგიონში არსებული სიტუაციის შეფასებაში ოქრუაშვილს ღიად არ დაეთანხმა.

სამხრეთ ოსეთი თბილისს 1992 წლიდან აღარ ემორჩილება და დამოუკიდებლობა აქვს გამოცხადებული. რამდენიმეწლიანი შედარებითი სიმშვიდის შემდეგ 2004 წლის ზაფხულში აქ ისევ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, რომლებსაც ათობით ადამიანი შეეწირა.

ამ ზაფხულს ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფელ თამარაშენში, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უმრავლესობას რუსული პასპორტები აქვს, რაც თამარაშენთან განლაგებული ქართველი პოლიციელების მიერ მათი შევიწროების საბაბი ხდება.

დინა ალბოროვამ, ადამიანის უფლებათა დამცველმა სამხრეთ ოსეთიდან, ეს საკუთარ თავზე გამოსცადა.

"ივნისის ბოლოს საზღვარგარეთ მოგზაურობიდან სახლში, ცხინვალში მოვემგზავრებოდი. თამარაშენთან ჩვენი მანქანა ორმა ქართველმა გააჩერა და პასპორტები მოგვთხოვა. მათ არაფერზე ეტყობოდათ, რომ სამხედროები იყვნენ, ამდენად, ვერ გავიგეთ, რომელ უწყებას წარმოადგენდნენ. ჩვენი ნივთები დაათვალიერეს და საბუთების შემოწმებას შეუდგნენ. შემდეგ მოითხოვეს ვიზა, თუმცა იცოდნენ, რომ ცხინვალში ვცხოვრობ. მამასხარავებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ საქართველო და მე, რუსეთის მოქალაქე, ამ ქვეყანაში შემოსვლას ვცდილობ", – ამბობს ალბოროვა.

ცხინვალელი ბიზნესმენის ზალინა გაბაევას თქმით, იმავე პოსტზე რუსეთის პასპორტი მანაც წარმოადგინა, რის შემდეგაც ფორმიანი კაცი პასპორტის დახევით დაემუქრა.

პირველად სიტუაცია ერთ თვეზე მეტი ხნის წინ დაიძაბა, როცა 14 ივნისს საქართველოს პოლიციის პოსტმა მოულოდნელად სოფელ ფრისისაკენ 400 მეტრით გადაიწია და სოფელში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი გამოჩნდა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია.

ამას მოჰყვა სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ოლეგ ალბოროვის დაღუპვა. ადრე დილით 9 ივნისს გარაჟის გაღებისას მას დისტანციური მართვის ბომბი აუფეთქდა.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ალბოროვის მკვლელობის მოწყობაში საქართველოს მთავრობა დაადანაშაულა, თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები სხვა შესაძლო მიზეზებსაც ასახელებს. მაგალითად, იხსენებენ ინციდენტს, როცა ალბოროვმა მისი მანქანის გატაცების მცდელობისას მოზარდი მოკლა.

ხუთი დღის შემდეგ კიდევ ერთი აფეთქება მოხდა. ამ შემთხვევაში სამიზნე სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრი და თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი შენაერთის მეთაური ბალა ბესტაუთი იყო. აფეთქებას ორი გამვლელი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, თვით ბესტაუთი კი სიკვდილს გადაურჩა. ბესტაუთი სამხრეთ ოსეთში პოპულარული და პატივცემული პირია. იგი 2004 წელს ცხინვალის მახლობლად მდებარე ფრისის სიმაღლეების დაცვაში მონაწილეობდა. ამდენად, ეს აფეთქება უმრავლესობამ წმინდა პოლიტიკურ აქტად აღიქვა.

უახლოეს მომავალში ომის დაწყების მოლოდინი განსაკუთრებით გამძაფრდა 13-14 ივლისს, როცა სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის დამაკავშირებელ ტარნსკავკასიურ მაგისტრალზე გამოჩნდა 300 სამხედრო მანქანის, ტანკისა და სხვა სამხედრო ტექნიკისაგან შემდგარი კოლონა, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან როკის გვირაბისაკენ მოემართებოდა.

მოსახლეობამ მხოლოდ სამი დღის საინფორმაციო ვაკუუმის შემდეგ შეიტყო, რომ ჯავშანტექნიკის კოლონა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რუსეთის არმიის "წვრთნაში" მონაწილეობდა.

16 ივლისს რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ "საჭიროების შემთხვევაში სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ძმებს ყველა სახის დახმარება გაეწევათ".

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტმა 18 ივლისს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ დადგენილება მიიღო.

21 ივლისს გიორგი ხაინდრავას გადაყენებამ ბევრს განუმტკიცა მოსაზრება, რომ საქართველო ომისთვის ემზადება.

სამხრეთ ოსეთის სახელით საქართველოსთან მოლაპარაკებებში მონაწილე ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ "საქართველოს ხელისუფლებაში "ომის პარტია" იმარჯვებს. გიორგი ხაინდრავას გადადგომა თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დაწერილი სცენარის გაგრძელებაა და მიზნად კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრას ისახავს".

ამ მოსაზრებას სამხრეთ ოსეთის მცხოვრები იური ძიცოითიც ეთანხმება.

"ჩემი აზრით, ომის პერსპექტივა რეალურია. თოფი, რომელიც პირველ მოქმედებაში კედელზე უქმად ჰკიდია, მეორეში აუცილებლად გავარდება. ისინი წვრთნებს ატარებენ, ბაზებსა და მორგებს აშენებენ, ე.ი. რაღაცას აპირებენ. შემთხვევითი არც ისაა, რომ რუსეთმა ჯარები როკის გვირაბს მოაყენა. მართლა ხომ არ დავიჯერებთ, რომ (ქართველები და რუსები) ერთი-ორჯერ გაისვრიან და ჩვენს ტერიტორიას გვერდს აუვლიან?" – ამბობს ძიცოითი.

ამდენად, სამხრეთ ოსეთი ომის მოლოდინშია. ყველა ასაკის მამაკაცს გაწვევის პუნქტებში იბარებენ და შეიარაღებულ ლაშქარში გაწვევისათვის ამზადებენ.

გაწვევას ნარკოლოგიური კლინიკა "ნადეჟდას" პაციენტებიც კი ექვემდებარებიან. ამ დაწესებულების დირექტორი ლირა ცხოვრებოვა ამბობს, რომ მისი პაციენტებიდან ორი უკვე გაიწვიეს, რის გამოც მათ მკურნალობა შეწყვიტეს და სამხედრო წვრთნის გასავლელად გაემგზავრნენ.

სამხრეთ ოსეთის სხვა მცხოვრებთა თქმით, ისინი ღმერთს ევედრებიან, რომ კიდევ ერთი ომი არ დაიწყოს.

მასწავლებელი ესმა აბაევა ამბობს, რომ "ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ისინი (ქართველები) სულ დაკარგავენ გონებას, რადგან ეს საქართველოს დასასრული იქნება. ომს ისინი ნამდვილად წააგებენ. თუ ომი მაინც დაიწყო, მე არსად წავალ. აქ დავიბადე, აქ ვცხოვრობ და ჩემი ხალხის გათავისუფლებას მინდა მოვესწრო".

"არ მგონია, ომი დაიწყოს. ამაში დარწმუნებული ვარ. ქართველებმა იციან, რომ ამ ომს წააგებენ. ამაში ყველა რიგითი ქართველი დარწმუნებულია. თუ ომი მაინც დაიწყო, ჩემს შვილებს გავარიდებ, თვითონ კი აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. დარწმუნებული ვარ, ომი არც რიგით ქართველებს სჭირდება", – პენსიონერი ვერა ჯაგაევა.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანში „ჰოლანდიური დაავადების" საკითხი განიხილება

*ნავთობით მდიდარ ქვეყანაში იმაზე მსჯელობენ, თუ რა ეკონომიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს ახალი სიმდიდრის მოულოდნელ შემოდინებას.*

ნურლანა გულიევა, ბაქო

ამ თვეში ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელმაც აზერბაიჯანს ზღაპრული შემოსავალი უნდა მოუტანოს. ნავთობსადენის გახსნასთან ერთად გაისმის გაფრთხილება, რომ დიდი შემოსავლების შემოდინებას, მათი არასწორად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება დიდი პრობლემებიც მოჰყვეს.

1760 კილომეტრის სიგრძისა და 4 მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობსადენი აზერბაიჯანის ნავთობისათვის ახალი გასასვლელია მსოფლიო ბაზარზე. მისი ამოქმედების აღსანიშნად თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანში 13 ივლისს გრანდიოზული ცერემონია გაიმართა.

ნავთობსადენის მმართველი აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პროგნოზით, თუ ერთი ბარელი ნავთობის ფასი 60 დოლარი იქნება, მხოლოდ წელს აზერი-ჩირაღ-გუნეშლის საბადოებში მოპოვებული ნავთობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2.8 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს.

"ბრიტიშ პეტროლეუმის" აზერბაიჯანის წარმომადგენლობის ექსპერტთა შეფასებით, თუ მომდევნო 10-12 წლის განმავლობაში ნავთობის მაღალი ფასები შენარჩუნდება, შემოსავლებმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს შეიძლება ორჯერ გადააჭარბოს. მათი თქმით, მომავალი 20 წლის განმავლობაში აზერბაიჯანი თავისი ენერგორესურსების ექსპორტიდან 140 მილიარდი დოლარის ოდენობის შემოსავალს მიიღებს.

ნავთობპროდუქტები აზერბაიჯანის ექსპორტის 84 პროცენტს ისედაც შეადგენს. ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ეს მაჩვენებელი არც მომავალში შემცირდება. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანისთვის სწორედ აქ იმალება როგორც პოტენციური პრობლემები, ისე უპირატესობები.

ნავთობდოლარები უკვე ახდენს გავლენას რიგითი მოქალაქეების ცხოვრებაზე. 2006 წლის პირველი ექვსი თვის სტატისტიკური მონაცემებით, მათი შემოსავლები ერთი წლის განმავლობაში 19.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საშუალო ხელფასმა 135 მანათს (დაახლოებით 150 დოლარს) მიაღწია, ანუ ერთი წლის წინანდელ დონესთან შედარებით ერთი მეხუთედით გაიზარდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნავთობის ფასი კვლავაც იზრდება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი არიფ ველიევი ამბობს, რომ გასულ წელს ინფლაციის დონე 6 პროცენტს არ აღემატებოდა, ამ ზაფხულს კი ზოგიერთ საკვებ პროდუქტზე ფასი გაორმაგდა. თვით ხილი და ბოსტნეულიც კი, რომლებიც ჭარბადაა აზერბაიჯანის სამხრეთში, გასულ წელთან შედარებით 30 პროცენტით გაძვირდა.

"ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მიმოქცევაში დიდი ოდენობის ფულია", – განუცხადა ჟურნალისტებს ამ კვირაში აზერბაიჯანის ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გუნდუზ მამედოვმა.

"ნავთობის შემოსავლების ზრდასთან ერთად გაიზრდება "ზედმეტი" ფულის ოდენობაც, ამიტომ მთავრობა უკვე ფიქრობს, თუ როგორ დახარჯოს დამატებით შემოსული სახსრები", – დასძინა მან.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ჰეიდარ ბაბაევის თქმით, აზერბაიჯანში უკვე გამოჩნდა "ჰოლანდიური დაავადების" პირველი სიმპტომები, ანუ ეკონომიკის დეფორმაცია ერთ რომელიმე სექტორზე მისი ზედმეტი დამოკიდებულების გამო. ეს ტერმინი წარმოიშვა 60-იან წლებში, როცა ნიდერლანდებში გაზის საბადოები აღმოაჩინეს, რის გამოც წარმოების სექტორმა დეგრადაცია განიცადა. ბაბაევმა იქვე დასძინა, რომ თვით „დაავადება" აზერბაიჯანში ჯერჯერობით არ შეინიშნება.

ბაქოს ეკონომიკური კვლევის ცენტრის დირექტორი გუბად იბადოღლუ კი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკაში ჰოლანდიური დაავადების ოთხივე შედეგი შეიმჩნევა.

უბადოღლუს აზრით, პირველი სიმპტომია ინფლაციის ალმავალი დონე და გამყარებული ეროვნული ვალუტა. ამ წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში მანათი წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 4 პროცენტით გამყარდა. "შედეგად მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობა შემცირდა", – აღნიშნა მან.

იბადოღლუმ აღნიშნა სხვა სიმპტომებიც და განმარტა, რომ ენერგეტიკის სექტორმა სხვა დარგებიდან ყველა საუკეთესო სპეციალისტი მიიზიდა და გადაიქცა ერთადერთ სფეროდ, რომელშიც ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში იდება.

ამ მოსაზრებას მთავრობის წარმომადგენელი ოქთაი ახვერდიევი არ ეთანხმება.

"აზერბაიჯანის ეკონომიკაში ხუთი-ექვსი ძირითადი დარგია", – ამბობს იგი და მაგალითად მოჰყავს მანქანათმშენებლობა, ლითონგადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. მისი თქმით, "ჰოლანდიური დაავადება იმ ქვეყნებში ჩნდება, სადაც მხოლოდ ერთი დარგია განვითარებული", – ამბობს ახვერდიევი.

ახვერდიევი ამბობს, რომ მთავრობას უკვე შემუშავებული აქვს ნავთობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების 2025 წლამდე გათვლილი გრძელვადიანი სტრატეგია, შექმნილია აგრეთვე ნავთობის ფონდი, რომლის ფუნქციაც ამ შემოსავლების აკუმულირება და ხარჯვაა. წლის ბოლოსათვის ფონდი სამ განყოფილებად ანუ საინვესტიციო პორტფელად დაიყოფა და სხვადასხვა დარგს მოემსახურება.

პირველის პორტფელის ფუნქცია ხარჯვითი იქნება. ამჟამად ფონდი სახსრებს ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალი პირებისათვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად გამოყოფს.



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოფიციალური გახსნის ცერემონია ჯეიჰანში

სახსრები გამოიყოფა აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტისათვის და გარკვეული ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტშიც ირიცხება.

მეორე პორტფელის ფუნქცია სტაბილიზაციაა. მასში შესული თანხები ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად იმ შემთხვევაში იქნება გამოყენებული, თუ მსოფლიო ბაზარზე არსებული ნავთობის ფასები არ იქნება საკმარისი ქვეყნის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. თანხების გამოყენება შესაძლებელი იქნება აგრეთვე საგანგებო სიტუაციებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგების აღმოსაფხვრელად. ექსპერტების შეფასებით, მეორე პორტფელი მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს.

მესამეა სპეციალური საინვესტიციო პორტფელი. აქ იმ სახსრების აკუმულირება მოხდება, რომლებიც აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილ ნავთობის ფასებსა და მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებს შორის განსხვავების შედეგად წარმოიქმნება. ამა წლის ბიუჯეტში ერთ ბარელ ნავთობზე 40 დოლარი დაიგეგმა, რეალურმა ფასმა კი 75 დოლარს გადააჭარბა.

მთავრობამ ქვეყნის მოსახლეობაზე ფონდის შემოსავლების უბრალო გადანაწილების იდეაზე უარი თქვა, რადგან ეს მოხმარების მოკლევადიან ზრდასა და ინფლაციის დონის ამაღლებას გამოიწვევდა.

"ფონდში ამჟამად დაახლოებით 2 მილიარდი დოლარია", – ამბობს ფინანსთა მინისტრი სამირ შარიფოვი, რომელიც ადრე ფონდის ხელმძღვანელი იყო.

"აღნიშნული თანხა 8 მილიონ ადამიანზე რომ გაგვენაწილებინა, თითოეული დაახლოებით 250 დოლარს მიიღებდა. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს თანხა ხალხისთვის რომ დაგვერიგებინა, როგორ გამოიყენებდნენ? მაშინვე წავიდოდნენ მაღაზიაში და დახარჯავდნენ. ეს კი საქონლის დეფიციტს გამოიწვევდა, გაიზრდებოდა ფასები და ინფლაციის პროცესიც უმართავი გახდებოდა. ამიტომ უმჯობესია ეს სახსრები ეკონომიკაში ჩაიდოს. ასე უფრო სასარგებლო იქნება", – დასძენს იგი.

კიდევ ერთი დამოუკიდებელი ეკონომისტი ინგილაბ ახმედოვი მიიჩნევს, რომ ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რა შედეგს მოიტანს ამ თანხების შემოდინება. მისი თქმით, აზერბაიჯანი, "ნებისმიერი სხვა განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, ერთდროულად ვითარდება და სწავლობს", როგორ გამოიყენოს ახალი შემოსავლები.

"დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნავთობიდან შემოსულმა ფულმა უარყოფითად არ იმოქმედოს კონკურენტუნარიანობაზე ბიზნესში, სადაც თამაშის განსაზღვრული წესები მოქმედებს. სწორედ ეს მაშინებს და სწორედ ამიტომ ჩემი წინადადებაა, ფული მცირე დოზებით დაიხარჯოს, თანაც გარკვეულ საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად იყოს მიმართული", – განაცხადა ახმედოვმა.

www.iwpr.net

# სომხეთი: ხელისუფლება ოქროს მომპოველი კომპანიის წინააღმდეგ

*მადნეულის მომპოვებელი ამერიკული კომპანია სომხეთის ხელისუფლებას კომპანიისთვის ქონების ჩამორთმევის მცდელობაში ადანაშაულებს.*

სუსანა პეტროსიანი, ერევანი

სომხეთის გარემოს დაცვის სამინისტრო ოქროს მომპოვებელი ამერიკული კომპანიისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას აპირებს. კომპანიასთან დაპირისპირების ფონზე ინვესტორების უფლებები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კონექტიკუტის შტატში დაფუძნებული კომპანია „გლობალ გოულდ კორპორეიშენი" (GGC) და ავსტრალიური კომპანია „იბერიან რისორსი" სომხეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე მარჯანის ოლქში ოქროს, ვერცხლისა და თუთიის მომპოვებელ სამუშაოებს 2007 წლის ბოლომდე აწარმოებენ.

ახლა კი სამინისტრო აცხადებს, რომ კომპანიამ მადნეულის მოპოვების უფლება დაკარგა. თუმცა GGC მომპოვებელ სამუშაოებს განაგრძობს.

ზოგიერთის განცხადებით, სომხეთი საბადოს დაბრუნებასა და შემდეგ რუსულ კომპანიაზე მიყიდვას ცდილობს. რუსეთი სომხეთში ყველაზე დიდი ინვესტორია. რუსული ინვესტიციები ქვეყანაში 400 მილიონ დოლარს აღწევს.

თუმცა, როგორც ხელისუფლება ირწმუნება, კომპანიამ ლიცენზია იმიტომ დაკარგა, რომ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო.

„ლიცენზია სამინისტრომ გასცა და მისი ჩამორთმევაც სამინისტროს შეუძლია", – განაცხადა გარემოს დაცვის სამინისტროს მიწისქვეშა წიაღისეულის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა გრანტ ავეტისიანმა. მან აღარ დააკონკრეტა, აპირებს თუ არა სამინისტრო კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას.

„GGC-მ სამუშაოს მხოლოდ ხუთი პროცენტი შეასრულა. მათ ინვესტორის მოვალეობები არ შეასრულეს. რადგან კომპანია უკანონოდ მუშაობას ველარ გააგრძელებს, უნდა წავიდეს და ის სხვა ჯგუფმა ჩაანაცვლოს", – განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრმა ვარდან აივაზიანმა.

თუმცა, როგორც GGC-ს რეგიონულმა დირექტორმა აშოტ ბოღოსიანმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, კომპანიამ საბადოებზე მუშაობა ახლახან დაიწყო და სამუშაოების შესაჩერებლად არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ბოღოსიანის განცხადებით, კანონის თანახმად მისი კომპანიისთვის მომპოვებელი სამუშაოების შეჩერების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ამასთან, მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების შესახებ კომპანიას სასამართლო პროცესის გამართვამდე 90 დღით ადრე უნდა ეცნობოს.

სომხეთის ვაჭრობის სამინისტროს შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გაგიკ ადიბეკიანმა დაადასტურა, რომ კომპანიისთვის ლიცენზიის ჩამოსართმევად სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო.

„არავითარი გაფრთხილება არ მიგვიღია და ვერ ვხვდებით, რა დავარღვიეთ", – განაცხადა ბოღოსიანმა.

„თუ სამინისტრო ჩვენთვის ლიცენზიების ჩამორთმევას და სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემას შეეცდება, ეს ქმედება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ექსპროპრიაცია. ვფიქრობ, ამის საფუძველი არ არსებობს და იმედი მაქვს, GGC-ს ინვესტიციებს არ ჩამოართმევენ, რადგან ეს ნაბიჯი სერიოზულ პასუხისმგებლობას უკავშირდება", – დასძინა ბოღოსიანმა.

როგორც კომპანიის პრეზიდენტი და უფროსი მრჩეველი ვან კრიკორიანი აცხადებს, GGC-ს საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში სომხეთის ხელისუფლება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან საწინააღმდეგმდეგო ზომების მიღებას უნდა ელოდოს, რადგან კომპანიამ შესაძლოა საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართოს.

„ჩვენთვის ლიცენზიის ჩამორთმევის გადაწყვეტილება უკანონოა", – აღნიშნა კრიკორიანმა IWPR-თან საუბრისას.

GGC სომხეთის მასშტაბით რამდენიმე პროექტს ახორციელებს და კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლომდე ქვეყანაში 10 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციის ჩადებას აპირებს. კომპანიის განცხადებით, საბადო ,,მარჯანში" მიმდინარე მომპოვებელ სამუშაოებზე 1.2 მილიონი დოლარის დახარჯვაა დაგეგმილი. აღნიშნული საბადო სავარაუდოდ 17.8 ტონა ოქროს, ვერცხლსა და თუთიას ძვირფას ლითონს შეიცავს.

პროექტში 400-მდე ადამიანია დასაქმებული. საბადოს მახლობლად მდებარე სოფლის – არევისის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აშოტ სააკიანმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საბადოს ამუშავებისა და კომპანიის მიერ მოძველებული ინფრასტრუქტურის აღდგენის პერსპექტივას იმედის თვალით უყურებს.

კომპანიამ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატისა და პროფესიით ეკონომისტის ტატულ მანასერიანის მხარდაჭერა მოიპოვა. მისი განცხადებით, შესაბამისი დასაბუთების გარეშე კომპანიისთვის ლიცენზიის ჩამორთმევამ შესაძლოა სომხურ-ამერიკულ ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედოს.

„GGC-ს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები მომავალში საინვესტიციო გარემოს არაპროგნოზირებადს ხდის. გაურკვევლობა კი არასტაბილურობის თვალსაზრისით ბიზნესისთვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს ქმნის", – განაცხადა მანასერიანმა.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ვაჭრობის სამინისტრო უკან დახევას არ აპირებს.

სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, GGC-მ ლიცენზია დაკარგა. არამედ შესაძლოა მალე საბადოზე სამუშაოების საწარმოებლად შერჩეული ახალი კომპანიის სახელიც გახდეს ცნობილი.

როგორც ხელისუფლების წყარომ IWPR-თან საუბრისას ანონიმურად განაცხადა, საბადო ,,მარჯანის" შეძენით რუსი ინვესტორია დაინტერესებული.

„ვალებში ჩამოწერის" მეთოდის წყალობით, რუსული კომპანიები ამჟამად სომხეთის ენერგოქსელს თითქმის მთლიანად აკონტროლებენ და სატელეფონო ქსელის შეძენის მიმართ ინტერესსაც კი იჩენენ. ზოგიერთი ექსპერტი ამ მოვლენას ეკონომიკურ „ანექსიად" აფასებს, რომელიც სომხეთის სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის. თუმცა ვაჭრობის მინისტრის კარენ ჩშმარიტიანის განცხადებით, „სანერვიულო მიზეზი არ არსებობს".

„ყველაფერი, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროცესები ჩვენი სრული კონტროლის ქვეშაა", – განაცხადა მინისტრმა.

მოწინააღმდეგეები ხელისუფლებას არ ენდობიან და GGC-სUისტორიას უფრო ფართომასშტაბიანი ფენომენის ნაწილად მიიჩნევენ.

„დღეს ინვესტორების მიმართ სომხეთის დამოკიდებულებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკა განსაზღვრავს, რომელიც ძირითადად რუსეთზეა ორიენტირებული", – განაცხადა ერევანის გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელმა სტეპან გრიგორიანმა.

„რუსეთი ფიქრობს, რომ მხოლოდ სამხედრო სფეროს საშუალებით სომხეთზე მისი გავლენის შენარჩუნება საკმარისი არ არის და ახლა ამ მიზნის მისაღწევად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას ცდილობს", – დასძინა გრიგორიანმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# სოფიკო - ГРУЗИЯ!

## ალა ბორისოვნა, ვერკა სერდიუჩკა, იგორ ნიკოლაევი ანუ მე მიყვარს ქართული ესტრადა

ია ვეკუა

სოფო ხალვაში ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მის საგულშემატკივროდ ხუთი დღის განმავლობაში არა მხოლოდ მისი მხურვალე გულშემატკივრები და რუსული პესნია-პლიასკის მოყვარულები, არამედ ისინიც კი შეწუხდებოდნენ, ვისთვისაც პოპმუსიკა და რუსული ესტრადა სახადის სინონიმია და მათ ხსენებაზე ცხვირს განზე სწევენ - ემანდ არაფერი შეგვეყაროსო. თუმცა მაინც ბოლომდე გავუძელით და შედეგიც დამაკმაყოფილებელი მივიღეთ - 312 ქულა, მესამე ადგილი და, რაც მთავარია, სოფიკო მაყურებელთა სიმპათია გახდა - ინტერნეტ-გამოკითხვაში 8 ათასამდე ქულა დააგროვა.

სოფიკოს საკმაოდ მწირი საესტრადო დოსიე აქვს. მისი ანკეტა "ნუცას სკოლაში" გამარჯვებით, ჯგუფ "სინათლის წელიწადის" პროექტ "თაობა XXI-ში" მონაწილეობითა და კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალით ამოიწურება. "ახალ ტალღაზე" გასამგზავრებლად სოფიკო "ჯეოსტარელ" აჩიკო ნიჟარაძესთან ერთად ემზადებოდა, თუმცა კონკურსის ორგანიზატორებმა არჩევანი მასზე შეაჩერეს და სოფიკო კონკურსის ერთადერთი ქართველი მონაწილე გახდა.

პირველ საკონკურსო დღეს სოფო ხალვაშმა "ტრადიციისამებრ" რევაზ ლაღიძის "თბილისო" შეასრულა. თუ დაკვირვებიხართ, საკმარისია ქართველი რაიმე სახის კონკურსზე ან ფესტივალზე მოხვდეს და მაშინვე მხოლოდ ეს სიმღერა ახსენდებათ. ცხადია, ლაღიძის ნაწარმოები გენიალურია, მაგრამ ჩვენს დროში... რა ვიცი, რა ვიცი... თუმცა ისიც ფაქტია, რომ "თბილისო" ნებისმიერ რუსს დღემდე უჩუყებს გულს და ამ სიმღერის კიდევ ერთხელ მოსმენისთვის ყველაფრისთვის მზად არიან (ნუ... ბოლომდე ყველაფრისთვის, რა თქმა უნდა, - არა). ამჯერად ჟიურიმ სოფიკოს "თბილისო" 100 ქულით შეაფასა.




მეორე დღეს ხალვაში დაიანა როსს დაესესხა და მისი Chain Reaction ძალიან კარგად, არტისტულად და ემოციურად შეასრულა. შედეგად 108 ქულა და სამეულში მოხვედრის დიდი შანსი მიიღო. მესამე საკონკურსო დღე ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა, რადგან კონკურსანტებს არა მხოლოდ კარგად უნდა ემღერათ და მაქსიმალური ქულები დაეგროვებინათ, არამედ სპეციალურად მათთვის დაწერილი სიმღერა მაღალ დონეზე უნდა შეესრულებინათ. სოფიკომ თემურ რცხილაძის სიმღერა შეასრულა. რცხილაძე რუსულ ესტრადაზე მიღებული კაცია და იცის იქაური გემოვნების ავან-ჩავანი. ამიტომ სოფიკოსთვის კოხტა და მარტივი მელოდია შექმნა და დაუფასდა კიდეც - 104 ქულა და გარანტირებული მესამე ადგილი.

პოპულარული მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი "ახალი ტალღა" სხვა არაფერია, თუ არა იურმალას ფესტივალი, რომელიც ჩვენი საბჭოთა ცხოვრების ერთ-ერთი გასართობი იყო სან რემოს ფესტივალთან (ეჰ, რაფაელა კარა...) და შაბათ-კვირას ზოოპარკში სიარულთან ერთად. ეს სწორედ ის იურმალაა, რომელზეც სოსო პავლიაშვილმა (რუსები რომ "სასოს" ეძახიან, ის) პირველი ადგილი აიღო და წელში გაგვმართა.

კონკურსი "ახალი ტალღა" კომპოზიტორ რაიმონდ პაულსთან ერთად ალბათ ერთადერთი ძაფია, რომელიც რუსეთსა და ლატვიას (და მასთან ერთად ბალტიისპირეთს) აკავშირებს. კონკურსი ლატვიის ტერიტორიაზე ტარდება, თუმცა შინაარსით, საკონტაქტო ენითა და განწყობით წმინდა რუსული მოვლენაა. "ახალი ტალღა" უკვე მეხუთე წელია ამ სახელწოდებითა და სტატუსით იმართება, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მონაწილეები თუ იცვლებიან. ჟიურის წევრები და მუზები იგივენი რჩებიან.

აქ ნახავდით ყველას, ვინც კი რუსულ სცენაზე რაღაცას წარმოადგენს: იგორ კრუტოი, ძმები მელაძეები, იგორ ნიკოლაევი, ნიკოლაი ბასკოვი და ლაიმა ვაიკულე. ანუ ცოცხლად მომღერალ კონკურსანტებს ის ხალხი აფასდებდა, რომელიც ფონოგრამის გარეშე მხოლოდ აბაზანაში, შხაპის მიღებისას თუ ღიღინებს. ამბობენ, მათ აბაზანებში ტარაკნები არ არიანო...

ჟიურის შემადგენლობაში იყო გიტარისტი ალ დი მეოლაც. ეს ის კაცია, ოდესღაც ჩიკ კორეასთან, პაკო დე ლუსიასთან, ფრენკ ზაპასთან, ჰერბი ჰენკოკთან, ჯიმი პეიჯთან, ჯონ მაკლაფლინთან, სტივ ვაისთან, კარლოს სანტანასთან და მსგავსი სინჯის ვარსკვლავებთან რომ თანამშრომლობდა! ხუთი დღის განმავლობაში კი ალა ბორისოვნას ტინგიცს უყურებდა და "ვია გრას" დოზებს იღებდა. ტყუილად ნუ იწუწუნებს - ეს მისი არჩევანი იყო, არავის დაუძალებია! არადა, კაცი ზაპასთან უკრავდა!..

რაც შეეხება კონკურსის მუზას, ეს, რა თქმა უნდა, ლამის ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსული ესტრადის წმინდანად შერაცხული ალა ბორისოვნა პუგაჩოვაა (ნეტა, ასეთი სტატუსი მსოფლიოში რომელიმე კონკურსს თუ აქვს, თუმცა - Умом Россию не понять...)! ისიც კონკურსზე თავს დიასახლისად მიიჩნევს და ხან თავისი სახელობის პრიზებს აწესებს, ხანაც "დევჩატნიკს" პირდაპირ სცენაზე აწყობს. მაგალითად, ასე იყო ბოლო საკონკურსო დღეს. პუგაჩოვა თავისი პუტკუნა ფეხებით გამოგოგმანდა სცენაზე, ვარდისფერი პონჩოსმაგვარი სამოსი ააფრიალა და სცენაზე ქალები მოიხმო: "ვია გრა", კრისტინა (ორბაკაიტე), ჟანა (ფრისკე), ანჟელიკა (ვარუმი), ჟასმინი... ოეეე, კეკელა და მაროოო!..

ჩემი აზრით, ჩვენი ტელევიზია ხშირად უნდა გადმოსცემდეს ლონისძიებებს რუსი ესტრადნიკების მონაწილეობით. ასეთ დროს უფრო მეტად გიყვარდება შენი შოუბიზნესი, ყველას სხვა თვალით უყურებ და ძვალიც რაღაცნაირად საყვარელი და გემრიელი ხდება... არადა, ვინმე ინტრიგანს ჩვენები ყველაზე შაბლონურები, უნიჭოები, უვარგისები და ღვთის პირიდან გადავარდნილები ეგონება! ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ რუსებს ბევრი ფული, დიდი ბაზარი და შეუზღუდავი სითამამე აქვთ. ეს უკანასკნელი კომპონენტი კი ძალიან მნიშვნელოვანია - შიშველი სხეული ბევრს წყვეტს.

მაგრამ თუ ვერკა ხარ, სერდიუჩკა, მაშინ სულ სხვა სითამამე გჭირდება. იცოდით, ეს "ქალი" კაცი რომ ყოფილა?! არადა, ბასკოვს როგორ ეკეკლუცებოდა?! სცენაზე გამოსულმა ალას უთხრა, მეო, ის მატლი ვარ, მერე პეპელად რომ იქცევაო. ალამ მიუგო, განა პეპელა აქ მარტო მე არ ვარო? გენიალური დიალოგი იყო. ვისაც არ გიყურებიათ და არ მოგისმენიათ, ბევრი დაგიკარგავთ!

P.S. კიდევ კარგი, სოფო სამეულში მოხვდა. მისი გულშემატკივრობა ხუთი დღის განმავლობაში ამ ყველაფრის ყურებად და მოსმენად ღირდა!...

## "ცამეტი" ახალ კინოპროექტში მონაწილეობს

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის გელა ბაბლუანის ფილმ - "ცამეტის""მაყურებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ფილმი 24-30 აგვისტოს პროექტ - "ნამდვილი კინოს" ფარგლებში ნიჟნი ნოვგოროდში იქნება წარმოდგენილი. საერთაშორისო კინოჩვენების პროექტს კინოთეატრი "არლიონოკი" უმასპინძლებს.

"ცამეტი" 20 წლის სებასტიანის ცხოვრების პატარა მონაკვეთზე მოგვითხრობს, რომელიც უცნაური წერილის წყალობით სიურეალისტური მოგზაურობის უნებლიე მონაწილე ხდება. კინოკრიტიკოსთა აზრით, შავთეთრი ფერები სურათს გაცილებით უფრო ექსპრესიულს ხდის.

გელა ბაბლუანის სადებიუტო ფილმმა მოკლე ხანში არაერთი საერთაშორისო კინოპრიზი დაიმსახურა.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთის საუკეთესო ადამიანთა შორის

კინორეჟისორი გიორგი დანელია "რუსეთის საუკეთესო ადამიანთა" სიაში მოხვდა.

მისი სახელი, შემოქმედებით ბიოგრაფიასთან ერთად რუსული ენციკლოპედიის "რუსეთის საუკეთესო ადამიანების" უახლესი გამოცემის ფურცლებზე მოხვდა. მისი კანდიდატურა 500-კაციანმა საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭომ დაამტკიცა.

დანელია ენციკლოპედიის იმ განყოფილებაში მოხვდა, რომელიც ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს დაეთმოთ.

კინორეჟისორი ენციკლოპედიის უახლეს გამოცემაში შევიდა, რომელიც ორგანიზატორებმა საიუბილეო გამოცემად გამოაცხადეს.

გიორგი დანელია 1930 წელს თბილისში დაიბადა. ბავშვობა და შემოქმედებითი წლები მოსკოვში გაატარა. არის სსრკ სახალხო არტისტი, სსრკ და რუსეთი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორი და სპეციალური ჯილდოების მფლობელი.

ენციკლოპედიის მრავალფეროვან რუბრიკებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 15 ათასი პიროვნების სახელი მოხვდა. გამოცემა 2000 წლიდან ყოველწლიურად გამოდის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კულტურის მოღვაწეები

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი დააჯილდოვა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, რუსეთის სახელმწიფო მცირე აკადემიური თეატრის მსახიობი ირინა მურავიოვა "სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის" IV ხარისხის ორდენით დაჯიდლოვდა.

კულტურისა და ხელოვნების სფეროში შეტანილი წვლილისა და მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის "რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის" პრეზიდენტს ედუარდ დრობიცკის საპატიო ორდენი გადაეცა. იგივე ორდენი მიაკუთვნეს "რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის" თავმჯდომარეს ნიკოლაი პისარენკოს.

მეგობრობის ორდენებით დაჯილდოვდნენ "რუსეთის კულტუროლოგიის ინსტიტუტის" დირექტორი კირილ რაზლოგივი და კინემატოგრაფისტთა კავშირის დაღესტნის ფილიალის დირექტორი მუჰამედ სულეიმანოვი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) "რადიოლოგიისა და მოდელირების" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ბ) "სას-სამ მცენარეთა რადიობიოლოგიისა და ეკოლოგიის" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

გ) "სას-სამ პროდუქციის რადიაციული-ბიოლოგიური უსაფრთხოების" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

დ) "აგროეკოლოგიური მონიტორინგისა და პროგნოზირების" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ე) "ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიის" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ვ) "ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების მონიტორინგის" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს 31 ივლისიდან 31 აგვისტომდე. მისამართი: მცხეთა დაბა ზაჰესი, აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა ა.წ. 31 აგვისტოს დღის 18 საათამდე (1 თვე).

7. კონკურსში დაშვებულ მონაწილეთა სია გამოცხადდება ინსტიტუტში ა.წ. 7 სექტემბერს.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 14 სექტემბერს.

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

მცხეთა დაბა ზაჰესი, აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი.

e-mail: radioeko09@yahoo.com

ტელ: 65-80-33

პასუხისმგებელი პირი საკონკურსო კომისიის მდივანი გულიზარ ზარდიაშვილი.

## შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს

## ა უ ქ ც ი ო ნ ე ბ ს

**საზოგადოების საწესდებო ნკაპიტალში რიცხული ქონებების რეალიზების მიზნით, მათ შორის:**

**1. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე I კორპუსის სარდაფის 682,5 კვ.მ. ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა, I კორპუსი.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 682,5 კვ.მ.
- **ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 212,94 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 140000 (ასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია I კორპუსის სარდაფის სართულზე.

**2. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე II კორპუსის სარდაფის 564,8 კვ.მ. ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა, II კორპუსი.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 564,8 კვ.მ.
- **ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 176,22 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 115000 (ასთხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია II კორპუსის სარდაფის სართულზე.

**3. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე I კორპუსის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელის 163,19 კვ.მ. საერთო ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ს I კორპუსი.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 163,19 კვ.მ.
- **ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 50,91 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 165000 (ასსამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია I კორპუსიის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელში. აღნიშნული ფართობიდან 115,73 კვ.მ. ფართი გაცემულია იჯარით 2008 წლის 7 მაისამდე.

**4. ქ. თბილისში, კრწანისის ქ. N49-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 11 183 კვ.მ. მიწის ფართობი, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები და მათში არსებული აქტიური ნაწილი**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, კრწანისის ქ. N49-ის მიმდებარე ტერიტორია.
- **შენობა-ნაგებობების ფართობი:** 6006,49 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11 183 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება:** ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები: 4 სათბური, სამრეცხაო, საჯინიბო, ავტოფარეხი და საყარაულო ჯიხურები. აქტიური ნაწილი: სარეცხი მანქანა (სამრეცხაო N1), სარეცხი მანქანა, საწური ცენტრი 2ც, საუთაო მანქანა, მაგიდა ჟურნალის (მეცხ. ფერმა), ტელევიზორი შავ-თეთრი, თერმექსი, კარადა ტანსაცმლის, მაგიდა ძველი 3ც, სასწორი, ელ.წისქვილი, საბეჭდი მანქანა, ელ.რადიატორი, ტურბო გენერატორი.

საჯინიბოს შენობა დაკავებული აქვთ აფხაზეთიდან დევნილ ორ ოჯახს. ობიექტის მყიდველს (აუქციონში გამარჯვებულ პირს) ეკისრება მითითებული შენობის გამოთავისუფლება საკუთარი ძალებით და გამყიდველის პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოირიცხება.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 15 აგვისტოს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 29.07.06წ N30 (475), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს**
**კ ო ნ კ უ რ ს ს**
**შ.პ.ს. "გამომცემლობა-სტამბა კრწანისის" 100% წილის რეალიზების მიზნით**

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**

**ობიექტის მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის შესახ. N5.
**მთავარი საწარმოო კორპუსის საერთო ფართობი:** 4262,84 კვ.მ.
**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 4041 კვ.მ.
**საწყისი გასაყიდი ფასი: 1 200 000** (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**საკონკურსო პირობა (თანხის გადახდის ვადები):**

ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა. ამასთან, "მყიდველი" ვალდებულია საბოლოო გასაყიდი თანხა გადაიხადოს კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან ექვსი თვის განმავლობაში ყოველ ორ თვეში ერთხელ თანაბარპროპორციულად.

**კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 15 აგვისტოს დღის 12 საათზე.**

კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 29.07.06წ N30 (475), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35

# დიტო პაპავას ხსოვნას



ბედნიერებაა, როდესაც პროფესიული კარიერის საპასუხისმგებლო ეტაპზე საშუალება მოგეცემა გაიცნო პიროვნება, რომელიც ეტალონს წარმოადგენს იმისა, რასაც პროფესიონალიზმი, პატიოსნება და ქვეყნის სიყვარული ჰქვია.

დიტო პაპავა გახლდათ პიროვნება, რომელიც ბოლომდე უკომპრომისოდ ემსახურა ამ პრინციპებს. ჩვენთვის, ახალგაზრდა "საქნავთობელებისათვის" ეს იყო საუკეთესო სტიმული, რომელიც ჩვენ შევიძინეთ ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვან პერიოდში.

ბატონი დიტო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო, რომელიც მის ხედვას და შემართებას ძალზედ ენერგიულად უზიარებდა ყველა თანამშრომელსა და კოლეგას. სამწუხაროდ, იყო პერიოდი, როცა გაუგებარი მიზეზების გამო მისი პროფესიონალიზმი და სულისკვეთება არ ფასდებოდა. ჩვენ კი, მისი თითქმის სამოცწლიანი მოღვაწეობის მხოლოდ ბოლო ორ წელიწადს გვერგო წილად მასთან მუშაობის და ურთიერთობის ბედნიერება.

მისი გეოლოგიური გათვლები და პროგნოზები თითქმის ყოველთვის მართლდებოდა, ამიტომ გრძელვადიან სტრატეგიას კომპანია მისი რჩევების გათვალისწინებით შეიმუშავებდა. დაუღალავი, ენერგიული პიროვნება გახლდათ, არ ეპუებოდა ასაკს და სიცოცხლის ბოლომდე სამაგალითოდ ემსახურებოდა თავის საყვარელ პროფესიას, საქმეს. მისი წასვლით ქართულმა ნავთობ-გეოლოგიამ დიდი მოღვაწე, ქართულმა საზოგადოებამ კი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა.

დიტო პაპავას სახელი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენი დარგის ისტორიაში.

**სს ნავთობის ეროვნული კომპანიის"საქნავთობის" გენერალური დირექტორი ვანო ნაკაიძე**

## ქ. რუსთავი 1 აგვისტო 2006 წელი განცხადება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ

ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006 წლის 24 ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ქალაქ რუსთავში გზების მიწისქვეშა კომუნიკაციების (I ლოტი - წყლის გაყვანილობების: ვახუშტის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩა, თოდრიის I ჩიხი, ბათუმის ქუჩა და II ლოტი - სანიაღვრე კანალიზაციის გაყვანილობების: ვახუშტის ქუჩა, 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩა, თოდრიის I ჩიხი, ბათუმის ქუჩა) რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების შესახებ I ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "BIG-მშენი", ხელშეკრულება გაფორმდა **418 278 (ოთხას თვრამეტი ათას ორას სამოცდათვრამეტი)** ლარზე. II ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს.. "რუსთავკანალი", ხელშეკრულება გაფორმდა **137 891 (ას ოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოცდათერთმეტი)** ლარზე.

**სატენდერო კომისია**

## შესწორება

**შპს "ბათუმის სამშობიარო სახლის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიპარა უზუსტობა. კერძოდ ტენდერის ჩატარების თარიღად მითეითებულ 21 ივლისის ნაცვლად განცხადების ფორმაში ყველგან უნდა იყოს 21 აგვისტო.**

## ცვლილება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 13 იანვარს, გაზეთ "24 საათში" (N155) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება ლოტებად დაყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.333(0.87)-კმ.339(0.73) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.19-კმ.23 მონაკვეთის რეაბილიტაცია:

პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო კმ.21-კმ.26, კმ.27(0.2) მონაკვეთის რეაბილიტაცია (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი-2: წალენჯიხა-ლიას საავტომობილო გზის კმ.1-კმ.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი-3: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.333(0.87)-კმ.339(0.73) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-4: ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.19(0.5); კმ20-კმ.22; კმ23(0.12); კმ25; კმ26(0.65) მონაკვეთის რეაბილიტაცია; "

**სატენდერო კომისია**

TV5MONDE

## 1 აგვისტო

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** გადაუდებელი დახმარების შემდგომ. დოკ. ფილმი. **07.30** გადაცემა: ცისფერი მზეთუნახავი. მენტონი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** მობუტუ. ზაირის მეფე. დოკ. ფილმი. **14.05** ცისფერი მზეთუნახავი. მენტონი. დოკ. ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი. ეპიზოდი 27. სერიალი. **16.25** როგორც მეფენი. მხ ფილმი. რეჟისორი ფრანსუა ველე. 1997. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **20.35** მარსიალის საქმე. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან-პიერ ინუ. 2002. **23.00** მატარებლები, რომლებიც სხვა მატარებლებს არ გვანან... დოკ.ფილმი. **01.20** კასკადიორები. დოკ. ფილმი. **04.40** მემარცხენეთა ისტორია. დოკ.ფილმი.

**ქირავდება 4930მ² ფართი, საოფისე ფართი 230მ2, 3300მ² ეზოთი, 800მ² სასაწყობო ფართით, 600მ2 საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

# მელ გიბსონი



ამერიკელმა მსახიობმა და რეჟისორმა მელ გიბსონმა ბოდიში მოიხადა თავისი საქციელის გამო. ოსკარის მფლობელი 50 წლის მსახიობი კალიფორნიის შტატში, მალიბუს რაიონში დააკავეს სიჩქარის გადაჭარბების გამო. იგი შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციელებს და ებრაელობას აბრალებდა მათ. "შენ ებრაელი ხარ?! ებრაელები არიან დამნაშავენი მსოფლიოში გამართულ ყველა ომში!" - ყვიროდა მსახიობი. უფრო დიდი სკანდალი მოჰყვა პოლიციის სამმართველოში ვიდეოკამერით მის გადაღებას, რის გამოც ის საკანში ჩასვეს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ნასვამი იყო, არ ჩაიტარა ტესტი სისხლის ანალიზზე. მხოლოდ ჯარიმის - 5 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. გიბსონმა აღიარა, რომ მთელი ცხოვრება ებრძვის ალკოჰოლიზმს და ძალიან რცხვენია თავისი საქციელის გამო. აგრეთვე აღნიშნა: "სრულიად დაკარგული მქონდა კონტროლი. დაკავების შემდეგ ვამბობდი საშინელ რამეებს, რომლებიც არ ზის ჩემს ხასიათში. დაკავების დროს პოლიციელი, უბრალოდ, თავის მოვალეობას ასრულებდა. ეს კარგიცაა, რომ მანამდე დამაკავეს, სანამ ვინმეს სერიოზულად რამეს დავუშავებდი."

მსახიობმა 1995 წელს "ოსკარი" მიიღო საუკეთესო რეჟისურისთვის ფილმში "მამაცი გული", რომელშიც მთავარ როლს თავად ასრულებდა. 2004 წელს გადაიღო ფილმი "ქრისტეს ვნებანი", რომელიც კინოს ისტორიაში ყველაზე საკამათო ფილმი გახდა. მის ახალ სურათში "აპოკალიფსი" მოქმედება მიმდინარეობს ცენტრალურ ამერიკაში 3 ათასი წლის წინ და ყველა პერსონაჟი მაიას ენაზე ლაპარაკობს.

# ერიკ კლაპტონი



ცნობილი გიტარისტის ერიკ კლაპტონის კონცერტი, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო, გადაიდო. კონცერტი მოსკოვის წითელ მოედანზე 3 აგვისტოს იყო დანიშნული. ეს უნდა ყოფილიყო გიტარისტის მსოფლიო ტურნეს ფინალური შოუ. როგორც მუსიკოსის ოფიციალური საიტიდან ვიგებთ, მოსკოვის მთავრობამ მოულოდნელად შეცვალა გადაწყვეტილება კონცერტის წითელ მოედანზე გამართვის თაობაზე. უარის მიზეზი უცნობია. კლაპტონის კონცერტის ბილეთების გაყიდვა აიკრძალა. შესაძლებელია უკვე ნაყიდი ბილეთების უკან დაბრუნება.

ერიკ კლაპტონმა თავისი საიტის საშუალებით ბოდიში მოუხადა რუს თაყვანისმცემლებს და სინანულით აღნიშნა, რომ უფლება არა აქვს თავად ჩაერიოს შექმნილ სიტუაციაში.

მოსკოვის წითელ მოედანზე ერიკ კლაპტონი პირველად უნდა გამოსულიყო. მანამდე წითელ მოედანზე კონცერტები გამართეს ჯო კოკერმა, პოლ მაკარტნიმ, ლუჩანო პავაროტიმ და პლასიდო დომინგომ.

# პირველი გიტარა



გიტარა, რომელზეც ლეგენდარული "ბითლზის" ერთ-ერთმა წევრმა პოლ მაკარტნიმ პირველი აკორდები აიღო, ლონდონის აუქციონზე 330 ათას ფუნტად გაიყიდა. ინსტრუმენტი აუქციონზე გაიტანა მისმა სკოლის მეგობარმა, მომღერალმა იენ ჯეიმსმა, რომელიც გიტარაზე დაკვრას ასწავლიდა "ბითლზის" მომავალ წევრს. აუქციონი წერილობით გაიმართა. პოლ მაკარტნი წერდა: "გიტარა, რომელიც ჩემს ძველ მეგობარს იენ ჯეიმსს ეკუთვნოდა, პირველია, რომელიც მე ხელში ავიღე, პირველია, რომელზეც აკორდებს ვსწავლობდი. ის ლივერპულში, მის სახლში ინახებოდა და გადაეცემა მყიდველს - ამერიკელ კრეიგ ჯექსონს."

ჯექსონი თავად არის აუქციონის სახლის მფლობელი, რომელმაც კომენტარში აღნიშნა: "ეს როკის ისტორიის იმდენად დიდი ნაწილია, რომ დღეს ძალიან ბედნიერი ვარ. ამ გიტარის გარეშე "ბითლზი" შეიძლება საერთოდ არ გამოჩენილიყო. ვფიქრობ, შესანიშნავი შენაძენია."

# დიდი თეატრის ახალ სცენაზე

რუსეთის დიდი თეატრის საოპერო დასის ხელმძღვანელი ქართველი სოპრანო მაყვალა ქასრაშვილი დიდი თეატრის მორიგ პრემიერაში ითამაშებს.

პუშკინის პოემის მიხედვით პეტრე ჩაიკოვსკის ოპერის "ევგენი ონეგინის" პრემიერა 231 სეზონს გახსნის და დიდი თეატრის ახალ სცენაზე გაიმართება. ქასრაშვილი მასში მემამულე ლარინას პარტიას შეასრულებს. პრემიერა 1 სექტემბერს იგეგმება. როგორც ქასრაშვილმა განაცხადა, იგი დიდ თეატრში ადმინისტრაციულ და შემოქმედებით მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს. "უკვე 6 წელია დიდი თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა მიჭირავს, პარალელურად სცენაზეც საკმაოდ დიდი რეპერტუარი მაქვს", - განაცხადა ქასრაშვილმა საუბრისას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ნიუ-იორკის კინოეკრანებზე

ნიუ-იორკის კინოეკრანებზე რეჟისორ გელა ბაბლუანის ფილმის "13"-ის ჩვენება დაიწყო. ბაბლუან-უმცროსის ქართულ-ფრანგული თრილერი რეჟისორის სადებიუტო ნაშრომია, მასვე ეკუთვნის ფილმის სცენარიც. გელა ბაბლუანის ფილმმა "13" ვენეციის კინოფესტივალზე საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის პრემია დაიმსახურა, სანდენსის კინოფესტივალზე კი ჟიურიმ მას, როგორც საუკეთესო უცხოურ ფილმს, გრან-პრი მიანიჭა. ფილმში, მთავარ გმირს, სებასტიანს, გელა ბაბლუანის ძმა, გიორგი ბაბლუანი განასახიერებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "სუხიშვილები" იტალიაში

ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი 3-4 აგვისტოს ბათუმში კონცერტებს გამართავს. წ ა რ - მოდგენილი იქნება ილიკო სუხიშვილი - უმცროსის პოპულარული პროექტი "ასსა ფართი".

10 აგვისტოს კი ანსამბლი, სრული შემადგენლობით, იტალიაში გაემგზავრება.

იტალიის ორ ქალაქში - პრიესტესა და ვერონაში "სუხიშვილები" ექვს კონცერტს გამართავენ. საკონცერტო პროგრამაშია, როგორც ანსამბლის დამაარსებლების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ შექმნილი ტრადიციული საცეკვაო ნომრები, ისე ილიკო სუხიშვილი - უმცროსის მიერ დადგმული ახალი პროგრამა. ანსამბლი სამშობლოში 21 აგვისტოს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06, 893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, კომპანია danone-ს სათავეში ვიხილოთ

ფრანგული კომპანია Danone-ს პრეზიდენტი ფრანკ რიბუ კომპანიის მართვის სადავეების ფეხბურთელ ზინედინ ზიდანზე გადაცემის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ამის შესახებ კომპანიის პრეზიდენტი გაზეთ "Financial Tiames"-სთან საუბრისას აცხადებს.

მისი აზრით, ლეგენდარული ფეხბურთელისთვის, რომელმაც დიდი საფეხბურთო კარიერა უკვე დაასრულა, კომპანიის მართვის სადავეების ჩაბარება ძალიან რეალური და, ამასთან, ჭკვიანური ნაბიჯია.

ცნობილია, რომ საფრანგეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს კომპანია DANONE-თან პარტნიორული ურთიერთობა, დიდი ხანია, აქვს. რამდენიმე წლის წინ ზინედინ ზიდანმა კომპანიასთან 11-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ლეგენდარული ფეხბურთელი და კომპანია DANONE-ი ბავშვებისთვის საქველმოქმედო ღონისძიებებისა და საერთაშორისო სოციალური პროგრამების განხორციელების სფეროში თანამშრომლობდნენ. ამგვარად, კომპანია DANONE-ის პრეზიდენტის სურვილი იმდენად დიდია, რომ შესაძლოა, სულ მალე ზინედინ ზიდანი კომპანიის პრეზიდენტის პოსტზეც კი ვიხილოთ.

### ტურიზმში ლატვია ლიდერობს

ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, სასტუმროებსა და დასასვენებელ სახლებში მიღებული სტუმრების რაოდენობის მიხედვით, ლატვია და ლიტვა ლიდერობს. სტატისტიკური მონაცემებით, შარშან, წინა წელთან შედარებით, ლიტვაში 19,8 პროცენტით მეტმა ტურისტმა დაისვენა, ლატვიაში კი - 18 პროცენტით მეტმა. ესტონეთში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5 პროცენტი იყო. აღმოჩნდა, რომ ლატვიაში ტურისტების სიჭარბის მიხედვით, ყველაზე "ცხელი" თვე ივლისი იყო. ამ პერიოდში დაკავებული იყო ლატვიის სასტუმროების 60 პროცენტი, ლიტვის - 45, ესტონეთის კი - 70 პროცენტი. ბალტიისპირეთის ქვეყნების პარალელურად, ტურისტების რაოდენობა გაზრდილია მალტაზე, ლუქსემბურგსა და პოლონეთში. **ჯი-ეიჩ-ენი**



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3437 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9863 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4805 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7650 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8240 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1454 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3002 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3074 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2400 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4319 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3394 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1798 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1528 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2806 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1928 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2433 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3990 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5559 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1975 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5069 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3172 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2842 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5720 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5930 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0657 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1162 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4242 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5266 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4387 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4930 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8295 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1045 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1492 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2426 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4249 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0789 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2213 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2271 |




# ამსუბუქებს თუ არა მთავრობის ნაბიჯები მეწარმეთა ზარალს?

## კიდევ ერთი შეღავათი დაზარალებული მეწარმეებისთვის

ეთერ მამულაშვილი

*რუსეთის მთავარი ანტისანიტარის მიერ დაწუნებული ქართული ღვინო და მინერალური წყალი ქვეყანაში გამარტივებული წესით დაბრუნდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ ორიოდე დღის წინ მიიღო.*

**თუმცა დღემდე ღიად რჩება რამდენიმე ის საკითხი, რისი მოგვარებაც მთლიანად ხელისუფლების კომპეტენციაა. მათ შორის ერთი, რაც ქართველ მეღვინეებს განსაკუთრებულად აწუხებს - საქმე ეხება წარმოების პროცესში არსებულ დანაკარგებს და მათ აღრიცხვიანობას.**



B2

# გზა რიგითი თანამშრომლიდან ხელმძღვანელ თანამდებობამდე

## როგორ იჭრება ˝თიბისი ბანკი˝ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ეთერ მამულაშვილი

*31 წლის ასაკში ნომერ პირველი ქართული ბანკის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, თუმცა არ მიაჩნია, რომ ეს მისი პროგრამა-მაქსიმუმია.*

**"თბილკომბანკიდან" - "თიბისი ბანკამდე"**

ბავშვობაში სპეციალურ სამედიცინო ენციკლოპედიებში დიდხანს იქექებოდა, სხვადასხვა დაავადებების შესახებ ინფორმაციებს გულდასმით იწერდა და ექიმობაზე ოცნებობდა. თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვალა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ალბათ, იმიტომ, რომ ქვეცნობიერად ყოველთვის იმის კეთება სურდა, რითაც წლების განმავლობაში მამამისი იყო დაკავებული. **"მივხვდი, რომ სამედიცინოს დამთავრების შემდეგ ჩემს ცხოვრებაში კარიერის ზრდას ვერ მივაღწევდი."**

გაგრძელება B4 გვერდზე



B4

# სპორტული აქსესუარების ბიზნესის ქალღმერთი

## Nike-მა მთელი მსოფლიოს სპორტი შემოსა

გოცა ქიმუცაძე

*სპორტული აქსესუარების მწარმოებელ კომპანიათა შორის უპირობო ლიდერი ამერიკული Nike გახლავთ. განთქმული ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში მას 408-ე პოზიცია უკავია და თავის სფეროში მეორე ადგილზე მყოფ Adidas-Salomon-ს მთელი 440 საფეხურით უსწრებს. გასული წლის შედეგებით მიხედვით, Nike-მა 14,37 მილიარდი დოლარის ოდენობის მოგება ნახა, ხოლო მისმა საბაზრო კაპიტალიზაციამ 22,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.*



B3

## არბატზე მდებარე, საქართველოს კულტურული ცენტრი აუქციონზე გაიყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მოსკოვის ცენტრში მდებარე საქართველოს კულტურული ცენტრის "მზიურის" გაყიდვას კიდევ ერთხელ შეეცდება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, მოსკოვში, არბატის ქუჩაზე მდებარე კულტურული ცენტრის "მზიურის" შენობის პრივატიზაციის მიზნით, აუქციონი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გამოცხადდება. შენობის საწყისი გასაყიდი ფასი 18 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრება. კულტურული ცენტრის საერთო ფართი - 3 138,1 კვ.მ-ს შეადგენს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, "მზიურის" გაყიდვის მიზნით, აუქციონი თავდაპირველად გასული წლის ბოლოს გამოაცხადა, თუმცა ინტერესის არარსებობის გამო აუქციონი ჩაიშალა. **ინტერპრესნიუსი**

## კოდორში განვითარებულ მოვლენებს ტურისტებისთვის პრობლემები არ შეუქმნია

კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს ტურისტებისთვის პრობლემები არ შეუქმნია. როგორც "ინტერპრესნიუსს" ტურიზმის დეპარტამენტში განუცხადეს, სვანეთში ტურისტების ძირითადი ნაწილი მესტიაში მიემგზავრება, ამიტომ კოდორის ხეობაში ჩატარებულ ანტრიკრიმინალურ ოპერაციას ტურისტულ ნაკადზე უარყოფითად არ უმოქმედია. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო, ტურისტების უსაფრთხოების მიზნით, თავდაპირველად ტურების გაუქმება იყო დაგეგმილი, თუმცა ოპერაციის სწარაფად დასრულებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. სვანეთში ტურისტების გადაადგილება ამ ეტაპზეც შეუფერხებლად მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს და თურქეთს შორის ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის განხორციელებაზე ხელშეკრულება უვადოდ გაფორმდება

საქართველოსა და თურქეთს შორის დღეს ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის განხორციელებაზე უვადო ხელშეკრულება გაფორმდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, ამ მიზნით თურქეთში დღეს ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე ალეკო ხეთაგური და აჭარის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი გურამ ჟღენტი გაემგზავრებიან. თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერგიის სავაჭრო და კონტრაქტირების კომპანია "პეტაში" და აჭარის ენერგოკომპანიას შორის ელექტროენერგიის ბარტერული გაცვლის შესახებ ერთი წლის წინ გაფორმდა. თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტმა აჭარის 24-საათიანი ენერგომომარაგება უზრუნველყო. მანამდე, 9 წლის განმავლობაში აჭარაში სხვა ქვეყნიდან დენის იმპორტი არ განხორციელებულა. შარშან ხელმოწერილი ხელშეკრულების ვადა ოქტომბერში იწურება. თუმცა, მხარეთა გადაწყვეტილებით, ექსპორტ-იმპორტის ბარტერული რეჟიმი უვადო იქნება. ჩვეულებისამებრ, თურქეთიდან აჭარაში 100 მეგავატის იმპორტი ხორციელდება, თუმცა, ტექნიკურად შესაძლებელია 200 მეგავატამდე ექსპორტ-იმპორტის განხორციელება. ორ ქვეყანას შორის ბარტერული გაცვლა 220 კვ.ვოლტიანი გადამცემი ხაზით "აჭარა" ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## საგადასახადო დეპარტამენტში რეფორმა 2008 წელს დასრულდება

რეფორმა საგადასახადო დეპარტამენტში, სახელწოდებით "მწვანე დერეფანი" 2008 წელს დასრულდება. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა, დღეისათვის ქართველ მეწარმეებს გადასახადების გადახდის პროცესში კვლავ ბევრი ბიუროკრატიული ხასიათის სირთულე ხვდებათ. "თუ ადრე საწარმოს საგადასახადო და სახელმწიფო რეგისტრაციაზე ორი სხვადასხვა ფორმა ივსებოდა, რეფორმის მიხედვით, პროცედურა გამარტივდა და ერთი ფორმის შევსებაც საკმარისია. გარდა ამისა, ძველი წესით საწარმოს რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის, ან ამ პროცესის ჩატარებაზე უარისთვის რვა სხვადასხვა ბრძანება გამოიცემოდა. ახალი პროექტის მიხედვით, ბრძანებები საერთოდ აღარ იწერება და უარი მეწარმეს წერილობით ეცნობება," - განაცხადა ბაინდურაშვილმა. მისი თქმით, ახალი პროექტით მცირდება საწარმოების რეგისტრაციის პროცესის ვადაც, და თუ იგი 8 დღეს შეიძლება გაგრძელებულიყო, 3 დღეს აღარ გადასცილდება. მისი თქმით, კიდევ ერთი პრობლემა საგადასახადო ინსპექციების ოფისების გაუმართაობა და მათი სიმცირეა, რაც მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. "თერჯოლისა და ზესტაფონის მკვიდრი ხშირად იძულებულია, ქუთაისში ჩავიდეს, რაც საკმაოდ მოუხერხებელია," - განაცხადა საგადასახადო დეპარტამენტის შეფმა. მისი თქმით, არსებულ 7 რეგიონულ განყოფილებას 2008 წლამდე 8 ახალი ცენტრი დაემატება, მათ შორის: წნორში, ბოლნისში, მცხეთაში, ახალქალაქში, ბორჯომში, ზესტაფონში, ზუგდიდსა და ქობულეთში. გარდა ამისა, გადამხდელისთვის მუშაობის გასამარტივებლად ერთი ფანჯრის პრინციპი ამოქმედდება, რომელიც ყველა საჭირო დოკუმენტაციის ერთ ოთახში ჩაბარებას ითვალისწინებს. დარბაზში ვიდეოთვალიც დამონტაჟდება, რათა მეწარმესა და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომელს შორის კორუფციული გარიგებების შესაძლებლობა აღიკვეთოს. რეფორმის კიდევ ერთი სიახლე სატელეფონო ცენტრის დაარსებაა, რომლის მეშვეობით გადამხდელი მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მეთესლეობის განვითარების პროექტებისთვის უპროცენტო სესხი გაიცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის განვითარებისათვის საუკეთესო პროექტების დაფინანსებაზე. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, კონკურსის მიზანია საქართველოში მეთესლეობის ისეთი კულტურების თესლის წარმოება, როგორიცაა ხორბალი, ქერი, სიმინდი (ჯიშები, ჰიბრიდები), მრავალწლიანი ბალახები (იონჯა, ესპარცეტი), მზესუმზირა, რაფსი, ბოსტნეული. მათივე თქმით, პროგრამის განხორციელების პროცესში დასაშვებია საქმიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჩანაცვლება პროფილის შენარჩუნების პირობით. კონკურსის პირობების მიხედვით, წარდგენილი განაცხადების დაფინანსებისათვის თანხა გაიცემა უპროცენტო სესხის სახით არაუმეტეს 7 წლის ვადით, პირველი 2 წელი საშეღავათო პერიოდით. სესხი გაიცემა თანადაფინანსების პრინციპით. პრეტენდენტის განაცხადი უნდა ითვალისწინებდეს მისი მხრიდან თანადაფინანსებას - სესხად მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 30%-ის ოდენობას ფულადი სახით. სესხი გაიცემა ეტაპობრივად, პრეტენდენტის თანადაფინანსების თანხის ხარჯვის პროპორციულად. კონკურსის პირობებში აღნიშნულია, რომ პროექტით მოთხოვნილი თანხის ათვისება უნდა განხორციელდეს პირველი ერთი წლის განმავლობაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ამსუბუქებს თუ არა მთავრობის ნაბიჯები მეწარმეთა ზარალს?

პირველი გვერდიდან



იმ დღეებში, როცა მინერალური წყლები და ღვინოები რუსეთის ბაზრიდან გამოაძევეს, ქართველ მეწარმეებს ხელისუფლება დახმარებას და ზარალის შემსუბუქებას დაჰპირდა. მართლაც, აპრილის შემდეგ მთავრობამ დაზარალებული მეწარმეებისთვის მიიღო რამდენიმე დადგენილება თუ მოქმედ კანონმდებლობაში სხვადასხვა ტიპის ცვლილებები, რასაც, წესით და რიგით, მეწარმეთა დანაკარგები უნდა შეემცირებინა.

თავიდანვე, როცა მთავრობა მეღვინეებსა და მინერალური წყლების მწარმოებლებს მხარში ამოდგომას დაპირდა და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ხმამაღალი განცხადებაც გააკეთა. ბევრი ამ დაპირებას სკეპტიკურად შეხვდა და ზოგმა მიიჩნია, რომ ეს ხელისუფლების მორიგი პიარ-კამპანიის ნაწილი იყო.

ერთ-ერთი ბოლო ნაბიჯი, რაც მთავრობამ რუსეთის ემბარგოთი გამოწვეული ზიანის შესამსუბუქებლად გადადგა, რეიმპორტისათვის გამარტივებულ საბაჟო პროცედურებს ეხება. უფრო კონკრეტულად: 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 1 აპრილამდე რუსეთის ფედერაციაში ექსპორტირებული სამამულო საქონლის რეიმპორტისას, ექსპორტიორი ქვეყნის (რუსეთის ფედერაციის) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში, ამ საქონლის წარმოშობის დადასტურება მოხდება საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ, ადრე გაცემულ საქონლის წარმოშობის სერტიფიკატზე სათანადო ბეჭდის დასმით.

საქართველოში წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ უფლებამოსილ ორგანოებს, რეიმპორტირებული საქონლის იდენტიფიკაციის მიზნით, წარმოშობის სერტიფიკატთან ერთად უნდა წარედგინოს საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები - კონტრაქტი, ინვოისი და შემოტანის და გატანის დროს გაწერილი სატრანსპორტო ზედდებული.

### იმის შესახებ, რაც უკვე გაკეთდა

ახალ დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა ფინანსთა სამინისტროში შემუშავებული რამდენიმე ტიპის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ქართველი მეწარმეებისათვის, კონკრეტულად კი, ღვინის სფეროში დასაქმებული ბიზნესმენებისათვის, ერთი მხრივ, საგადასახადო ვალდებულებების შემსუბუქებას, ხოლო მეორე მხრივ, ალტერნატიული ბაზრების მოძიებაში დახმარებას ითვალისწინებდა.

ქვემოთ გთავაზობთ ამ საკანონმდებლო ცვლილებათა ჩამონათვალს, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ "24 საათს" მიაწოდა:

- შესაბამის კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და დაზუსტდა, რომ რეიმპორტის შემთხვევაში მეწარმე არ იხდის საბაჟო გადასახადს, აქციზს და დღგ-ს.

- ღვინის სექტორში მომუშავე კომპანიებისათვის მოხდა საგადასახადო ვალდებულებების გადავადებაც, ანუ მეწარმეები შეძლებენ რეიმპორტისას წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების 3 თვით გადავადებას საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრების - 250 ათასი ლარის ფარგლებში;

- ამ ზღვრის ზევით დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მეწარმეს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მოთხოვნით ფინანსთა სამინისტროს მიმართოს.

- წინა წელთან შედარებით, მიმდინარე წელს მისაღები მოგების 50 პროცენტით შემცირების შემთხვევაში, მეწარმეებს უფლება აქვთ, 2006 წელს არ გადაიხადონ მოგების გადასახადი.

- საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით, საგადასახადო დავალიანების გადავადების პერიოდში გადავადებულ თანხას საურავი არ დაერიცხება.

შეასრულა თუ არა მთავრობამ მეწარმეებისთვის მიცემული დანაპირები და რეალურად შეამსუბუქა თუ არა ამან ბიზნესმენთა ის ზარალი, რაც რუსული ბაზრების დახურვას მოჰყვა?

### როგორ ასრულებს მთავრობა დანაპირებს

ღვინის მწარმოებლებთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ ხელისუფლებამ ოთხი თვის წინ გაცემული დაპირებების დიდი ნაწილი პირნათლად შეასრულა და მეწარმეთა სასარგებლოდ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები მართლაც ამუშავდა.

თუმცა, მთავრობის მიერ უკვე გადადგულმა ნაბიჯებმა ის მატერიალური ზარალი, რაც მეღვინეებმა და მინერალური წყლების კომპანიებმა რუსეთიდან "გამოძევების" შემდეგ იწვნიეს, ოდნავადაც არ ანაზღაურებულა. "ამით ჩვენ უფრო მეტად ბიუროკრატიული ტვირთი მოგვეხსნა, ვიდრე ფინანსური," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს GWS-ის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორმა ლევან კობერიძემ.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მეწარმეებისთვის ბიუროკრატიის შემცირება, რიგ შემთხვევაში - მოხსნა, ისევ მათ წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ქვეყანაში არსებული ბიუროკრატია ბიზნესმენებისთვის ზედმეტ დროს და რესურსებს მოითხოვს. დრო კი ნებისმიერი მეწარმისთვის ფული რომ არის, ეს უკვე გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. ამას თავად მეწარმეებიც აღიარებენ და ხელისუფლების მადლიერნი არიან. "ბიუროკრატია დროის რესურსთან იყო დაკავშირებული, რაც ჩვენთვის ფინანსებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია," - ამბობს ლევან კობერიძე.

კიდევ ერთი: კანონმდებლობაში შესულ ცვლილებათა ერთი ნაწილით მეწარმეებმა თავიდან აიცილეს მომავალში ზედმეტი ფინანსური დანაკარგები, რითაც მათ ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, გარკვეული თანხები დაზოგეს. "ჩვენი კომპანიის ზარალი რამდენიმე ათეული ათასი ლარია, რასაც, ალბათ, ვერავინ აგვინაზღაურებს. თუმცა ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ საბაჟო პროცედურები გაგვიმარტივა, რუსეთში ჩარჩენილი ღვინის იაფად შემოტანაში დაგვეხმარება," - უთხრა "24 საათს" ზურა რამაზაშვილმა, "თელავის ღვინის მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

ვალდებულებები კერძო საბანკო სექტორის მიმართ - ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად მეღვინეებსაც და მინერალური წყლების მწარმოებლებსაც დღეს თანაბრად აღელვებთ. გასული წლის შემოდგომაზე მათ დიდი მოცულობის კრედიტები აიღეს, რომლის გასტუმრება მიმდინარე წლის მარტიდან უნდა დაეწყოთ. კომპანიების დიდი ნაწილი ვალს ვერ აბრუნებს და ვერც მისი დაბრუნების პერსპექტივას ხედავს. მეტიც, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მეღვინეობა და მინერალური წყლების წარმოება საბანკო სექტორის მიერ ერთ-ერთ ყველაზე რისკიან ბიზნესად მოიაზრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ბანკები წელს ამ სექტორისთვის, ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, მიზერული მოცულობის კრედიტებს გამოყოფენ. ეს კი პირდაპირ გავლენას მოახდენს იმ ქართველი გლეხების ჯიბეზეც, რომელიც წლიდან წლამდე თავისი თავისა და ოჯახის შენახვას ყურძნის მოსავლით ახერხებდა. "ჩვენ, მეღვინეებს დიდი ოდენობის კრედიტები გვაქვს აღებული სხვადასხვა კომერციული ბანკებიდან. კარგი იქნება, თუ ამ სესხების რაიმე ფორმით გადავადება მოხდება. მართალია, ეს მთლიანად კერძო კომპანიების კომპეტენციაა და ამაში სახელმწიფო პირდაპირ ვერ ჩაერევა, თუმცა იქნებ მოიძებნოს რაიმე გზა, რითაც ხელისუფლება ამაში ირიბად ჩაერევა, რაც ძალიან დიდი დახმარება იქნება ჩვენთვის," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ზურა მარგველაშვილმა, "თბილღვინოს" გენერალურმა დირექტორმა.

### საწარმოო დანაკარგების აღრიცხვა კვლავ პრობლემაა

თუმცა დღემდე ღიად რჩება რამდენიმე ის საკითხი, რისი მოგვარებაც მთლიანად ხელისუფლების კომპეტენციაა. მათ შორის ერთი, რაც ქართველ მეღვინეებს განსაკუთრებულად აწუხებს - საქმე ეხება წარმოების პროცესში არსებულ დანაკარგებს და მათ აღრიცხვიანობას (ეს მხოლოდ ღვინის მწარმოებლებს არ ეხება).

დღემდე არ არსებობს შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც ამ დანაკარგებს აღრიცხავდა, მის გარკვეულ ნაწილს ჩამოაწერდა და რითაც მეწარმე ზედმეტი გადასახადებისგან გათავისუფლდებოდა. "ეს ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან დანაკარგები ისედაც დიდი გვაქვს და ახლა ამაზე კიდევ გადასახადების დაწესება და ამის დაბეგვრა მეღვინეებს წელში გაწყვეტს," - ამბობს GWS-ის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი, რომელიც, ამავდროულად, ქართველ მეღვინეთა ასოციაციის თავმჯდომარეა.

საკანონმდებლო ვაკუუმს მეწარმეები რუსული ბაზრების დაკარგვამდეც მტკივნეულად აღიქვამდნენ, თუმცა ამან უფრო მეტი აქტუალობა აპრილის შემდეგ შეიძინა.

ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მთავრობის ეკონომიკური გუნდი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით პერიოდულად ხვდება ღვინისა და მინერალური წყლების მწარმოებლებს და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ერთად ეძებენ. თუ რა იქნება მთავრობის მორიგი ნაბიჯი მათ დასახმარებლად და იქნება თუ არა ეს ტვირთის რეალური შემსუბუქება, ამას მოახლოებული რთველი გვიჩვენებს, რომელიც თვენახევარში უნდა დაიწყოს.


GALT & TAGGART SECURITIES

31 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 322,370 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 44,365,619 |

| | 28-ივლ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.765 | ▲ | 0.34% | 1.53% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 526.8 | ▲ | 3.88% | 49.24% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 470.7 | ▲ | 3.52% | 46.95% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




ბოლო US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000)

| | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 13,010 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 262,104 |

მომავალი სესიები

| | |
|---|---|
| სსბ სესია No. 61 | 1 აგვისტო |
| სსბ სესია No. 62 | 2 აგვისტო |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 3.52%-ით გაიზარდა 470.7-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 322.4 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები ცხრა სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 6.78%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, შემცირდა 2.77%-ით), საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპ აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 83.5% მოდიოდა.

ეკონომიკა

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2006 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ** 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმპორტმა 1.6 მილიარდი, ხოლო ექსპორტმა - 470 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტმა წლის პირველ ნახევარში 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ექსპორტზე უარყოფითად იმოქმედა ა.წ. მაისში რუსეთის მიერ ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქტების მის ტერიტორიაზე შეტანის აკრძალვამ. მაისში ექსპორტი რუსეთში 3.6 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო ივნისში 3.2 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა, მაშინ როდესაც თებერვალსა და მარტში რუსეთში ექსპორტმა შესაბამისად 13.5 მლნ და 18.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მის შედეგად საქართველოდან მთლიანი ექსპორტი 35-40 მლნ აშშ დოლარით, ანუ 35-37%-ით შემცირდა. ჯართი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა, ამჟამად მოცულობით მესამე ადგილზეა საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის სიაში.

მთავარ საიმპორტო პროდუქტად კვლავ ენერგორესურსები რჩება, რაზეც ქვეყნის მთლიანი იმპორტის 20.5% მოდის. იმპორტირებულ საქონელში მეორე ადგილი ავტომანქანებს უჭირავთ. მათი იმპორტი გაიზარდა 2.1%-ით 138 მლნ აშშ დოლარამდე.

**ინფლაცია საქართველოში კვლავ ერთერთ ძირითად პრობლემად რჩება.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით წლიურმა ინფლაციამ ივნისში 11.4% შეადგინა. ბრუნვაში ლარის მასის შესამცირებლად ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო გეგმავენ 48 მლნ ლარის ოდენობის სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებას, რაც ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს სახელმწიფო ობლიგაციების ბაზრის აღდგენას, თუმცა ამავდროულად შესაძლოა გამოიწვიოს ლარის კურსის შემდგომი გამყარება.

პოლიტიკა

**ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა 26 ივლისს ბრიუსელში განაცხადა, რომ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგი აუცილებლად დაიწყება,** მაგრამ ვადები ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინაიდან საკითხი განხილვის პროცესშია. სხეფერმა აღნიშნული განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა, რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს სხდომის შემდეგ გაიმართა. აღნიშნულ სხდომაზე ნოღაიდელმა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. [illegible]

სავალუტო ბაზარი

[illegible]

GALT & TAGGART SECURITIES

31 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 60, 27 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 41 | 14.70 | 15.01 | 14.98 | 79.4 | 8,949 | 134,014 | 243,786,381 | - |
| UTC | 6 | 0.68 | 0.89 | 0.74 | 104.7 | 5,799 | 4,273 | 76,085,436 | ყიდვა |
| STSP | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 42 | 210 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| AROK | 1 | 0.25 | 0.25 | 0.25 | na | 41,598 | 10,400 | 266,245 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 148,897 | | |

სესია No. 59, 25 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 18 | 14.00 | 14.55 | 14.35 | 72.0 | 4,703 | 67,503 | 233,660,496 | - |
| UTC | 46 | 0.75 | 0.87 | 0.79 | 119.7 | 80,200 | 63,418 | 81,660,217 | ყიდვა |
| AMB | 7 | 0.90 | 0.90 | 0.90 | 12.6 | 2,394 | 2,155 | 9,000,000 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 1 | 0.98 | 0.98 | 0.98 | 875.0 | 39,247 | 38,266 | 1,280,955 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 38 | 138 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| TUSB | 3 | 90.00 | 90.00 | 90.00 | -1.1 | 3 | 270 | 71,280 | რეკ. გარეშე |
| STLM | 1 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 3,446 | 1,723 | 43,512 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 173,473 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

24 ივლისი, 2006 – 28 ივლისი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 0.64 | 0.61 | 0.70 | 0.62 | -3.1 | 2,532,000 | 152.3 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.21 | 2.02 | 2.38 | 2.08 | -5.9 | 3,113,983 | 370.0 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.28 | 1.25 | 1.42 | 1.28 | 0.0 | 394,500 | 128.8 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 14.98 | 6.78 | 79.34 | 27-ივლ-06 | 201,517 | 243,786,381 | 17.9 | 57.8 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ყიდვა | 0.74 | -2.77 | 104.72 | 27-ივლ-06 | 67,691 | 76,085,436 | 9.4 | 9.4 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.8 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 29-ივნ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 12.3 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 7.00 | 0.00 | 180.00 | 18-ივლ-06 | 0 | 19,600,000 | 42.7 | 11.1 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ფლობა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 269,208 | 572,840,644 | | 100 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

24 ივლისი, 2006 – 28 ივლისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 104 | 104 | 104 | - | 11.00 | 4 | 595 | 0.96 | B-/B3/B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | 5 | 991 | 0.27 | B / - / - |

[illegible]

## "გაზპრომი" წითელ არმიაზე სახიფათოა

რუმინეთის პრეზიდენტის ტრაიან ბესესკუს თქმით, ევროპისათვის რუსული გიგანტი კომპანია "გაზპრომი" უფრო საშიშია, ვიდრე წითელი არმია. "აშკარაა, რომ დღეს "გაზპრომს" უფრო შეუძლია, ევროპა რუსეთზე დამოკიდებული გახადოს, ვიდრე ამას წითელი არმია 40 ან 60 წლის წინ ახერხებდა," - განაცხადა მან.

ბესესკუს აზრით, შემაშფოთებელია, რომ ისეთი არასაიმედო ქვეყანა, როგორიც რუსეთია, ევროპაში გაყიდული ბუნებრივი აირის თითქმის მეოთხედის მიმწოდებელია. ეს კი "გაზპრომის", ანუ რუსეთის გავლენას ძალიან ზრდის. რუმინეთის პრეზიდენტის თქმით, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ალტერნატიული წყაროების უსწრაფესი მოძიება.

## ერაყმა თურქეთში ნავთობის მიწოდება აღადგინა

ერაყმა თურქეთში ნავთობის ექსპორტი განაახლა. თურქეთს ნავთობი ერაყის ომის დროს დაზიანებული "ჩრდილოთის ნავთობსადენით" მიეწოდება. ერაყის ნავთობის მინისტრის ჰუსეინ ალ-შახრისტანის განცხადებით, ზემოაღნიშნული ნავთობსადენი თურქეთისთვის საწვავის მიწოდების ყველაზე კარგი საშუალებაა. "ის ნაწილი, რომელიც დაზიანებულ იქნა დივერსიების შედეგად, უკვე მუშა მდგომარეობაშია," -აცხადებს მინისტრი. მისივე განმარტებით, რამდენიმე მსხვილმა ნავთობსადენმა, დივერსიების გამო, მუშაობა სეაჩერა. ამას ნავთობმაგისტრალების გეგმური რემონტიც დაემატა, რამაც ნავთობის ბირჟებზე საწვავის მიწოდების დეფიციტი შექმნა.

## უკრაინა ნავთობპროდუქტების მარაგებზე მუშაობს

უკრაინის მთავრობა, ევროკომისიასთან ერთად, უკრაინის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სტრატეგიული მარაგების შექმნის პროგრამის დეტალურ განხილვას აპირებს. ევროკომისიის ენერგეტიკული უსაფრთხოების განყოფილების წარმომადგენლის ფაუოზი ბენსარსას განცხადებით, თებერვლის ბოლოს უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იური ეხანუროვმა ნავთობისა და ენერგეტიკის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროებს 2006 წლის მარაგების სტრატეგიული გეგმის შექმნა დაავალა. პროგრამაში ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ამავე წყაროს ცნობით, ამ გეგმით უკრაინაში ნავთობპროდუქტების სამთვიანი მარაგები შეიქმნება. ამ მარაგებში, სავარაუდოდ 2,3 მლნ ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი განთავსდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დიდი Mini-რევოლუცია

საავტომობილო კონცერნი BMW ოფიციალურ პრემიერას არ ელოდება და ახალი თაობის MINI ავტომობილის შესახებ ინფორმაციასა და ფოტოებს აქვეყნებს. ახალ ავტომობილს მისი წინამორბედებისგან უნიკალური გარეგნული იერსახე და ტექნიკური უპირატესობები გამოჰყვა.

MINI-ავტომობილის გარეგნულ იერსახეში მართლაც რომ არ შეინიშნება რადიკალური ცვლილებები. ყოველმა დეტალმა დროისა და პრაქტიკულობის შესაბამისად მოდერნიზება გაიარა, თუმცა ძირითადი ფორმები თითქმის ისეთივეა, როგორც ეს ნახევარი საუკუნის წინ იყო. "რევოლუციური ექსტერიერი და რევოლუციური ინტერიერი" - ასე ხსნიან ცვლილებებს თავად მწარმოებლები.

ახალი ავტომობილი კიდევ უფრო სპორტულია. ძარა რამდენიმე სანტიმეტრით დაგრძელდა, რისი წყალობითაც ავტომობილის შიდა სივრცე კიდევ უფრო გაიზარდა. სალონი არა მარტო შეიცვალა უკეთესობისკენ, არამედ უფრო პერსონიფიცირებული გახდა. მფლობელს სურვილისამებრ შეუძლია, შეცვალოს ფერები.

ასე რომ, ახალი BMW MINI სრულიად ახალი ავტომობილია. ძრავა, მუხრუჭი, უსაფრთხოების სისტემა, ფაქტობრივად, ნულიდან შეიქმნა.

მას ბენზინის ოთხცილინდრიანი ძრავა და დამატებით ტრუბადიზელური ვარიანტიც ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ BMW MINI-ის შესახებ თითქმის ყველაფერი ცნობილია, მისი ოფიციალური პრეზენტაცია პარიზის ავტოსალონში სექტემბერში შედგება.

# სპორტული აქსესუარების ბიზნესის ქალღმერთი

პირველი გვერდიდან











### მორბენალი და მწვრთნელი

Nike-ის ისტორია მისი დამაარსებლის ფილ ნაიტის სახელით დაიწყო. იგი ორეგონის უნივერსიტეტის გუნდის საშუალო დისტანციაზე მორბენალი იყო, თუმცა დიდი სპორტული მიღწევებით არასოდეს გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, წლების შემდეგ მილიარდობით დოლარის მფლობელი და ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ბიზნესმენი გახდა, ისევე, როგორც მისი ყოფილი მწვრთნელი ბილ ბოუერმანი, რომელთან ერთადაც ნაიტმა 1964 წელს დაარსა Nike.

იმ დროს ამერიკული სპორტული ფეხსაცმელი ძალიან იაფი, 5 დოლარი ღირდა და დაბალი ხარისხის იყო. მისი "წყალობით" სპორტმენები შეჯიბრებას დასისხლიანებული ფეხებით ამთავრებდნენ. ამიტომაც, უპირატესობა გერმანული წარმოების სპორტულ ფეხსაცმელს ენიჭებოდა, რომელიც გაცილებით ძვირი, 30 დოლარი ღირდა.

აღნიშნულმა პრობლემამ ნაიტი და ბოუერმანი საკუთარი საქმის წამოწყებაზე დააფიქრა. მათ გადაწყვიტეს, მაღალხარისხიანი სპორტული ფეხსაცმლის მოდელები აშშ-ში შეექმნათ, აზიაში დაემზადებინათ და შემდეგ ამერიკაში იაფად გაეყიდათ. საინტერესოა, რომ 60-იან წლებში სტენფორდის უნივერსიტეტში განათლებას ნაიტი განთქმული ეკონომისტის ფრენკ შელენბერგერის კლასში იღებდა. ერთ-ერთი სემინარის თემა მცირე კერძო ფირმის ბიზნესის განვითარების სტრატეგია და მარკეტინგის გეგმა იყო. ლეგენდის თანახმად, სწორედ ამ სემინარზე ეწვია ნაიტს კომპანიის კონცეფციის შექმნის იდეა.

აზიური მწარმოებლის ძებნა ნაიტმა და ბოუერმანმა იაპონია დაიწყეს, სადაც იმ დროს მუშახელი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ამერიკაში. 1963 წელს ფილი ამომავალი მზის ქვეყანაში გაემგზავრა და Onitsuka-ს ფაბრიკასთან მაღალხარისხიანი სპორტული ფეხსაცმლის Tigers-ის ამერიკაში გაყიდვის თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა.

შინ დაბრუნებულმა 26 წლის ბიზნესმენმა იაპონური სპორტული ფეხსაცმლით ვაჭრობა თავისი პიკაპის საბარგულიდან პირდაპირ სარბენ ბილიკთან დაიწყო. ნაიტის და ბოუერმანის პროექტს, Nike-ის წინაპარს, Blue Ribbon Sports ერქვა. აღნიშნული დასახელება ნაიტმა Onitsuka-ს თავკაცებთან შეხვედრისას მოიფიქრა, როცა მათ არარსებული ამერიკული სადისტრიბუციო კომპანია Blue Ribbon Sports-ის წარმომადგენლად გაეცნო.

### ქალღმერთის ზმანება

1964 წლის განმავლობაში ნაიტმა და ბოუერმანმა 8 ათასი დოლარის ღირებულების სპორტული ფეხსაცმელი გაყიდეს და ახალი პარტიის შეკვეთა მისცეს. თანაც, რადგან საქმეს ორნი ვერ აუდიოდნენ, გაყიდვათა მენეჯერად ჯეფ ჯონსონი დაიქირავეს. 1965 წელს კომპანიონებმა თავიანთ პირმშოს სახელი გადაარქვეს და გამარჯვების ბერძნული ქალღმერთის პატივსაცემად Nike უწოდეს.

ლეგენდის მიხედვით, ახალი სახელწოდება ჯონსონმა მოიფიქრა, რომელსაც ძილში თვით ქალღმერთი გამოეცხადა.

1971 წელს პორტლენდის უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტმა კაროლინ დევიდსონმა მეტად მოკრძალებული ჰონორარის - 35 დოლარის სანაცვლოდ ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ფირმის ლოგოტიპი შექმნა. 12 წლის შემდეგ, 1983 წელს ფილ ნაიტმა იგი რესტორანში დაპატიჟა, კაროლინის მიერ შექმნილი ლოგოტიპის მსგავსი, ოქროსაგან დამზადებული და ბრილიანტებით მოოჭვილი ბეჭედი აჩუქა და ზედ კონვერტიც მიაყოლა, რომელშიც კომპანიის აქციების გარკვეული რაოდენობა იდო. ეს უდავოდ ღირსეული ჯილდო იყო იმ ნიშნისათვის, რომლის სპორტულ ფეხსაცმელზე ან ტანსაცმელზე არსებობა მის მიმზიდველობას გვარიანად ზრდის. ამ ლოგოტიპს, რომელსაც დღეს ყველა კარგად იცნობს და რომელიც მფრინავი ქალღმერთის ფრთის სიმბოლო გახლავთ, Swoosh-ი ეწოდა, რაც ქართულად, დაახლოებით, "სტვენით მფრინავს" ნიშნავს.

1969 წელს Nike-მა უკვე 1 მილიონი დოლარის ღირებულების სპორტული ფეხსაცმელი გაყიდა, თუმცა, კომპანიის სუფთა მოგება არცთუ ისე დიდი იყო. ყოველ შემთხვევაში, 70-იანი წლების დასაწყისს, როცა ამერიკაში მოდაში ფიტნესი და გამაჯანსაღებელი სირბილი შემოვიდა, რამაც ბიზნესის განვითარების სტიმულაცია მოახდინა, Nike მომზადებული შეხვდა.

### მსოფლიო ლიდერი

1975 წლის ერთ დილას, როცა საუზმეზე ცოლის მიერ მომზადებულ ტკბილ ვაფლს გემრიელად შეექცეოდა, ბილ ბოუერმანს გენიალური იდეა ეწვია. მან გადაწყვიტა, სპორტული ფეხსაცმლის ძირი რელიეფური გაეხადათ, რაც, ერთი მხრივ, ამორტიზაციას გაზრდიდა, მეორე მხრივ კი, ფეხსაცმლის მასას შეამცირებდა. ბილმა იდეა ფილს აუწყა და მეგობრებმა ამგვარი, "ვაფლის" ძირიანი ფეხსაცმლის გამოცდა გადაწყვიტეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ გენიალურმა გამოგონებამ 1979 წელს Nike ინდუსტრიის ლიდერად აქცია და ბაზრის 50 პროცენტი დააპყრობინა. ამგვარად, კომპანიამ 1980 წელს უკან ჩამოიტოვა Adidas-ი. წინ მხოლოდ ერთი კონკურენტი Reebok-ი იყო, რომელსაც Nike-მა ცოტა ხნის შემდეგ მაიკლ ჯორდანის მეშვეობით გაუსწრო.

1984 წელს კომპანიამ საკალათბურთო ფეხსაცმლის სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა ამერიკის კალათბურთის ნაციონალური ასოციაციის (NBA) 21 წლის ვარსკვლავ მაიკლ ჯორდანთან. დღეს სარეკლამო კამპანიებში ცნობილი სპორტსმენების ჩართვა საყოველთაოდ აპრობირებული მეთოდია, მაშინ, 80-იანი წლების შუაში კი Nike-ის სტრატეგიას პრეცედენტი არ ჰქონდა.

სარეკლამო კამპანიაში მილიონობით დოლარის ჩადებით Nike-მა ჯორდანი თავისი კულტურის ნაწილად აქცია. წარმოგიდგენიათ, რამდენი ამერიკელი ყმაწვილი ოცნებობდა, ისეთივე სპორტული ფეხსაცმელი ჰქონოდა, როგორიც თვით "ჰაერის მეფეს"? აღსანიშნავია, რომ საკალათბურთო ფეხსაცმელი Air Jordan-ი სპეციალურად მისთვის იყო შეკერილი და იდეალურად შეესაბამებოდა ჯორდანის სხეულის მასას და მოედანზე არსებულ დატვირთვებს. ეს საოცარი ფეხსაცმელი, რომელსაც დიდი მაიკლი ყველა თამაშზე იცვამდა, შავწითელ ფერში იყო გადაწყვეტილი, რაც "ნბა"-ში აკრძალულია. ამიტომაც, ასოციაცია ჯორდანს ყოველი მატჩის შემდეგ 1000 დოლარით აჯარიმებდა, ის კი მაინც Air Jordan-ს იცვამდა. ეს სკანდალური სიტუაცია, ცხადია, Nike-ს ხელს აძლევდა, ამგვარად ხომ გულშემატკივართა ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. შედეგად, კომპანიის გაყიდვების მოცულობა წელიწადში 4 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა და Reebok-იც უკან დარჩა.

### ახალი ერა

ამ მომენტიდან Nike-ში რესტრუქტურიზაცია დაიწყო. ინტუიცია მკაცრმა ლოგიკამ, სტატისტიკამ, კვლევებმა და ბაზრის შესწავლამ შეცვალა. კომპანიის მარკეტინგის განყოფილებების ბიუჯეტი გაიზარდა, მაგრამ ამით ნაიტი არ დაკმაყოფილდა, მან გადაწყვიტა, რომ Nike მხოლოდ სპორტული ფეხსაცმლის წარმოებით არ უნდა შეიზღუდოს. მალე გამოჩნდა რეკლამა - მან Nike გლობალურ სპორტულ კორპორაციად წარმოადგინა, რომელიც ფეხსაცმლის გარდა ტანსაცმელს, ქუდებს, საათებს და სხვა აქსესუარებს უშვებს. ამავე პერიოდში იქცა კომპანიის სარეკლამო სლოგანად - "უბრალოდ, გააკეთე ეს".

1988 წელს დაიწყო სარეკლამო კამპანია ბეისბოლის ვარსკვლავის ბო ჯექსონის მონაწილეობით. სამი სარეკლამო რგოლი აჩვენებდა, როგორ დარბის ჯექსონი, სეირნობს ველოსიპედით და თამაშობს კალათბურთს. სამივე რგოლი მთავრდებოდა ფრაზით: "ბომ იცის". შემდეგი კლიპი კი უკვე ჯექსონის და განთქმული მომღერლის ბო დიდლის სახელების დამთხვევით შეიქმნა.

კომპანია გამარჯვებით 1998 წლამდე ტკბებოდა, როცა Nike-ის პოპულარობა დაეცა, რადგან უკვე აღარ იყო მოდური ის, რაც ირგვლივ ათასობით ადამიანს ეცვა. ამას დაემატა 1998 წლის აზიის ეკონომიკური კრიზისი, ფასების დაცემა და Nike-მა პირველად 13 წლის არსებობის ისტორიაში 67,7 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი ნახა. გარდა ამისა, სიტუაცია პაკისტანში, ვიეტნამში, ინდონეზიასა და ჩინეთში არსებულ ქარხნებში სამუშაო პირობების და ანაზღაურების ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა გაართულა. Nike-ის მიმართ პრეტენზიები მეტად სერიოზული გახლდათ. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ პაკისტანში ქარხანაში მომუშავე ბავშვებს დღეში 60 ცენტს უხდიდნენ და კვირაში 65 საათს ამუშავებდნენ; ჩინურ ქარხანაში კი ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობა ნორმას 177-ჯერ აღემატებოდა.

მაგრამ ნაიტი პრობლემებს გაუმკლავდა. მან წარმოადგინა პროდუქციის ახალი ხაზი ACG და ბიზნესი ცალკეულ ჯგუფებად დაყო. ამგვარი რესტრუქტურიზაციის შედეგად გამოჩნდა: Nike Golf, Jordan Brand, Nike Hockey, Nike ACG და ა.შ. გარდა ამისა, ნაიტმა ყურადღება გაამახვილა ინტერნეტის ათვისებასა და ახალი ტიპის სარეკლამო კამპანიების წარმოებაზე. კერძოდ, 1999 წელს ნატო-ს მიერ ბელგრადის დაბომბვისას დანგრეულ ქალაქში გაჩნდა Nike-ის სარეკლამო დაფები წარწერით: "შეაჩერე დაბომბვა! უბრალოდ, გააკეთე ეს!"

მას შემდეგ Nike-ს პრობლემა აღარ შექმნია. იგი მსოფლიოს კვლავინდებურად ათასგვარი ნოვაციით აოცებს და, როგორც აღვნიშნეთ, თავისი სფეროს ერთპიროვნულ ლიდერად რჩება.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. მსოფლიოში არსებული მწვავე გეოპოლიტიკური ვითარების და ნავთობის გაძვირების მიუხედავად, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ ფედერალური სარეზერვო ფონდი უახლოეს მომავალში ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდას არ აპირებს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 1,18 პროცენტით, 11.235,23 პუნქტამდე გაიზარდა. 1,16 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.089,98 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 1,06 პროცენტით, 1.278,35 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასი გაიზარდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,97 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,51 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ნავთობის გაძვირების მიზეზი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის უახლოეს მომავალში მოგვარების იმედის არარსებობა გახლავთ. მართალია, აშშ-ს გენერალური მდივნის კონდოლიზა რაისის განცხადებით, ისრაელსა და ლიბანს შორის ცეცხლი კვირის ბოლომდე შეწყდება, მაგრამ, რეალობა აშკარად სხვაგვარია, რასაც დაპირისპირებული მხარეების განცხადებები და მოქმედება ადასტურებს. ანალიტიკოსთა აზრით, "შავი ოქროს" ფასი კიდევ უფრო მოიმატებდა, რომ არა 9 ივლისს დაზიანებული კირკუკ-ჯეიჰანის ნავთობსადენით ერაყული ნავთობის მიწოდების აღდგენა. ამასთან, ნიგერიელმა აჯანყებულებმა დატოვეს დაკავებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, რაც ამ ქვეყნიდან ნავთობის მიწოდების გაზრდის იმედს იძლევა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 635,9 დოლარამდე გაძვირდა. ვერცხლის ფასმა 11,47 დოლარი/უნციამდე მოიმატა, პლატინა 1243 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი 338 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირება ნავთობის ფასის ზრდამ და მსოფლიოში არსებულმა მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებამ განაპირობა. თუმცა, გარკვეულწილად, შემარბილებელი როლი ითამაშა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების პერიოდის დროებით დასრულების შესახებ ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ. მოგეხსენებათ, ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდა დოლარის კურსის გამყარებას და ოქროს გაძვირებას იწვევს.

## აშშ-ს ჩინეთში რეფორმების შენელება აშფოთებს

ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრმა ზრდამ და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე შესასრულებელი ვალდებულებების ვადის ამოწურვის მოახლოებამ, შესაძლოა, საბაზრო რეფორმების ჩატარებისაკენ ჩინეთის სწრაფვა შეანელოს. ამის შესახებ განცხადება გააკეთა აშშ-ს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა საკითხებში ფრანკლინ ლევინმა. მისი აზრით, ზემოთ აღნიშნული ორი ფაქტორი "ქმნის ატმოსფეროს, რომელიც არა მარტო რეფორმების სულს კლავს, არამედ რეგრესის საშიშროებას ქმნის."

2001 წელს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ჩინეთმა ფინანსური, მომსახურების და საცალო ბაზრების გახსნაზე თანხმობა განაცხადა. ამ ვალდებულებათა დიდი ნაწილი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა შესრულდეს, მაგრამ, ლევინის თქმით, ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი, მაღალი ტემპი, რაც, უკვე მერამდენე ათწლეულია, შეინიშნება, პოლიტიკურ ლიდერებს აუცილებელი რეფორმების გატარების სურვილს აკარგვინებს.

აღინიშნა ისიც, რომ შექმნილი სიტუაცია ამერიკული კომპანიების შეშფოთებას იწვევს და ინვესტორებს აფრთხობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეალობა სრულიად საწინააღმდეგო გახლავთ. ამასთან, ჩინეთი კვლავინდებურად აშშ-ს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება.

## General Motors-ის მტრული შთანთქმა არ იგეგმება

საავტომობილო კომპანიების - ფრანგული Renault-ის და იაპონური Nissan-ის ალიანსის თავკაცმა კარლოს გონსმა განაცხადა, რომ ამერიკული General Motors-ის მტრულ შთანთქმას არავინ აპირებს, მისი აქციების შეძენაზე საუბარი ძალიან ნაადრევია და მოლაპარაკებები სამმხრივი ალიანსის, რაც სამივე კომპანიის პროგრესს ძალიან წაადგება, შექმნის თაობაზე გაგრძელდება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ 90 დღის განმავლობაში, სანამ კომპანიები გაერთიანების დადებით მომენტებს არ შეისწავლიან, ფრანგულ-იაპონური ალიანსი ამ თვალსაზრისით არაფერს მოიმოქმედებს.

შეგახსენებთ, რომ კომპანია Renault-ი 1898 წელს შეიქმნა და ამ დროისათვის 350-მდე საწარმოო ობიექტს აერთიანებს. 1911 წელს შექმნილი Nissan-ი კი წელიწადში 3 მილიონამდე ავტომობილს ყიდის. რაც შეეხება 1908 წელს აშშ-ში შექმნილ General Motors-ს, იგი 1931 წლიდან მსოფლიოს უმსხვილესი ავტომწარმოებელი გახლავთ, მსოფლიოს 32 ქვეყანაში მოღვაწეობს და გასულ წელს 9,17 მილიონი მსუბუქი და სატვირთო ავტომობილი გაყიდა.

## მთავრობა 2010 წლამდე საგარეო ვალის მნიშვნელოვნად შემცირებას აპირებს

საქართველოს მთავრობა 2010 წლამდე საგარეო ვალის მნიშვნელოვნად შემცირებას აპირებს. პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განუცხადა, რომ 2007-2010 წლებისთვის მთავრობის სტრატეგიაში მთავრობის ვალის შემცირება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 52 პროცენტიდან 25 პროცენტამდე არის დაგეგმილი. მინისტრის განმარტებით, საქართველოს აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად რამდენიმე მიმართულება აქვს განსაზღვრული. პირველ რიგში, საქართველოს მთავრობა არ იღებს კომერციულ კრედიტებს. გარდა ამისა, ხდება წინა წლებში დაგროვილი ვალების გასტუმრება.

პარიზის კლუბის ფარგლებში საგარეო ვალების გადახდა 2007 წლიდან გაზრდილი მოცულობით განხორციელდება, რადგან უნდა მოხდეს 2001-2003 წლებში გადავადებული ვალების დაფარვა. წლის ბოლომდე მოხდება ავსტრიის ვალის დისკონტური პირობებით დაფარვა, რის გამოც არსებული ვალიდან - 73 მლნ ევროდან - საქართველო მხოლოდ 36 მილიონ ევროს გადაიხდის. ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ანალოგიური მოლაპარაკება რამდენიმე სხვა კრედიტორ ქვეყანასთანაც მიმდინარეობს. 2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალი 1 755 858 000 აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან, მსოფლიო ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტის ოდენობა 722 751 000 აშშ დოლარია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის - 234 218 000 აშშ დოლარი. ორმხრივი კრედიტორების დავალიანება 595 129 000 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც რუსეთის ვალი 147 140 000 აშშ დოლარია, ავსტრიის - 91 709 000 აშშ დოლარი, თურქმენეთის - 54 845 000 აშშ დოლარი, თურქეთის - 54 290 000 აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

]

## კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" მომგებიანი 2010 წლიდან გახდება

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" 2010 წლიდან მომგებიანი გახდება, ჩადებულ ინვესტიციების ამოღებას კი 2025 წლისთვის გეგმავს, - აცხადებს კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი ქოიავა. მისი თქმით, თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის მშენებლობაში, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში 2006-2011 წლებში კომპანია 80 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს.

კომპანია თბილისში ბუნებრივი გაზით 275 ათას აბონენტს, 4700 კომუნალურ და 600 მსხვილ მომხმარებელს ამარაგებს. 2006 წელს სს "ყაზტრანსგაზი" თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" მფლობელი გახდა. ყაზახურმა ინვესტორმა "თბილგაზში" 12,5 მლნ აშშ დოლარი გადაიხადა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ეკონომიკის სამინისტრო 26 ობიექტს ყიდის

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად 26 ობიექტი გამოიტანა, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს სამინისტროდან. შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები იმერეთის რეგიონში - ზესტაფონში, ხარაგაულში და ბაღდათში მდებარეობს. ყველა ობიექტის ჯამური საწყისი ფასი 2 602 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ობიექტები აუქციონის წესით გაიყიდება, რომელიც 31 აგვისტოს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 1/08 | 2/08 | 3/08 |
|---|---|---|---|
| კიევი | 28 | 27 | 30 |
| რიგა | 24 | 26 | 25 |
| ვილნიუსი | 25 | 23 | 23 |
| მოსკოვი | 24 | 23 | 21 |
| მინსკი | 28 | 23 | 26 |
| პარიზი | 21 | 20 | 19 |
| რომი | 33 | 32 | 30 |
| ლონდონი | 21 | 20 | 20 |
| მადრიდი | 32 | 34 | 33 |
| ბონი | 21 | 21 | 20 |
| ვარშავა | 27 | 23 | 28 |
| ათენა | 34 | 35 | 37 |
| ბერნი | 24 | 22 | 21 |
| ამსტერდამი | 19 | 18 | 18 |
| ოსლო | 21 | 19 | 20 |
| ანკარა | 33 | 33 | 36 |
| ვარნა | 36 | 32 | 33 |
| დელი | 52 | 51 | 41 |
| ტოკიო | 29 | 28 | 31 |
| კოპენჰაგენი | 21 | 20 | 20 |
| ბაქო | 31 | 32 | 34 |
| ერევანი | 37 | 37 | 38 |
| ასტანა | 20 | 21 | 20 |
| ჰელსინკი | 21 | 20 | 18 |
| დუბლინი | 16 | 17 | 19 |
| ლისაბონი | 28 | 30 | 31 |
| პრაღა | 26 | 23 | 21 |
| სოფია | 29 | 29 | 31 |
| ბუდაპეშტი | 36 | 23 | 28 |
| ბუხარესტი | 37 | 36 | 39 |

# გზა რიგითი თანამშრომლიდან ხელმძღვანელ თანამდებობამდე

პირველი გვერდიდან



უნივერსიტეტი სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა, როცა "თბილკომბანკისგან" არცთუ მაღალანაზღაურებადი შემოთავაზება მიიღო, მაგრამ მაინც დათანხმდა. არ ნანობს. ფიქრობს, რომ პირველმა სამსახურმა მომავალ წარმატებაში გარკვეული წვლილი მაინც შეიტანა. იმ დროს "თბილკომბანკი" ქართულ საბანკო ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი იყო. მიუხედავად ამისა, პირველი სამი თვე უხელფასოდ მუშაობდა. სამი თვის თავზე მისი ყოველთვიური ჯამაგირი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე უნივერსიტეტში სტუდენტური სტიპენდია. **"მიუხედავად ამისა, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი იმით, რასაც ვაკეთებდი. ეს ჩემთვის პირველი საკუთარი ფული იყო."**

დღისით "თბილკომბანკში" ოპერატორის პოზიციას ასრულებდა, სამსახურის შემდეგ სახლში სხვადასხვა ტიპის ტექსტების ინგლისურად თარგმნაზე შეკვეთებს ღებულობდა. ყველაფერთან ერთად, სწავლასაც ახერხებდა და მუდმივად სიახლის ძებნაში იყო. ეს დღესაც გრძელდება, მერე რა, რომ "თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტია, "იესემში" ახლაც სწავლობს.

"თბილკომბანკში" 5 წელი იმუშავა. მერე ბანკი გაკოტრების პირას მივიდა და მას ახალი სამსახურის ძებნა მოუწია. მალევე იპოვა "თიბისი ბანკში" - 2000 წელს ნინო "თიბისი ბანკში" სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების მთავარი მენეჯერის პოზიციას იკავებს. უკვე 2 წლის შემდეგ ამ განყოფილების ხელმძღვანელად ნიშნავენ.

სტრატეგიულ დაგეგმვას "თიბისი ბანკში" 2 წელი ხელმძღვანელობდა. როგორც წარმატებულ მენეჯერს, 2 წლის თავზე გაყიდვების განყოფილება ჩააბარეს, რომელსაც ევალებოდა საბანკო პროდუქტების გაყიდვების გაზრდის ხელშეწყობა კორპორატიულ და ფიზიკური პირების სეგმენტებზე.

**"გარკვეული პერიოდის შემდეგ მე თვითონ შევთავაზე უმაღლეს მენეჯმენტს, რომ გაყიდვების განყოფილება 2 ნაწილად გაყოფილიყო და ცალ-ცალკე ჩამოყალიბებულიყო კორპორატიული და რითეილის, ანუ ფიზიკური პირების სეგმენტებისათვის. მე, პირადად, რითეილის სეგმენტი მაინტერესებდა და ეს მიმართულება ავირჩიე, რადგან ამ სეგმენტზე უფრო მეტი ახალი მომსახურებების მოგონება და შეთავაზება შეიძლებოდა, უფრო მომთხოვნი სეგმენტია, რომელიც მუდმივად საჭიროებს მრავალფეროვან, ახალ-ახალ სერვისებს."**

სამი თვის წინ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინეს, დამფუძნებლებთან გასაუბრების შემდეგ ბანკის ვიცე-პრეზიდენტობა მიულოცეს. დღეს ის სწორედ "თიბისი ბანკის" ფიზიკური პირების სეგმენტზე განვითარებას კურირებს.

იმ ფაქტს, რომ ასეთ მაღალ თანამდებობებზე ქალები იშვიათად ინიშნებიან, მით უმეტეს - საქართველოში, თავადაც აღიარებს. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი რომ გახდა, ამას საკუთარი პოტენციალის გარდა, ბანკის პრეზიდენტის ვახტანგ ბუცხრიკიძის სურვილითაც ხსნის. **"მას სურდა, ერთი - რომ ბანკის დირექტორატში ქალიც ყოფილიყო წარმოდგენილი და მას განსხვავებული აზრები შეეტანა, და მეორე - სხვა თანამშრომლებისთვის ეჩვენებინა, რომ არა მხოლოდ მამაკაცებისთვის არის გზა ხსნილი, არამედ ქალებისთვისაც. თუკი ისინი მიზანდასახულობას გამოიჩენენ და შესაბამისად იმუშავებენ."** მიუხედავად ამისა, ამ პოზიციის დაკავებაზე არასდროს უფიქრია.

### სამსახურში

"თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ბანკის მიერ დასახული ყველა მიზნის მიღწევაში თითოეული თანამშრომლის წვლილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ის მუდმივად ზრუნავს მათ წახალისებაზე, მოტივაციასა და ჩართულობაზე. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე დიდი ხნის წინ გამოსცადა. **"როცა დაგეგმვის სამსახურში ვიყავი და მენეჯმენტთან ერთად სტრატეგიაზე ვმუშაობდით, შემეძლო, საკუთარი აზრი ისევე დამეფიქსირებინა, როგორც გენერალურ დირექტორს. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს."** ამიტომაც დღეს ბანკის ნებისმიერ თანამშრომელს თამამად შეუძლია ვიცე-პრეზიდენტის კარზე დაკაკუნება და საკუთარი მოსაზრებისა თუ წინადადების მასთან გაზიარება.

ყოველი დღის ბოლოს წესად აქვს, მომდევნო სამუშაო დღის გასაკეთებელს სპეციალურ დღიურში ინიშნავს. **"საღამოს, როცა ამ დღიურს გადავშლი, თუკი ყველა დავალება ხაზგადასმული დამხვდება, ვთვლი, რომ სრულყოფილი დღე მქონდა და ჩემს თანამშრომლებთან ერთად ძალიან კარგად მიმუშავია."**

### საერთო მიზანი

**"ყოველთვის ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რას სურს ჩვენს კლიენტს,"** ეს კი არცთუ ისე იოლია. თუმცა სხვანაირად კონკურენციას ვერ გაუძლებდა და წლების განმავლობაში ვერც ნომერ პირველი ქართული ბანკი იქნებოდა.

სპეციალური კვლევები, რაშიც დიდი ენერგია და სახსრები იხარჯება, ბანკს ყოველთვის კარნახობს მომხმარებლის სურვილებს. **"ამის მერე ვცდილობთ, სწრაფად მოვახდინოთ კლიენტისთვის სასურველი პროდუქტის დანერგვა და, რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ხარისხიანი."** თუმცა მანამდე ის ბანკის თანამშრომლებს შორის ხანგრძლივ ტესტირებას გადის. შესაძლოა, დაკვირვების პროცესში რაიმე ხარვეზმა იჩინოს თავი, რისი კორექტირება აუცილებლად ხდება. მხოლოდ ამ გზის გავლის შემდეგ მიდის ნებისმიერი საბანკო პროდუქტი მომხმარებლამდე.

2008 წლისთვის "თიბისი ბანკი" კიდევ ერთი გამარჯვებისთვის ემზადება. ორი წლის შემდეგ ბანკს ფიზიკური პირების მომსახურებაში ლიდერის პოზიცია უნდა ეკავოს. ხელმძღვანელობისა და დამფუძნებლების ამ ამბიციას ნინო მასურაშვილი კარგად ათვითცნობიერებს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გრძნობს.

### სამსახურის შემდეგ

ისევე, როგორც ყველა საქმიანი ადამიანი, ისიც მოკლებულია ოჯახის წევრებთან ერთად განმარტოებას და მათთან ურთიერთობას. დედის სახლში არყოფნას განსაკუთრებულად მისი 4 წლის ნიკუშა განიცდის. მასთან ერთად თავისშექცევა კი დედისთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. **"მასთან გატარებული ყოველი წუთი ძალიან მახალისებს და დიდ ენერგიას მაძლევს. საინტერესოა ჩემთვის მის განვითარებაზე დაკვირვება."** ტელევიზორი, კლუბები და სხვა მსგავსი საშუალებები მისთვის მეორეხარისხოვანია, რისთვისაც დრო ძალიან იშვიათად რჩება.

საამაყო წუთები ცხოვრებაში ბევრი ჰქონია, ერთ-ერთი ბოლო - სამსახურში დაწინაურებას უკავშირდება. მამუკა ხაზარაძესთან გასაუბრების შემდეგ, **"ჩემს შესახებ მისი აზრი მოვისმინე და მერე ახალი თანამდებობა მომილოცეს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის წუთები, რომელიც განსაკუთრებულად დარჩა ჩემს მეხსიერებაში."**

ისევ და ისევ დაძაბული სამუშაო გრაფიკისა და მოუცლელობის გამო, ხშირად ვერ ანებივრებს თავს იმით, რისი კეთებაც ყველაზე მეტად სიამოვნებს. მოგზაურობა და სხვადასხვა კულტურების გაცნობა - ეს არის ის, რაზედაც უარს ვერასოდეს იტყვის. **"ამ შემთხვევაშიც კი ვცდილობ, რომ იქიდან ახალი ცოდნა და ინფორმაცია წამოვიღო, რაც ბანკში მუშაობის დროს გამომადგება. მოგზაურობიდან თუ მივლინებიდან სამსახურში ყოველთვის ახალ-ახალი იდეებით ჩამოვდივარ."**

### როგორ ეხმარება ბანკი ადამიანებს ყოფითი პრობლემების გადაჭრაში

წლების განმავლობაში პირიქით იყო - ბანკები პროდუქტებზე ორიენტირებულები იყვნენ და კლიენტების სურვილებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ. თუკი წინათ კომერციული ბანკები მომხმარებელს სტანდარტულ სერვისებს სთავაზობდნენ, დღეს უკვე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. **"კლიენტი მოდის თავისი მოთხოვნებით. მას სჭირდება კონკრეტულად "ეს", და ბანკი ვალდებულია, გაუკეთოს მას ეს პროდუქტი, თუკი მასთან თანამშრომლობა სურს. ანუ დღეს ინიციატორი ჩვენი კლიენტია და არა "თიბისი ბანკი."**

მომხმარებლის მოთხოვნა სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე და, შესაბამისად, დაკვეთა ამ ბაზარზე სწრაფი ტემპებით იზრდება. ამ დაკვეთას "თიბისი ბანკი" ოპერატიულად ასრულებს, რაც ადამიანებს ყოფითი პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვნად ეხმარება. მაინც როგორ?

**"თუკი გადავხედავთ ბაზარს, ვნახავთ, რომ დღეს მოსახლეობა აქტიურად ყიდულობს იმ საქონელს, რაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება. შესაძლოა. ადამიანს არ ჰქონდეს იმ მოცულობის თანხა, რასაც ერთბაშად გადაიხდის მისთვის სასურველ პროდუქტში. ამის გათვალისწინებით გაჩნდა ახალი საბანკო სერვისი - "განვადება", რაც "თიბისი ბანკმა" წელს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ჩვენი წარმომადგენელი დღეს უკვე მაღაზიაში ზის, რომელსაც შეუძლია, მხოლოდ პასპორტის მონაცემზე, სულ რაღაც 30 წუთში გასცეს კრედიტი."**

პლასტიკური ბარათების დანერგვა კიდევ ერთი გზა იყო ბანკისა და კლიენტის დაახლოებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლასტიკურმა ბარათებმა მომხმარებელი ბანკში მიიყვანა. **"თანხის საფულით ტარება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, სახლში დატოვებაც არ არის მაინცდამაინც ხელსაყრელი. ბარათი კლიენტს საშუალებას აძლევს, მის ანგარიშზე არსებული თანხა უფრო კომფორტულად გახარჯოს და მისთვის იმ წუთში სასურველი ნივთი შეიძინოს."**

კომუნალური გადასახადები - ეს მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ოჯახის პრობლემაა, რასაც "თიბისი ბანკი" ითვალისწინებს და საკუთარ კლიენტებს ამ პრობლემის მოგვარებაშიც ეხმარება. ბანკი ამ პრობლემის მოსაგვარებლად მომხმარებელს სამ ალტერნატივას სთავაზობს - ბანკომატების, ინტერნეტ-ბანკისა და ავტომატური გადარიცხვების საშუალებებით შეუძლია თითოეულ მომხმარებელს კომუნალური გადასახადების გადახდა. ითვლება, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე კომფორტულია. იმის გათვალისწინებით, რომ კომუნალური კომპანიებისა და ბანკების მონაცემთა ბაზა ინტეგრირებულია და ავტომატიზირებული, შეცდომა გამორიცხულია.

**"შარშან ზაფხულში, გონიოში ვიწექი სანაპიროზე და ვირუჯებოდი. მოკლე ტექსტური შეტყობინება მივიღე, სადაც ბანკი მაცნობებდა, რომ მიმდინარე თვის ჩემი კომუნალური გადასახადები ავტომატურად გადაირიცხა. ამ წუთში ყველაზე მეტად ვიგრძენი, თუ რამდენად კომფორტული და მოსახერხებელია ეს სერვისი."**

### ახალი საბანკო პროდუქტები ქალებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის)

ოქტომბერში "თიბისი ბანკი" ქალბატონებს სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებს. სპეციალური პლასტიკური ბარათები განსაკუთრებული და სრულიად განსხვავებული დიზაინით მხოლოდ ქალებისთვის უახლოეს ორ თვეში შეიქმნება. **"ჩვენი ბანკი ამჟამად ხელშეკრულებებს აფორმებს ყველა იმ დაწესებულებასთან, რომლებსაც ქალბატონები ყველაზე ხშირად სტუმრობენ - სილამაზის ცენტრები, ფიტნეს-კლუბები, პარფიუმერიისა და კოსმეტიკის მაღაზიები და სხვა. ამ ბარათის შეძენის შემთხვევაში ისინი განსაკუთრებულ ფასდაკლებით ისარგებლებენ."**

ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი ბანკის ახალი ვიცე-პრეზიდენტი ნინო მასურაშვილი იყო. **"ვთვლით, რომ ქალები ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ბანკისგან რაღაც განსაკუთრებული მიიღონ."**

ეს რომ მართლაც განსაკუთრებული საჩუქარი იქნება, ქართველი ქალბატონები ამაში მალე თავად დარწმუნდებიან.

სექტემბერში არა, მაგრამ წლის ბოლომდე მომხმარებელს "თიბისი ბანკი" კიდევ ერთ სიახლეს ჰპირდება. ეს სიახლე განსაკუთრებულად მათ გაახარებს, ვინც საკუთარი ავტომანქანით ბევრს მოგზაურობს. **"ბანკი ერთ-ერთ მსხვილ, ბენზინგასამართი სადგურების კომპლექსთან ალიანსში შედის და ისინი, ვინც პლასტიკური ბარათებით ჩაასხამენ საწვავს, ბანკისგან საჩუქრად დამატებით ლიტრებს მიიღებენ."**

"ჩემი სეიფი" - ასე ჰქვია კიდევ ერთ ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც მომხმარებელს ფულის შენახვისა და გახარჯვის მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევს. ეს საბანკო პროდუქტი, რომელიც სექტემბრის თვეში დაინერგება, ძირითადად, იმ კატეგორიის კლიენტზეა გათვლილი, რომელმაც **"რაღაც აქტივის რეალიზაცია მოახდინა, ან დივიდენდი მიიღო და არ იცის, რამდენი ხანი შეიძლება გააჩეროს ბანკში თანხა. ან, შესაძლოა, ეს არის მისთვის ის ფული, რომელსაც სურს, ყოველთვიურად რაღაც მოაკლოს და ამით იცხოვროს,"** - განმარტავს ნინო მასურაშვილი. სტანდარტული ვადიანი დეპოზიტის შემთხვევაში მომხმარებელი ასეთ თავისუფლებას მოკლებულია.

## ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელი 1 700 დოლარია

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1 700 დოლარია როგორც ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია განვითარების ისეთ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. "მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის თითქმის ერთი და იგივეა, თუმცა პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლავ ბალტიისპირეთში ფიქსირდება," - განაცხადა მან. მინისტრის თქმით, ესტონეთის მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 7 000 დოლარია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40 000 დოლარსაც აღწევს. სულ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 13 მილიარდ 700 მილიონი ლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში დაფნის ფოთლის საკონსოლიდაციო ცენტრი იხსნება

2 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში საქართველოში პირველი, დაფნის საკონსოლიდაციო ცენტრი გაიხსნება. ცენტრი ადგილობრივი საწარმოს შპს "ეთერზეთისა" და USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის AgVANTAGE-ის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. საკონსოლიდაციო ცენტრი საწარმოს საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს და აკონტროლოს პროდუქციის ხარისხის, დაფასოებისა და შეფუთვის ერთგვაროვნება. ცენტრის სახით ადგილობრივ მოსახლეობას გასაღების მუდმივი ბაზარი და, შესაბამისად, შემოსავლის მუდმივი წყარო ექმნება. ცენტრში ათეულობით ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. იმავე დღეს გაიხსნება დაფნის ზეთის გამოსახდელი ქარხანა, რომელიც AgVANTAGE-ის პროექტის ფარგლებში სრულიად გარემონტდა. შედეგად, ქარხნის წარმოების სიმძლავრე გაიზარდა და საექსპორტო პროდუქციის რაოდენობა გასამმაგდა.

გახსნისას დაფნის ფოთლის დაფასოების, გადარჩევისა და დაფნის ზეთის გამოხდის პროცესის დემონსტრირება მოხდება. გახსნის ცერემონიას დაესწრებიან USAID-ის კავკასიის მისიის უფროსის მოადგილე რობერტ უილსონი, USAID-ის ეკონომიკური გავითარების განყოფილების უფროსი დეივიდ გოზნი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, აგილობრივი ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამხრეთ ოსეთს მოსავლის აღების წინ გაუმართავი ტექნიკის პრობლემა აქვს

სამხრეთ-ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას მოსავლის აღების წინ მანქანა-დანადგარების პრობლემა აქვს. დე ფაქტო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის თეიმურაზ დოგუზოვის განცხადებით, დღეისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სფეროს ყველაზე მეტად მანქანა-ტრაქტორების პარკის გაუმართაობის პრობლემა აწუხებს. მოძველებული ტექნიკა უკვე მწყობრიდან გამოსულია და სამუშაოების შესასრულებლად უვარგისია. "კომბაინთა უმრავლესობა რემონტის პროცესშია, თუმცა მათი დიდი ნაწილი სამუშაო რეჟიმს ვეღარ დაუბრუნდება. მოძველებულმა ტექნიკამ თავისი საექსპლუატაციო ვადა უკვე ამოწურა," - განაცხადა დოგუზოვმა. მისივე თქმით, სამხრეთ ოსეთში საზოგადოებრივ მეურნეობებში ასაღებია 293 ჰექტარი მარცვლეული და 367 საგაზაფხულო კულტურები, ფერმერულმა მეურნეობებმა კი იგივე სამუშაო 239 და 350 ჰექტარზე უნდა შეასრულონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნავთობის ფასი შემცირდა

მსოფლიოში სასაქონლო ბირჟებზე ნავთობზე ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე ერთი ბარელი IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა 73,39 (-1,62) დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა - 73,24 (-1,30) დოლარი ერთ ბარელზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ჰეკმანი, ნიუმენი, პატარა იურგენი და ორი იქსი




C2

დავით მუჭირი: "მადა ჭამაში მოდის"



C2

ახდენილი ოცნება



C3

## ნაკრები მზადებას განაგრძობს

2 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ბიტბურგში საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრები ესპანეთის პრიმერადივიზიონის კლუბ "ხეტაფესთან" არაოფიციალურ შეხვედრას გამართავს. გუნდი 19 წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელით და ეროვნული ნაკრების სამი კანდიდატითაა გაძლიერებული. ჩვენი დელეგაცია გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ვენის გავლით ჩაფრინდა. ნაკრებს არ გაჰყოლიან შოთა კაშია, რომელიც ჯერ კიდევ თბილისში დაშავდა და "ამერის" ფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი, რომლის გათავისუფლებაზე კლუბმა განაცხადა უარი.

გუშინ საღამოს 21 წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა რალფ მინგემ ბიჭები მსუბუქად ავარჯიშა, დღეს საღამოს კი მეორე ვარჯიში გაიმართება. დილით ყველა ფეხბურთელმა გაიარა სამედიცინო ტესტი, რომელიც ლევერკუზენის "ბაიერიდან" მოწვეულმა სპეციალისტებმა ჩაატარეს.

ნაკრებს ვერ დაეხმარება ყაზანის "რუბინის" მეკარე ნუკრი რევიშვილი, რომელიც რუსულმა კლუბმა არ გაათავისუფლა - საქმე ისაა, რომ ყაზანელთა ძირითადი მეკარე დაშავდა.

"ხეტაფესთან" მატჩი ადგილობრივი დროით 19.30 საათზე დაიწყება.

*სფფ-ის პრესცენტრი*

## ახალი წესები

ორშაბათს უეფამ გამოაქვეყნა დისციპლინარული კოდექსის ახალი ვარიანტი, რომლითაც იხელმძღვანელებენ ამ სეზონში. ახალ წესებში რამდენიმე სიახლეა. კერძოდ, ამიერიდან მკაცრად დაისჯებიან სიმულანტი ფეხბურთელები. შესაძლოა მათ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც კი მიეცეთ. სხვა სიახლეებიდან აღსანიშნავია სასჯელის გამკაცრება იმ შემთხვევაში, როდესაც ფეხბურთელი შეურაცხყოფას აყენებს მეტოქეს რასობრივ, ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე. ასეთი სახის დანაშაული, სულ ცოტა, ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ტიპის შეურაცხოფა ფანებიდან მოდის, ისჯება კლუბი, რომელსაც, სულ ცოტა, 30 000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს. შესაძლოა დისკვალიფიკაცია მიეცეს სტადიონს ან მომდევნო რამდენიმე მატჩის გამართვა გუნდს დახურულ კარს მიღმა მოუხდეს. ახალი კანონები ითვალისწინებს, რომ ასეთი სახის დანაშაულის გამო გუნდი შეიძლება მოიხსნას ამა თუ იმ ტურნირიდან.

აგრეთვე შემოღებულია ცნება "გუნდის ულირსი საქციელი". თუ მატჩში ერთი გუნდის ხუთმა ფეხბურთელმა მიიღო ყვითელი ბარათი, შესაძლოა გარკვეული დისციპლინარული სანქციები თავად გუნდსაც შეეხოს.

ცალკეა გაწერილი დოპინგთან დაკავშირებული დარღვევები. როგორც იქნა, უეფამ ეს საკითხი ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესდებასთან შესაბამისობაში მოიყვანა.

დაბოლოს: უეფამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მინდორზე მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მოკლედ, ამ სეზონიდან ფეხბურთს ოდნავ შეცვლილი წესებით ითამაშებენ. ამ სანქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ყვითელ ბარათებთან დაკავშირებული პუნქტია. ფაქტობრივად, გუნდებს უხეშობის ლიმიტი დაუწესდათ. თუ აქამდე ფეხბურთელები არ ერიდებოდნენ თითო ყვითელი ბარათის მიღებას, ახლა ეს ასე აღარ იქნება.

## 100 მილიონი - რონალდინიოში, 40 - იბრაჰიმოვიჩში

კვირას "მილანის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სეზონის დაწყებამდე ერთ ხმაურიან ტრანსფერს განახორციელებდა. გუშინ იტალიური მედია მილანური კლუბის გეგმების შესახებ წერდა. რამდენიმე დღეში "მილანი" წინადადებით მიმართავს "ბარსელონას". იტალიელებს რონალდინიოს შეძენა სურთ და ბრაზილიელ გენიოსში კატალონიურ კლუბს 100 მილიონ ევროს შესთავაზებენ. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ "ბარსას" ასეთივე წინადადებით მიმართა "ჩელსიმაც", მაგრამ რონალდინიო არ გაიყიდა. ბრაზილიელს 2009 წლამდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი "ბარსელონასთან" და, როგორც თავად აცხადებს, კლუბის მიტოვებას არ აპირებს. კიდევ ერთი ვარსკვლავი, რომლის შეძენასაც "მილანი" აპირებს, ტურინის "იუვენტუსის" ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩია. შვედი ფეხბურთელის შესაძენად "მილანს" 40 მილიონი ევროს გაღება მოუწევს. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირებას "ინტერიც" აპირებს, რამაც შესაძლოა იბრაჰიმოვიჩის ფასი გაზარდოს.

## რობერტო კარლოსი "რეალში" დარჩება?

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რობერტო კარლოსი მადრიდის "რეალს" დატოვებს. გუშინ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გაზეთ "ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "სამეფო კლუბის" მიტოვება არ სურს. "მე "რეალში" დარჩენა მინდა. ვესაუბრე ფაბიო კაპელოს და იმედია, კლუბის ხელმძღვანელებთან საერთო ენას გამოვნახავ", - აცხადებს რობერტო კარლოსი.

მართალია, თავად რობერტო კარლოსს გუნდიდან წასვლა არ უნდა, მაგრამ ყველაფერი მარტო მის სურვილზე როდია დამოკიდებული. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადრიდის "რეალი" უახლოეს დღეებში ლონდონის "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების მარცხენა მცველს ეშლი კოულს იყიდის. მართალია, "ჩელსი" კოულში 25 მილიონ ევროს იხდის, მაგრამ ვენგერს არ სურს ფეხბურთელი კონკურენტ გუნდში გაუშვას. მადრიდელები კი ეშლი კოულში 18 მილიონ ევროს იხდიან და, როგორც ამბობენ, "არსენალისთვის" ეს წინადადება მისაღებია.

ამავე დროს "არსენალიდან" "რეალში" შესაძლოა ხოსე ანტონიო რეიესიც გადავიდეს. მადრიდელებმა ვერ შეძლეს კაკას ყიდვა და ახლა რეიესის ტრანსფერზე გადაერთნენ.

კიდევ ერთი ინფორმაცია მადრიდის "რეალის" სატრანსფერო საქმიანობასთან დაკავშირებით გაბრიელ ჰაინცეს ეხება. "სამეფო კლუბი" მოლაპარაკებას მართავს "მანჩესტერთან" ამ არგენტინელი მცველის შეძენის თაობაზე.

# K2-ის ხუთი რუსი, ერთი ქართველი და ერთიც ირლანდიელი



*გია თორთლაძეს ჩოგორამდე მეტრებილა აშორებს.*

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

*მანასლუდან (8163 მ.) შინ დაბრუნებულმა სიმაღლით დედამიწის მეორე მწვერვალის K2-ის, იგივე ჩოგორის (8611 მ.) დალაშქვრა განიზრახა. სულის მოსათქმელად არცთუ დიდი დრო ჰქონდა. მით უმეტეს, ჰიმალაიდან დაბრუნებულს.*
*მანასლუ, რომელიც სიმაღლით დედამიწის მერვე მწვერვალია, წლეულს პირველი დაპყრობიდან 50 წლის იუბილეს აღნიშნავდა. ეს ისე, ცნობისთვის. დღევანდელი ექსპედიციის მიზანი კი ჩოგორია. დედამიწის 14 რვაათასიანი მწვერვალიდან მეორე. გია თორთლაძე, როგორც მაშინ, ახლაც სერგეი ბოგომოლოვთან ერთადაა ექსპედიციაში და მწვერვალის მისადგომებთან გაუშლია კარავი.*

დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალის დალაშქვრამდე მეტრები რჩება, მაგრამ კარგად იციან, რამდენ ენერგიას მოითხოვს თითქოს რამდენიმემეტრიანი ბარიერის გადალახვა.

ექსპედიცია, რომელიც ახლა სუსხიან ჰიმალაებშია, იერიშისთვის ემზადება. მაგრამ როგორი იყო ჩოგორამდე გზა, ამისთვის ექსპედიციის ხელმძღვანელის სერგეი ბოგომოლოვის დღიურები მოვიშველიოთ. მაშ ასე, დღიურები და გზა ვერტიკალური სამყაროსკენ ნაბიჯ-ნაბიჯ გაცოცხლებული.

### 4 ივლისი:

ისლამაბადში ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპედიცია K2-ზე დაიწყო. ბოლო დღეებიდან მომხდარი ფაქტებიდან არ შეიძლება არ აღვნიშნო ისლამაბადისკენ მიმავალი თვითმფრინავის რყევა. ასეთი რამ ცხოვრებაში არ განგვიცდია. გული სადღაც წინდებში გაგვეპარა. პილოტი იძულებული გახდა თვითმფრინავი შემოებრუნებინა და ლახორში დავმსხდარიყავით. ორი საათი მოვიცადეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გავფრინდით დანიშნულების ადგილისკენ.

### 5 ივლისი:

მდინარე ინდუსის გაყოლებაზე ჩილასამდე (პატარა დასახლებაა) დიდი ყარაყორუმის შოსეს გავუყევით, რომელიც აერთიანებს პაკისტანსა და ჩინეთს. გზად ბევრია მეწყერი. მართალია, გზა გაწმენდილია, მაგრამ არა ისე, რომ სასიარულოდ პრობლემები არ შეგვიქმნას. შარშან, 8 ოქტომბერს, მიწისძვრით დატრიალებული ტრაგედიის ნიშნებია ყველგან (მიწისძვრამ 3 ათასი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო მეზობელ ქაშმირში - 70 ათასი.-რედ). ...აქ, ჩილასში, ტელევიზორი არა აქვთ და, შესაბამისად, ვერ ვუყურებთ პორტუგალიისა და საფრანგეთის ნახევარფინალურ მატჩს.

### 6 ივლისი:

ჩილასი ისტორიას ჩაბარდა. 35 გრადუსია სითბო. აბსოლუტურად უღრუბლო ცაა. როდესაც სკარდუში ჩავაღწიეთ, ღრუბლებმა მოიყარეს თავი.

### 7 ივლისი:

გია თორთლაძესთან ერთად ტანდემში ვარ. პერმიტით (ნებართვა) კუზბასელთა გუნდში ვართ ჩაწერილები, რომელშიც შედიან პოლონელი, ირლანდიელი და შვეიცარიელი მთამსვლელები. თითოეული მათგანი უკვე მწვერვალის მისადგომებთანაა. ერთადერთი, რაც ახლა გვმართებს, ისაა, რომ მათ უნდა დავეწიოთ.

### 9 ივლისი:

უკვე მეოთხე დღეა კარგი ამინდია. 6 და 8 ივლისს მარშრუტის მეორე სააკლიმატიზაციო გასვლა განვახორციელეთ.

გაგრძელება C4 გვერდზე



## დავით კოვზირიძის სვეტი

# ჰეკმანი, ნიუმენი, პატარა იურგენი და ორი იქსი

- პირველი, ვინც ამ კაცის დანახვისთანავე გამახსენდა, არის ჯინ ჰეკმანი - ასე დაიწყო წერილის წერა "ნიუ-იორკ ტაიმსის" რეპორტიორმა, რომელიც გელზენკირხენის ტორტივით "ველტინს არენას" პრესლოჟაში ჩემს გვერდით იჯდა. ჩვენ ვესწრებოდით ინგლისი-პორტუგალიის მეოთხედფინალს, ხოლო ჟურნალისტი ლუიშ ფელიპე სკოლარის გულისხმობდა. იმაზე, რომ დიდი ბრაზილიელი მწვრთნელი დიდ ამერიკელ მსახიობს ჰგავს, თბილისში ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ვლადაობდით, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველოში საერთაშორისო ფეხბურთი ბევრად პოპულარული და დაღეჭილია.

თუმცა მე ვიზუალურ მსგავსებებზე სულაც არ ვაპირებ წერას. მხოლოდ ის მინდა, მწვრთნელებზე გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები. გერმანიაში სულ ხუთი სპეციალისტი ვნახე მუშაობის პროცესში: "ჯინ ჰეკმანი", სვენ-გორან ერიქსონი, რაიმონ დომენეკი, იურგენ კლინსმანი და მარჩელო ლიპი. მოდი, ამავე თანამიმდევრობით მივყვეთ.

მსოფლიოს ამ ჩემპიონატამდე თბილისში უცნაურად იყო გამეფებული ორაზროვნება - ნაწილი სკოლარის კლასს აღიარებდა, ნაწილი ყველაფერს ფორტუნას უკავშირებდა. არადა, დედამიწის ზურგზე არ დაიარება მწვრთნელი, რომელიც მხოლოდ პროფესიონალიზმის, ან მხოლოდ გამართლების წყალობით აღწევდეს წარმატებას. მით უმეტეს ისეთს, როგორსაც ამ კაცმა მიაღწია.

გერმანიაში სკოლარი ჩავიდა როგორც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, 2002 წლის პლანეტის საუკეთესო მწვრთნელი და ტურნირი დაამთავრა უნიკალური რეკორდით: ზედიზედ 12 წაუგებელი მატჩი, აქედან ზედიზედ 11 გამარჯვება. მსგავსი ტიტულებით გერმანიაში მყოფ მწვრთნელთაგან ვერავინ დაიტრაბახებდა სკოლარის თანამემამულე კარლოს ალბერტო პარეირას გარდა, რომლის სანაკრებო დოსიე უფრო სოლიდურიც კია: მსოფლიო ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, კონფედერაციის თასის მფლობელი, აზიის ორგზის ჩემპიონი, აზიის ვიცე-ჩემპიონი, აფრიკის ჩემპიონი და მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტი 2005 წელს. თუმცა პარეირაზე სხვა დროს და სხვა ტონალობაში მოგვიწევს ლაპარაკი.

"დიდი ფილი" მუშაობის პროცესში რადიკალურად განსხვავდება ყველა კოლეგისგან. მე ის დამჯდარი არ მინახავს. ნებისმიერ ეპიზოდზე ემოციურად რეაგირებს. როდესაც მისი გუნდი შეტევაშია, მცველებს ელაპარაკება და პირიქით, დაცვისას ფორვარდებს აძლევს რჩევებს. სკოლარი გუნდში პირველი კაცია და ეს პრესლოჟიდანაც იგრძნობა. მას ყველა ყურადღებით უსმენს და თითოეული პორტუგალიელი, ფიგუ იქნება ეს თუ მასაჟისტი, აკეთებს იმას, რასაც ბრძანებს ბრაზილიელი. ის გენიალური სუფლიორია. ის მეთორმეტე პორტუგალიელი ფეხბურთელია, ოღონდ თამაშობს ტვინით და არა ფეხით.

ინგლისთან ერთი საინტერესო მომენტი იყო: დამატებითი დროის ბოლო წამებზე რიკარდუს კართან კუთხური დაინიშნა და მთელი პორტუგალიის ნაკრები საკუთარ საჯარიმოში შეიყარა, რამაც სკოლარის აღშფოთება გამოიწვია და პოშტიგა-სიმაოს წყვილს ისე უღრიალა, წინ წადითო, რომ თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ ცენტრისკენ. ინგლისმა კუთხური მოაწოდა, ბურთი მიგელს მიუვიდა და ორ წამში აშენდა კონტრშეტევა, რომელიც ვერ განვითარდა. ისევ კუთხური პორტუგალიის კართან, სკოლარი ისევ ღრიალებს იგივეს, ბურთი ისევ მიგელს ჩაუვარდა და ინგლისმა კინაღამ წააგო. კინაღამ იმიტომ, რომ სკოლარის განკარგულებაში ერთი ნორმალური ფორვარდიც კი არ იყო.

ნორმალურ ფორვარდს ვინ ჩივის, ივანოვის წყალობით პორტუგალია დაქანცული და განახევრებული ეჭიდავა ერთ-ერთ ფავორიტ ინგლისს. და ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში სკოლარიმ ლუიშ ფიგუ შეცვალა! ეს რისკი იყო? სულაც არა - ფიგუ დაიღალა და თან პენალტის დარტყმა ვერ ეხერხება მთლად კარგად. სკოლარისთვის კი სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ვის რა აწერია ზურგზე. იგი ჩინებული მაგალითია, თუ როგორ უნდა შექმნა თერთმეტი კაცისგან ერთი, იდეალურად თანაბარი გუნდი.

სხვათა შორის, სანამ ნახევარფინალის მიწურულს ბარტეზმა "ბალიბულის" ილეთით მოიგერია ჯარიმა და ფიგუმ ერთი მეტრიდან თავით ააცილა, სკოლარი რონალდუსთან მივიდა (ჯარიმა მან დაარტყა) და ხელით ანიშნა, დაბალი გაუშვიო.

და რას აკეთებდნენ იმ დროს, როცა სკოლარი ოფლად იღვრებოდა, სვენ გორან ერიქსონი და რაიმონ დომენეკი? შვედი ერთხელ ვნახე სკამიდან წამომდგარი, ფრანგი უფრო ხშირად იწუხებდა თავს, თუმცა ვერბალურად არც ერთი არ იხარჯებოდა. ერიქსონზე არაერთხელ გამომოითქვამს აზრი და ამ აზრის სისწორეში მსოფლიო ჩემპიონატმა საბოლოოდ დამარწმუნა. ალბათ თქვენც. რაც შეეხება დომენეკს, თავიდან მაგრად გაილანძღა, მერე და მერე კი ლანძღვა ჰარმონიულად გადაიზარდა კეთილგანწყობილ გაოცებაში. თუმცა მე მაინც მგონია, რომ საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონობა უფრო ზიდანი-ვიეირა-ტურამი-ანრი-მაკელელეს გამოცდილებისა და ოსტატობის ნაყოფია, ვიდრე დომენეკის სიბრძნისა. შეიძლება ვცდები. ვნახოთ - თუ ეს კაცი დღეს უკვე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ნაკრების ფეხზე დაყენებას შეძლებს და ევროპის ჩემპიონატზე ათამაშებს, ესე იგი, ვცდები. რაც საქართველოს ნაკრებს და მის გულშემატკივრებს არ გვაწყობს.

სამწვრთნელო საზომებით კლინსმანი ჯერ პატარა ბიჭია, პატარა ნიჭიერი ბიჭი. სასწავლი და გადასატანი კიდევ ბევრი აქვს და აქვს პერსპექტივაც, ვინაიდან გუნდი, რომელიც ნახევარფინალში გაიყვანა, ასევე ნორჩი და მომავლისაა. რაც მთავარია, პატარა კლინსმანი და ნორჩი გერმანიის ნაკრები ულაპარაკოდ უგებენ ერთმანეთს, ისინი ტოლები არიან. ასეთი შეხმატკბილებული გუნდი გერმანიაში არ მინახავს.

მარჩელო ლიპიზე რა უნდა გითხრათ, ყველაფერი თავად ნახეთ. თავის დროზე ვალერი ლობანოვსკის ჰკითხეს, ასე უემოციოდ მთელი თამაში როგორ ძლებთ სკამზე, მითითებებს როგორ არ იძლევითო. რაზეც მან უპასუხა, რომ ბიჭებს თამაშამდე ისე დაწვრილებით უხსნის ყველაფერს, არაფრის დამატება საჭირო აღარაა. ალბათ, ლიპიც ამ პრინციპით მუშაობდა გერმანიაში, რაც მხოლოდ უმაღლესი დონის მწვრთნელებს შეუძლიათ.

სიგარაც ბოლოს გააბოლა, როცა თასი უკვე მისი იყო. და კიდევ უფრო დაემსგავსა პოლ ნიუმენს.

*მომავალ სამშაბათამდე*

# დავით მუჯირი: "მადა ჭამაში მოდის"

მიხეილ აბაიშვილი



რუსეთის ჩემპიონატმა ფეხბურთში, სადაც არაერთი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, ეკვატორის ხაზს მიაღწია. პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი. ჩვენი ფეხბურთელების დიდ ნაწილს აქვს როგორც ჩემპიონობის, ისე საპრიზო ადგილების დაკავების შანსი. დავით მუჯირის "კრილია სოვეტოვი" 23 ქულით ჯერჯერობით მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს მალხაზ ასათიანისა და გიორგი ჭელიძის "ლოკომოტივთან", თუმცა მეორე ადგილზე მყოფ ცსკას სულ ორი ქულით ჩამორჩება, ხოლო სატურნირო ცხრილის პირველ პოზიციაზე მყოფ ნალჩიკის "სპარტაკს", რომლის ერთ-ერთი ლიდერი გოგიტა გოგუაა, 27 ქულა აქვს. მე-14 ტურში "კრილიამ" ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგიას" უმასპინძლა და დაამარცხა - 2:1. ამ მატჩში დავით მუჯირმა შეუცვლელად ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში. "24 საათი" ტელეფონით დაუკავშირდა ქართველ ლეგიონერს.

**- მორიგი გამარჯვება მიითვალეთ, თუმცა საკმაოდ გაგიჭირდათ - პირველი ტაიმის შემდეგ მარცხდებოდით...**

- მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. ეს ნამდვილად არ იყო ჩვენი გუნდის საუკეთესო მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ უპირატესობას ვფლობდით, პირველ ტაიმში გოლი გავუშვით და მდევრის როლში მოგვიხდა ყოფნა. იძულებული გავხდით, დიდი ძალებით შეგვეტია, რაც გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ასეთ დროს არის საშიშროება, რომ კონტრშეტევაზე წამოეგო. ბედად, ანგარიშის გათანაბრება საკმაოდ სწრაფად, 63-ე წუთზე მოვახერხეთ და ზურგის მოშიშვლება არ დაგვჭირვებია. გამარჯვების გოლიც პირველიდან ხუთიოდე წუთში გავიტანეთ.

**- ტრადიციულად, მწვრთნელს არც ამ მატჩში შეუცვლიხარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ნდობას გიცხადებს და კმაყოფილია. შენ რამდენად ხარ კმაყოფილი საკუთარი თამაშით?**

- ვერ ვიტყვი, რომ მატჩი "ჩავაგდე", თუმცა უკეთესად თამაში შემიძლია. გარკვეულწილად, მეტოქემ არ მოგვცა მეტის გაკეთების საშუალება. მით უმეტეს, გატანილი გოლის შემდეგ ვლადივოსტოკელები სრული შემადგენლობით დაცვაში ჩადგნენ, სივრცე შეგვიზღუდეს, რაც ძალზე გვირთულებდა შეტევაში თამაშს. ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიტანეთ. ნებისმიერ სტანდარტს "კრილიაში" მე ვასრულებ. ახლა გოლები ჩემს მიერ ჩაწოდებულ კუთხურებს მოჰყვა და, შეიძლება ითქვას, გუნდის გამარჯვებაში გარკვეული წვლილი მეც შევიტანე. თუმცა, ამ თამაშს ნამდვილად ვერ დავარქმევ ჩემს საუკეთესო მატჩს - დამაკმაყოფილებლად ვითამაშე.

**- სულ ორი ქულით ჩამორჩებით მეორე-მესამე ადგილებზე მოყოფ დედაქალაქურ კლუბებს - ცსკა-ს და "სპარტაკს", ლიდერთან კი ოთხი ქულა გაშორებთ. რა მიზანს ისახავთ მიმდინარე გათამაშებაში?**

- როცა სეზონი იწყებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებთო, მარტო გუნდის ფეხბურთელები კი არა, არც კლუბის ხელმძღვანელობა დაიჯერებდა. არც შემადგენლობით, არც ფინანსური მდგომარეობით არ განვეკუთვნებით რუსეთის პრემიერლიგის მოწინავე კლუბებს. თუმცა, გუნდი ბრწყინვალედ თამაშობს. საშინაო მატჩებში პრაქტიკულად ქულებს არ ვკარგავთ, კარგადაც შევთამაშდით და რატომაც არა - საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ. აგვისტოში ოთხი მნიშვნელოვანი მატჩი გველის. მომდევნო ორ თამაშს სტუმრად ჩავატარებთ ლიდერებთან - ნალჩიკის "სპარტაკთან" და მოსკოვის "ლოკომოტივთან," შემდეგ ცსკა-ს და მოსკოვის "სპარტაკს" ვმასპინძლობთ. იმის მიხედვით, რამდენად წარმატებულად ჩავატარებთ ამ ოთხმატჩიან ციკლს, გამოჩნდება, რეალურად რა პრეტენზიები გვაქვს.

**- აგვისტოში იწყება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლიც. შენ ეროვნული ნაკრების მოთამაშე ხარ. როგორ შეაფასებდი ჩვენი ნაკრების შანსებს მომავალ მატჩებში?**

- ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ჯერ არ შემხმიანებია, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ გამომიძახებენ. რაც შეეხება შანსებს, როგორც პროფესიონალი, მხოლოდ პირველ თამაშზე მოგახსენებთ. დღეს მხოლოდ ფარერებთან მატჩზე ვფიქრობ. ეს გუნდი ჯგუფის აუტსაიდერად ითვლება და მასთან ქულის დაკარგვა არაფრით არ შეიძლება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ. თუმცა, ფარერებზე არაერთ მაღალი კლასის გუნდს გასჭირვებია თამაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენც ძალიან გაგვიჭირდება. მით უმეტეს, რომ მატჩამდე მხოლოდ სამდღიან შეკრებას ვასწრებთ. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები რამდენად კარგად მომზადებულები, რამდენად ოპტიმალურ ფორმაში შეხვდებიან ამ თამაშს. უნდა მოვიგოთ, რომ მომდევნო უმნიშვნელოვანეს შესარჩევ მატჩებს კარგ გუნებაზე და შესაფერისი ფსიქოლოგიური განწყობით შევხვდეთ. ფრანგებზე, უკრაინელებსა და იტალიელებზე ფარერებთან მატჩის შემდეგ ვილაპარაკოთ.

# ისტორიული დემე

გასულ უქმეებზე უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ჩვენებური გიორგი დემეტრაძის დონეცკის "მეტალურგი" ალჩევის "სტალს" დაუპირისპირდა. დონეცკელებმა მეტოქე დემეს ორი გოლით დაამარცხეს. დუბლის ქართველი ავტორი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

"სტალის" კარში გატანილი მეორე გოლი 29 წლის დემესთვის უკრაინული გუნდის თეთრ-ლურჯი მაისურით გატანილი რიგით 35-ე გამოდგა. ამ მაჩვენებლით საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა "მეტალურგის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს სერგეი შიშჩენკოს გაუსწრო. საერთო ჯამში დემეს ანგარიშზე უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 49 ბურთია.

ალჩელებთან მატჩის შემდეგ გიორგი დემეტრაძეს ერთ-ერთი უკრაინული სპორტული ვებ-გვერდის ჟურნალისტი შეხვდა.

**- გიორგი, მეზობლებთან მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა...**

- პირველ რიგში, ეს ამინდის ბრალი იყო. აუტანელ სიცხეში თამაში ყოველთვის ძნელია. ამიტომ თამაში არ მიგვდიოდა. გარდა ამისა, ჩვენი გუნდის ასპარეზობაში შეუთამაშებლობაც იგრძნობოდა - მოგეხსენებათ, "მეტალურგმა" ამ სეზონში ბევრი ახალი ფეხბურთელი დაიმატა.

**- განახლებულ სეზონში ჩატარებული ორი თამაშიდან რომელი უფრო მოგეწონა - "დნეპრთან" გამართული შეხვედრა თუ "სტალთან"?**

- რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, დნეპროპეტროვსკში გაცილებით უკეთესი და ძალისმიერი თამაში ვაჩვენეთ, ვიდრე "სტალთან". მაგრამ ორივე მატჩში მიღწეულმა შედეგმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მთავარია არა ხარისხი, არამედ ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში.



გიორგი დემეტრაძე "მეტალურგის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

**- "დნეპრთან" შეხვედრის უკანასკნელ წუთს თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააფუჭე. ჩანს, იოლად გადალახე მაშინ მიღებული ფსიქოლოგიური შოკი...**

- რა თქმა უნდა, ძალიან განვიცადე, როცა კერნოზენკოს ვერ ვაჯობე. თუმცა, საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელი ვარ იმისთვის, რომ ასეთ მომენტებს ადვილად გავუმკლავდე.

**- "სტალთან" თამაშზე რას იტყვი?**

- მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. ცხადია, პირადი მიღწევაც მახარებს - ორი გოლის წყალობით "მეტალურგის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მთავარი გუნდი გამარჯვებაა.

**- საკუთარი ორი გოლიდან რომელი უფრო მოგეწონა?**

- შესრულების თვალსაზრისით პირველი გოლი უფრო მომეწონა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ბუსაიდის ბრწყინვალე პასი. ამ ბურთის გატანა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. უხეირო არც მეორე გოლი გამოდგა, რომელიც მარიუს მიტუს გადაცემის წყალობით შევაგდე.

**- გუნდის თავკაცი ანხელ ალონსო შესვენებაზე რას გეუბნებოდათ?**

- გვამხნევებდა. გვეუბნებოდა, საკუთარ თავს აჯობეთ და ბურთი უკეთ გააკონტროლეთო. ნახევარმცველებს კი თავდამსხმელების "დაგრუზვა" დაავალა. ჩემი აზრით, ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ერთადერთი, რაზეც გული დამწყდა, მატჩის ბოლო წუთს გაშვებული გოლია.

# რატომ ატირდა მესი?

ცოტა ხანიც და სტარტს აიღებს ესპანეთის ჩემპიონატი. ამ სეზონში ესპანური პრიმერა ალბათ ყველაზე მიმზიდველი იქნება. თუ გასული ორი წლის განმავლობაში "ბარსელონა" ჩემპიონატის უპირობო ფავორიტი იყო, ახლა "რეალიც" გაძლიერდა და კატალონიელებს ჩემპიონობის შესანარჩუნებლად დიდი ჯაფა დაადგებათ.

"ბარსას" არგენტინელი ვარსკვლავი ლიო მესი, მუნდიალზე განცდილი იმედგაცრუების მიუხედავად, მომავალ სეზონს იმედით შესცქერის: "ეს ფანტასტიკური სეზონი იქნება. იმედია ჩვენი გუნდი მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას იოლად გადაჭრის. მერწმუნეთ, გულშემატკივარს გავახარებთ. თანაც, რატომღაც მონია, რომ მომავალი სეზონი ძალიან წარმატებული იქნება პირადად ჩემთვის".

**- მართლა ასე ფიქრობთ?**

- დიახ. გასულმა სეზონმა დიდი გამოცდილება შემმატა. იმედია, ტრავმები არ შემაწუხებს და ფანტასტიკურ სეზონს ვითამაშებ.

**- "ბარსელონასთან" ერთად ალბათ მალე დაივიწყებთ არგენტინის ნაკრების მიერ განცდილ წარუმატებლობას გერმანულ მუნდიალზე.**



ლიო მესი ექვს ტიტულზე ოცნებობს.

- ადამიანს უნდა შეეძლოს მომხდარიდან დასკვნების გამოტანა. რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო გერმანიაში განცდილი მარცხი, პირადად ჩემთვის ეს მაინც კარგი გაკვეთილი გახლდათ. რა თქმა უნდა, წარუმატებლობამ გული დამწყვიტა. ამიტომ მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას, რათა "ბარსელონასთან" ერთად გამარჯვების გემო დავიბრუნო.

**- პირველ რიგში რას ელით მომავალი სეზონისგან?**

- მოვიგო რაც შეიძლება ბევრი ტიტული, ფეხბურთის თამაში კი კვლავ ისეთივე სიამოვნებას მანიჭებდეს, როგორსაც აქამდე მანიჭებდა.

**- შეძლებთ თუ არა გასულ სეზონში მოგებული ჩემპიონთა ლიგისა და ესპანეთის ჩემპიონატის შემდეგ ასეთივე დონეზე თამაშს?**

- რა თქმა უნდა, რადგან გამარჯვების წყურვილი არ განელებულა. ამბობენ, რომ ყველაზე ძნელი ტიტულის შენარჩუნებაა. ასე რომ, ჩვენთვის ეს უკვე ახალი გამოწვევაა. თუ აქამდე ტიტულის მოგებას ვცდილობდით, ახლა მისი შენარჩუნებაა საჭირო, რაც ორმაგად საპასუხისმგებლოა.

**- მომავალ სეზონში რომელ ტიტულებზე გააკეთებთ აქცენტს?**

- ცხადია, მე ექვსი ტიტულის მოგება მსურს. რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ "ბარსელონას" ფეხბურთელები შეუძლებელს შევძლებთ.

**- როგორ შეაფასებთ "ბარსას" ახალ ფეხბურთელებს - გუდიონსენს, ტურამს და ძამბროტას?**

- მე მგონი გაგვიმართლა. ასეთი ფეხბურთელების შეძენას ნებისმიერი გრანდი ისურვებდა.

**- ამბობენ, რომ გერმანია-არგენტინის მატჩის შემდეგ ტიროდით.**

- დედას ველაპარაკებოდი ტელეფონით და მესმოდა, როგორ ტიროდა. ამიტომ ცრემლები ვერც მე შევიკავე.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდინიომ სუსტად ითამაშა...**

- მერე რა. შესაძლოა მუნდიალზე მართლაც ვერ ბრწყინავდა, მაგრამ მაინც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად რჩება. არა მგონია, რომ მას ვინმე შეედაროს.

# ახდენილი ოცნება



რუუდ ვან ნისტელროო მადრიდის "რეალისთვის" "კაპელოს ერის" მესამე შენაძენი გახდა. ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა "მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ ინგლისური კლუბის წითელი მაისურა "რეალის" თეთრ მაისურაში გაცვალა.

პრესასთან შეხვედრისას ესპანეთში ჩასულმა თავდამსხმელმა აღნიშნა, ყველაზე მეტად ის უხარია, რომ კვლავ დევიდ ბექჰემის გვერდით მოუწევს თამაში. მისივე თქმით, მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო და ყოველ მატჩში შეეცდება მოედანი უგოლოდ არ დატოვოს.

**- პირველად როდის მიხვდით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლის დრო დადგა?**

- ინგლისის ლიგის თასის წლევანდელ ფინალში. მაგრამ ახლა არ მინდა იმაზე საუბარი, რატომ მივიღე მაშინ ეს გადაწყვეტილება. მას მერე არჩევანი "რეალზე" შევაჩერე და არც ერთი სხვა კლუბის სახელის გაგონება არ მინდოდა.

**- "რეალთან" ერთად ალბათ ახალი ტიტულების მოგებასაც გეგმავთ...**

- ტიტულებისა და დიდი გამარჯვებებისთვის მატჩიდან მატჩამდე უნდა იბრძოლო. ამიტომ ახლა ვერ ვიტყვი, რომ "სამეფო გუნდთან" ერთად, რომელიც პლანეტის უძლიერესი კლუბია, იმაზე მეტ გამარჯვებას მივაღწევ, ვიდრე "მანჩესტერში" მივაღწიე. ტიტულებს მხოლოდ კარგი თამაშით იგებ და არა უაზრო ლაპარაკით.

**- არ გინდათ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებს ესპანეთიდან აუხსნათ, რატომ წამოვეხდით ინგლისიდან?..**

- მთავარი მიზეზი ჩემსა და გუნდის თავკაცს შორის ბოლო ხანს დაძაბული ურთიერთობა გახდა. ეს ორმაგად გულდასაწყვეტი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ოლდ ტრეფორდზე" არაერთი წელი მაქვს გატარებული. კლუბიდან წამოსვლის გადაწყვეტილება არც ფანებისა და არც თანაგუნდელების გამო არ მიმიღია. ერთადერთი დამნაშავე ალექს ფერგიუსონია. ცხოვრების ბოლომდე ინგლისელი ქომაგის მადლიერი ვიქნები, რადგან, მოგებისა და წაგების მიუხედავად, ყოველთვის მამხნევებდნენ.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ უყვართ დღემდე ალექს ფერგიუსონი ინგლისში?**

- არ ვიცი. როგორც გითხარით, მასთან ადრე კარგი ურთიერთობა მქონდა და ყოველთვის გვერდში მედგა. ძალიან მიკვირს, რომ ერთმანეთს ვეღარ ვუგებდით.

**- წამოსვლის წინ თუ დაემშვიდობეთ ყოფილ მწვრთნელს?**

- სანამ "რეალში" ჩემი გადმოსვლის ამბავი საბოლოოდ გადაწყდებოდა, "მანჩესტერთან" ერთად ჩვეულებრივად ვივარჯიშე. ვარჯიშის შემდეგ კი გაირკვა, რომ უკვე "სამეფო გუნდის" ფეხბურთელი ვიყავი. ამიტომ მაშინვე სახლში წავედი და ფერგიუსონის ნახვა ვეღარ მოვასწარი. თუმცა, მასთან გამომშვიდობებას მომავალშიც მოვახერხებ.

**- "რეალში" გადმოსვლამდე მიუნხენის "ბაიერნთან" გაკავშირებდნენ...**

- სიმართლე გითხრათ, ყველა მოლაპარაკებაში, რომელიც მე მეხება, მონაწილეობას ვიღებ, მაგრამ ამ საკითხებით ძირითადად ჩემი აგენტია დაკავებული. ასე რომ, რა და როგორ მოხდა "ბაიერნთან" დაკავშირებით, ზუსტად არც კი ვიცი. მე ის ვიცი, რომ ახლა "რეალის" ფეხბურთელი ვარ. მიხარია, რომ ოცნება რეალობად მექცა.

**- რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავაც დევიდ ბექჰემის გვერდით ითამაშებთ. უკვე შეხვდით დევიდს?**

- დევიდთან ერთად მოედანზე ორი დაუვიწყარი წელი გავატარე. ბექჰემის ესპანეთში გადმოსვლის შემდეგაც ხშირად ვეხმიანებოდით ერთმანეთს. ის შესანიშნავი პიროვნება და დიდებული ფეხბურთელია. მომენატრა მის გვერდით თამაში და ბედნიერი ვარ, რომ ამის შესაძლებლობა ისევ მომეცა.

**- რონალდოსთან დაწყვილება ხომ არ გაგიჭირდებათ?**

- არა მგონია. რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მასთან ერთად თამაში სასიამოვნოა. ჩვენი დაწყვილება კი მწვრთნელის პრეროგატივაა და არა ჩემი ან რონალდოსი.

**- რამდენი გოლის გატანას აპირებთ ამ სეზონში?**

- ნებისმიერი თავდამსხმელისთვის გოლის გატანაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. მეც ყველაზე მეტად ეს მინდა. თუმცა, კონკრეტული ციფრი არ დამისახავს მიზნად. უბრალოდ, მინდა, რომ მეტოქეთა კარი ყოველ მატჩში ავიღო.

**- თქვენი საფეხბურთო კერპი ვინ არის?**

- 1988 წელს, როცა ჰოლანდიის ნაკრებმა ევროპის თასი მოიგო, გუნდის ლიდერი მარკო ვან ბასტენი იყო. მაშინ 12 წლის ვიყავი და მისი თამაში დღემდე დაუვიწყარია ჩემთვის.

**- თუმცა, ბოლო დროს მარკო ვან ბასტენთანაც დაგეძაბათ ურთიერთობა...**

- მინდა სახალხოდ ვთქვა, რომ ჩვენს შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. ჰოლანდიის ნაკრებს ვან ბასტენი ედგა სათავეში და მისი გადაწყვეტილებები ყველასთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის წინ შევხვდით ერთმანეთს და ამიხსნა, რატომ მტოვებდა მუნდიალს მიღმა. ეს იყო და ეს.

**- "რეალის" 9 და 10-ნომრიანი მაისურები რონალდოსა და რობინიოს კუთვნილებაა. თქვენ რა ნომერს აირჩევთ?**

- ჩემთვის ნომერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ "სამეფო გუნდის" თეთრ მაისურას მოვირგებ. ასე რომ, ნებისმიერ ნომერზე თანახმა ვარ.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა "სანტიაგო ბერნაბეუზე" დადგით ფეხი?**

- "სანტიაგო ბერნაბეუზე" ყოფნა დიდ პატივთან ერთად, დიდი სიამოვნებაა. საერთოდ, კვირა დღე ჩემთვის ძალიან ემოციური იყო. დავიძინე მანჩესტერში და გავიღვიძე მადრიდში. ძალიან ვნერვიულობდი, როცა გუნდის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ესპანური მედიის წინაშე წარმადგინა.

**- ესპანური თუ იცით?**

- ძალიან ცუდად. მინდა, რაც შეიძლება მალე დავეუფლო ესპანურს. ვეცდები ბეჯითად ვიმეცადინო.

# შუმახერის 89 გამარჯვება




*შუმის მორიგი ტრიუმფი.*

კვირას მიხაელ შუმახერმა მშობლიურ ტრასაზე კარიერაში 89-ე რბოლა მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ წლევანდელ ჩემპიონატში ვითარება საოცრად დაიძაბა. გერმანელი სუპერ-პილოტი სულ რაღაც 11 ქულით ჩამორჩება ფერნანდო ალონსოს და ყველაფერს უკანასკნელი რბოლები გადაწყვეტს.

"ეს იყო ზღაპრული რბოლა, - თქვა გამარჯვების შემდეგ შუმახერმა, - სიტყვებს ვერ ვპოულობ იმისთვის, რომ აღვწერო რაოდენ კარგად იმუშავა მთელმა გუნდმა. გასულ კვირას ბევრი ვიმუშავეთ ტესტებზე. ბედნიერი ვარ, რომ შრომა დაგვიფასდა. მთელი კვირის განმავლობაში ერთი პრობლემაც კი არ ყოფილა. საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მოპოვებული გამარჯვება ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია."

**- ამ გამარჯვების წყალობით თქვენ საგრძნობლად შეამცირეთ ალონსოსთან არსებული ჩამორჩენა?**

- ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა როგორც პილოტების ჩემპიონატში, ისე კონსტრუქტორთა პაექრობაში. წინ კიდევ ექვსი ეტაპია. ახლა თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ტიტულისთვის ვიბრძოლებთ. თავს კარგად ვგრძნობ და მინდა, რომ წარმატება შემდეგ გრან-პრიზეც გავიმეორო.

**- მეორე ადგილზე გერმანიაში თქვენი თანაგუნდელი ფელიპე მასა გავიდა. ამის შესახებ რა იტყვით?**

- მინდა მივულოცო მას. ფელიპემ ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა. საჭირო იყო ჩვენი მეტოქეებისთვის მაქსიმალურად ბევრი მოგვეგო და ფელიპემ ამისთვის ყველაფერი გააკეთა.

**- ნუთუ მთელი რბოლის განმავლობაში ერთი პრობლემაც არ გქონიათ?**

- არა და ეს ძალიან მახარებს. ცხადია, პატარ-პატარა პრობლემები იყო, მაგრამ ისინი რბოლაზე ვერ იმოქმედებდნენ.

**- ამბობენ, რომ სეზონის ბოლოს სპორტიდან წასვლას აპირებთ.**

- არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: რბოლას მხოლოდ ჩემპიონის რანგში დავტოვებ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ წლეულს ტიტულის მოგება შევძელი, შესაძლოა კარიერა დავასრულო. წინააღმდეგ შემთხვევაში წასვლა გამორიცხულია.

**- კონტრაქტს "ფერარისთან" გააგრძელებთ?**

- ამ საკითხზე ჯერ არ გვისაუბრია.

**- თუ ასევე გაგრძელდა, ჩემპიონობის რეალური შანსი გაქვთ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახლა "წითელ საჯინიბოში" ყველაფერი იდეალურადაა?**

- უკვე გითხარით, რომ გასული კვირა მართლაც ფანტასტიკური გამოდგა. გუნდმა მშვენივრად იმუშავა. რაც შეეხება იდეალურობას... ცხოვრებაში იდეალური არაფერია. ცხადია, მცირე ხარვეზები არსებობს, თუმცა მათი გამოსწორება შესაძლებელია.

# რონალდუ & რუნი - შეხვედრა მანჩესტერში



*ბევრი ფიქრის შემდეგ რონალდუ "მანჩესტერს" დაუბრუნდა.*

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სრულიად ინგლისი იმის მოლოდინში გარინდებულიყო, როდის შეხვდებოდნენ ერთმანეთს მანჩესტერელი თანაგუნდელები უეინ რუნი და პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ.

ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ერთხელაც ვიტყვით, რომ მუნდიალზე ინგლისი-პორტუგალიის მეოთხედფინალური დაპირისპირებისას უეინ რუნიმ პორტუგალიელ რიკარდუ კარვალიუს ფეხებში უთავაზა. პორტუგალიელის თანამემამულე და რუნის თანაგუნდელი კრიშტიანუ რონალდუ კი მაშინვე მსაჯთან მიიჭრა და ინგლისელისთვის წითელი ბარათის ჩვენება მოსთხოვა. თანგუნდელები ძველბიჭურად მოედანზევე გაეჭიმნენ ერთმანეთს, თუმცა მალე დაშოშმინდნენ. საქმეში მსაჯები ჩაერივნენ და რონალდუს მოთხოვნა დააკმაყოფილეს - უეინ რუნის გასახდელისკენ მიუთითეს. გაძევებული ინგლისელი მატჩის შემდეგ მკერდზე მჯიღის ცემით იქანდებოდა: ჩამოვა რონალდუ ინგლისში და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამო.

ინგლისელი ფანობა კი დაჟინებით მოითხოვდა "მანჩესტერის" ხელმძღვანელობისგან პორტუგალიელი ფეხბურთელის გასხვისებას - სადაც უნდა იქ წავიდეს, ინგლისში აღარ ჩამოვუშვებთო.

ალბიონზე დაბრუნებისთვის არც მაინცდამაინც რონალდუ იკლავდა თავს. მას ხან "რეალს" უკავშირებდნენ, ხან - "ჩელსის".

თუმცა, გუშინ პორტუგალიელი ნახევარმცველი ნისლიან ალბიონზე ჩავიდა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა ბევრს ეცადა, მაგრამ კლუბის ორი ლიდერის ოფიციალური შერიგება ვერ მოახერხა.

რუნიც და რონალდუც გუნდის ვარჯიშზე ტრადიციისამებრ გამოცხადდნენ, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთისთვის არც კაი გამარჯობა უთქვამთ და არც შერიგების ნიშნად ჩამოურთმევიათ მეგობრულად ხელი.

"საერთოდ არ მახსოვს, რატომ მიჩვენა მაშინ წითელი ბარათი ელისონდომ. არც ის მახსოვს, რას ეუბნებოდა მას კრიშტიანუ. ასე რომ, რონალდუს მშვიდად შეუძლია კლუბში დაბრუნება", - ამბობდა ცოტა ხნის უეინ რუნი და ამტკიცებდა, რომ თანაგუნდელისთვის თითის დაკარებასაც არ აპირებდა.

რუნისგან არა, მაგრამ პორტუგალიელ ფეხბურთელს ინგლისელი სამართალდამცავები ადგილობრივი გულშემატკივრებისგან იცავენ - ამ მიზნით რონალდუს სახლთან გაძლიერებული დაცვა მორიგეობს.

სხვა ორიგინალური იდეა გაუჩნდათ თოჯინების ბრიტანელ მწარმოებლებს. ინგლისში ფეხბურთელთა შესატყვისი სათამაშოები კარგა ხანია გამოდის. ამ სათამაშოებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ შავკანიანი აფრიკელი შამანები.

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის თოჯინას რამდენიმე ისეთი თვისება აქვს, რომელიც აშკარად მიუთითებს ფეხბურთელის სათამაშო ნაკლზე. თოჯინის ფეხებში ჩამაგრებული ზამბარების მეშვეობით რონალდუ-თოჯინა შენელებულად მოძრაობს, რისი წყალობითაც მცველები მის შეტევებს ადვილად იგერიებენ.

გარდა ამისა, მასში დამონტაჟებული ზამბარები მსაჯის სასტვენის შემდეგ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. შემქმნელთა აზრით, კარგი იქნებოდა, თუ თოჯინას "რონალდუ სიმულანტას" დაარქმევდნენ.

## ტერი ინგლისელებს უკაპიტნებს

ლონდონის "ჩელსის" კაპიტანმა ჯონ ტერიმ ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნობა სრუს. ტერი "ლივერპულის" ნახევარმცველ სტივენ ჯერარდთან ერთად კაპიტნობის უმთავრესი კანდიდატია.

"იმედია სტივ მაკლარენი გაითვალისწინებს ჩემს გამოცდილებას და კაპიტნის პოსტზე ჩემს კანდიდატურას სერიოზულად განიხილავს. მას შემდეგ, რაც "ჩელსის" კაპიტანი გავხდი, ჩემი თამაში საგრძნობლად გამოსწორდა", - აცხადებს არისტოკრატთა კაპიტანი.

## ბოლივიის პრეზიდენტს ცხვირი გაუტეხეს

ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ფეხბურთის თამაშისას ცხვირი გაიტეხა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მეტოქე გუნდის მეკარემ ქვეყნის პრეზიდენტს ბურთი ცხვირში გაარტყა. მორალესს სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია. ამ ტრავმის გამო ბოლივიის პრეზიდენტს მეტად საინტერესო საფეხბურთო მატჩის გამოტოვება მოუწევს, რომელშიც ბოლივიის მთავრობის ნაკრები ქვეყნის სპატიო სტუმრების ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდში ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა და ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ითამაშებენ.

## რონი თავს იმართლებს

ბრაზილიის ნაკრებისა და "ბარსელონას" სუპერვარსკვლავმა რონალდინიომ პირწმინდად ჩააგდო მსოფლიო ჩემპიონატი. ზოგმა ეს გადაღლილობას დააბრალა, ზოგმა - სათამაშო პოზიციის შეცვლას. ფეხბურთელის მეგობარმა გოგონამ ალექსანდრა პარესანმა კი საზოგადოებას ორიოდე კვირის წინ ამცნო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას რონალდინიო ყოველ ღამეს მასთან ატარებდა და ველური სექსის შემდეგ ფეხბურთისთვის ენერგია აღარ რჩებოდა.

"ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი საშინლად მოიქცა. მან ფეხბურთელებს მკაცრი დისციპლინა დაუწესა და სასტუმროდან არ უშვებდა, მაგრამ ჩემი რონი მაინც ახერხებდა გამოპარვას. ყოველ საღამოს ჩემთან მოდიოდა, სასტუმროში, და მთელი ღამის განმავლობაში სექსი გვქონდა", - თქვა პარესანმა.

ცხადია, ფრანგი ლამაზმანის ამ სიტყვებს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. იმის გამო, რომ რონალდინიო მუნდიალზე მართლაც საკუთარ აჩრდილს ჰგავდა, გოგონას სიტყვებში ეჭვის შეტანა ძალიან ძნელი იყო.

რონალდინიო კარგა ხანს დუმდა, თუმცა ბოლოს ვეღარ მოითმინა და საყვარელს ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივის.

"ალექსანდრა ჭორებს ავრცელებს და ჩემი რეპუტაციის შებღალვას ცდილობს. მისი სიტყვების თანახმად, გერმანიაში ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, მასთან ლოგინში საგორაოდ ვიყავი ჩასული. თითქოს თამაშამდე და თამაშის შემდეგაც მასთან სექსი მქონდა. კიდევ კარგი, ის მაინც არ თქვა, რომ თამაშის დროსაც ამ საქმით ვიყავი დაკავებული. მინდა ამ ჭორებს ბოლო მოვუღო. სამართალს სასამართლოში ვიპოვი. დავიქირავე ადვოკატები და ქალბატონ პარესანს სასამართლოს ძალით ვათქმევინებ სიმართლეს", - ამბობს რონალდინიო.

## ფეხბურთი და კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი ფეხბურთსაც მისწვდა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ისრაელში ჩასვლაზე უარს ამბობს "ლივერპული" და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის ნეიტრალურ სტადიონზე გამართვას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ მერსისაიდული კლუბის მეტოქე ხაიფას "მაქაბია". ასეთივე თხოვნით მიმართავს ფიფას მოსკოვის "დინამოც", რომელიც უეფას თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში "ბეითარს" უნდა დაუპირისპირდეს.

თუმცა კონფლიტი მხოლოდ ამ თვალსაზრისით როდი შეეხო ფეხბურთს. ამას წინათ ამსტერდამის "აიაქსისა" და თელ-ავივის "მაქაბის" მატჩზე პალესტინელი ფანები მივიდნენ, რომლებსაც "ჰამაზის" დროშები ეჭირათ ხელში. ეს ვერ მოითმინეს "მაქაბის" გულშემატკივრებმა და არაბებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ჩხუბში "აიაქსის" ფანებიც ჩაერთნენ. შეგახსენებთ, რომ ამსტერდამული გრანდი ფაქტობრივად ებრაული კლუბია - "აიაქსის" მფლობელები ებრაელები არიან.

## "მანჩესტერმა" კარიკი იყიდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" და "ტოტენჰემი" შეთანხმდნენ მაიკლ კარიკის ტრანსფერის თაობაზე. მანკუნიანელები ლონდონელთა საყრდენ ნახევარმცველში 18.6 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან. სერ ალექს ფერგიუსონის აზრით, კარიკმა გუნდში როი კინი უნდა შეცვალოს. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ საუბარი კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერზე ნაადრევია. პორტუგალიელი ფეხბურთელი ჩავიდა მანჩესტერიში და უახლოეს ხანში გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს.

## კაკა ყველაფერს უარყოფს

"არასდროს მიფიქრია "მილანის" დატოვება. ის, რაც გაზეთებში ჩემი ტრანსფერის თაობაზე იბეჭდება, უბრალოდ, მონაჭორია. არ ვიცი, რამდენად დიდია "რეალის" ინტერესი, მაგრამ მე მადრიდულ კლუბში გადასვლას არ ვაპირებ", - განაცხადა კაკამ.

ფეხბურთელი ცდილობს ბოლო მოუღოს გავრცელებულ ჭორებს მისი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ კაკას გამო "მილანმა" "რეალს" ომიც კი გამოუცხადა.

## "ბარსელონა" სავიოლას დასაქმებას ცდილობს

"ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა ერთ-ერთი ესპანური რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხავიერ სავიოლას "სანტანდერის" "რასინგში" გაუშვებენ იჯარით. არგენტინელმა ფეხბურთელმა გასული სეზონი ასევე იჯარით გაატარა, ოღონდ "სევილიაში" ახლა "ბარსელონამ" ანალოგიური პირობები სანტანდერელებს შესთავაზა. მომავალის სეზონის შემდეგ სავიოლა თავისუფალი აგენტი გახდება და უკვე თავად შეძლებს საკუთარი ბედის განკარგვას. ახლა კი არგენტინელი ფორვარდის შეძენა გერმანულ "ჰამბურგსაც" სურს.

## ბექჰემი იმედიანადაა

ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი იმედოვნებს, რომ დროზე მოიშუშებს ტრავმას და "რეალთან" ერთად ამერიკულ ტურნეში გაემგზავრება.

"იმედია, სანამ გუნდი ამერიკაში გაემგზავრება, ტრავმას მოვიშუშებ და ამ ტურნეს არ გამოვაკლდები", - აცხდებს დევიდი.

## რიბერიმ ვარჯიში დაიწყო

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ფრენკ რიბერიმ გუშინ "მარსელის" შემადგენლობაში დაიწყო ვარჯიში. ფეხბურთელი კარგა ხანს ამბობდა, რომ "მარსელს" დატოვებს. მან გუნდის რამდენიმე ვარჯიშიც კი გამოტოვა, თუმცა, როგორც ჩანს, რიბერიმ კლუბის შეცვლის იმედი დაკარგა და სეზონისთვის "მარსელთან" ერთად ემზადება.

## რობი უილიამსი "ბაიერნში" ითამაშებს

არ გეგონოთ, რომ ცნობილმა პოპვარსკვლამა რობი უილიამსმა სიმღერაზე უარი თქვა და ფეხბურთის თამაშს აპირებს. უბრალოდ, მომღერალი ახლა გასტროლებს მართავს მიუნხენში და "ბაიერნის" ხელმძღვანელებისგან საინტერესო შეთავაზება მიიღო. ული ჰიონესის თქმით, მან შესთავაზა უილიამსს "ბაიერნთან" ერთად ვარჯიში, რასაც პოპ ვარსკვლავი დიდი სიამოვნებით დათანხმდა. რობი უილიამსი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და თავისუფალ დროს თვითონაც ხშირად თამაშობს.

## სიმაოს ტრანსფერი ჩაიშალა

არ შედგა პორტუგალიელი სიმაოს ტრანსფერი ესპანურ "ვალენსიაში". მართალია, "ბენფიკა" და "ვალენსია" ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე იოლად შეთანხმდნენ, მაგრამ ესპანური კლუბი და ფეხბურთელი პირადი კონტრაქტის პირობებზე ვეღარ მორიგდნენ.

"ჩვენ არ ვაპირებთ ფეხბურთელის ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მისთვის უმჯობესი იქნება, თუ "ბენფიკაში" დარჩება. საუბარი ფულზე არაა. ფეხბურთელი გარკვეულ გარანტიებს ითხოვს და სურს, რომ მწვრთნელმა მინდორზე სრული თავისუფლება მისცეს. ეს კი ჩვენთვის დაუშვებელია", - აცხადებს "ვალენსიას" წარმომადგენელი.

## "უემბლის" გახსნა კიდევ გადაიდო

"უემბლის" სტადიონის მშენებლებმა განაცხადეს, რომ დათქმულ დროს ვერ დაასრულებენ სამუშაოებს. აქამდე ცნობილი იყო, რომ ახალი "უემბლი" სექტემბერში უნდა გახსნილიყო, ახლა კი ვადამ გადაიწია.

"ჯერჯერობით ვერ გეტყვით როდის დავასრულებთ სამუშაოებს. აუცილებელია გარკვეული ტესტების ჩატარება და მხოლოდ შემდეგ მოგცემთ პასუხს. სავარაუდოდ, მშენებლობა წლის ბოლოს დასრულდება", - აცხადებს ახალი სტადიონის აღმასრულებელი დირექტორი მაიკლ კანაჰი.

## განაწყენებული მერკი

ცნობილი არბიტრი მარკუს მერკი გამოტოვებს გერმანიის ჩემპიონატის დასაწყისს. როგორც ირკვევა, მერკი განაწყენებულია. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მას მუნდიალის პლეი-ოფების არც ერთი მატჩის მსაჯობა არ ანდეს. ამის გამო არბიტრი შესვენებას აპირებს და ალბათ მხოლოდ სეზონის მეორე ნახევარში დაუბრუნდება საქმიანობას.

## უიღბლო ვალერონი

ხუან კარლოს ვალერონი საოცრად უიღბლო ფეხბურთელია. გასული სეზონის მეორე ნახევარში მან სერიოზული ტრავმა მიიღო და ამის გამო მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა. სულ ცოტა ხნის წინ ვალერონმა ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში დაიწყო, მაგრამ "დეპორის" პირველივე საკონტროლო მატჩში მორიგი ტრავმა მიიღო და ახლა კიდევ ოთხი თვე დაისვენებს.

## იტალიამ ჩემპიონატის სტარტი გადადო

იტალიაში ატეხილი საფეხბურთო სკანდალის გამო სერია A-ს და სერია B-ს გათამაშება დაგვიანებით დაიწყება. წესით, იტალიის ჩემპიონატი 27 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გადაწყდა, რომ ტურნირი 10 სექტემბერს აიღებს სტარტს.

შესაძლოა ფეხბურთელებისთვის ეს სასიამოვნო ინფორმაციაც იყოს - მათ დასვენების საშუალება ექნებათ - მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იტალიის ნაკრებს უკვე 2 სექტემბერს ექნება გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი და ჩემპიონატის გადადების ფაქტი მსოფლიო ჩემპიონებზე კარგად ნამდვილად ვერ იმოქმედებს.

## ზიდანს დახმარებისთვის მიმართეს

ზინედინ ზიდანს შეუძლია ჩილეს უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე კლუბ "უნივერსითი ოფ ჩილეს" გადარჩენა. ამ კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. გუნდის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს ფრანგ ვარსკვლავს, რომ მან "უნივერსითი ოფ ჩილეს" შემადგენლობაში რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართოს. კლუბის მესვეურთა აზრით, თუ ზიდანი ამ წინადადებას დათანხმდა, გუნდი, სულ ცოტა, 10 მილიონ დოლარ შემოსავალს ნახავს.

## ბუმსონგი "იუვენტუსში" გადადის

მას შემდეგ, რაც ტურინის "იუვენტუსმა" წამყვანი მცველები გაყიდა, გუნდს დაცვის ხაზის გაძლიერება სჭირდება. ამ მიზნით ტურინული კლუბი ყიდულობს ფრანგ მცველს ჟან-ალან ბუმსონგს, რომელმაც გასული სეზონი "ნიუკასლში" გაატარა.

ბუმსონგი უკვე დათანხმდა ტურინულ კლუბში თამაშზე. სავარაუდოდ, ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაფორმდება.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ტურინულმა კლუბმა უკვე შეიძინა "მონაკოდან" გაელ ჟივე. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე "იუვენტუსის" ახლანდელი მწვრთნელი დიდიე დეშამი "მონაკოს" ავარჯიშებდა. ჟივეც სწორედ დეშამის მიწვევით გადავიდა ტურინულ კლუბში.

## სუასო "კალიარიში" რჩება

დავიდ სუასო 2010 წლამდე აპირებს კონტრაქტის გაგრძელებას "კალიარისთან". მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ კლუბი და ფეხბურთელი უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ სუასომ ამ კონტრაქტის გამო რამდენიმე საინტერესო შეთავაზებაზე თქვა უარი.

## "ატალანტას" ამბიციური გეგმები

სერია A-ში დაბრუნებულ ბერგამოს "ატალანტას" ამბიციური მიზნები ამოძრავებს. კლუბის გენერალური დირექტორის განცხადებით, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გუნდი აუცილებლად შეიძენს ვარსკვლავს.

"ახლა ფეხბურთელებს ვეძებთ. ერთი ხმაურიანი ტრანსფერი აუცილებლად გვექნება. მოლაპარაკებას ვმართავთ პიპო ინძაგისა და ალავრო რეკობასთან. ამ ორიდან ერთ-ერთს აუცილებლად ვიყიდით", - აცხადებს ბერგამოელთა გენერალური დირექტორი კარლო ოსტი.

## შეთქმულების თეორია

არ ცხრება ვნებანი ჩრდილოეთ კორეის ქალ ფეხბურთელთა ნაკრების გარშემო. გასულ კვირაში აზიის თასის გათამაშებაში მონაწილე ჩრდილოეთკორეელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. მცირე ფინალი კორეელებმა სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გამართეს. საქმე ისაა, რომ ნახევარფინალურ მატჩში ჩრდილოეთკორეელები ჩინელებთან დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში იტალიელმა არბიტრმა კორეელებს არაერთი ყვითელი ბარათი უჩვენა, ერთი ფეხბურთელი კი მინდვრიდან გააძევა, რადგან კორეელი გოგონა მსაჯს მიეპარა და ზურგში ჩაარტყა.

ტურნირის ორგანიზატორები და ფიფას წარმომადგენლები მსაჯის მოქმედებას დადებითად აფასებენ, ჩრდილოეთკორეელები კი შეთქმულების თეორიაზე ალაპარაკდნენ და ყველაფერს პოლიტიკურ დაკვეთას აბრალებენ.

"ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ იტალიელი არბიტრი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდა და ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ფინალს მიღმა დატოვა", - ნათქვამია კორეული გუნდის ოფიციალურ განცხადებაში.

## ჰიდინკის არჩევანი

რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მან უკვე შეარჩია ის 25 ფეხბურთელი, რომლებსაც უახლოესი მატჩისთვის გამოიძახებს ნაკრებში. ჯერჯერობით ჰიდინკს ამ ფეხბურთელების ვინაობა არ დაუსახელებია. ჰოლანდიელი სპეციალისტი რუსეთის ჩემპიონატის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მატჩს დაესწრო. ნაკრების საბოლოო შემადგენლობას გუუს ჰიდინკი 7 აგვისტოს დაასახელებს.

# K2-ის ხუთი რუსი, ერთი ქართველი და ერთიც ირლანდიელი

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით 6700 მეტრზე მეორე სასიმაღლო ბანაკი გავშალეთ. მზის სხივებზე მთის ფერდობებზე თოვლი სწრაფად დნება. თოვლის დნობის შედეგად ფერდობიდან ცხენის თავის ზომის დაახლოებით 20-კილოგრამიანმა ბანდიტურმა ტყვიამ პირველ ბანაკში კარავი გაგვიხვრიტა. თანაც, ისე, რომ მის აღდგენას აზრი არ ჰქონდა. კიდევ კარგი, ორი სათადარიგო კარავი გვაქვს თან. ერთი სიტყვით, პირველი ბანაკი ბევრად უსაფრთხო ადგილზე გადავიტანეთ.

აქვე "იამაჰას" გენერატორი გაგვიფუჭდა. ჩვენც ბევრი არ გვიფიქრია და მეზობელი ბანაკიდან იაპონელს ვუხმეთ. იაპონელმა გენერატორი შეგვიკეთა.

დასასვენებლად ორი დღე გვაქვს. პროგნოზის მიხედვით ხვალისთვის ამინდი უნდა აირიოს - ქარი ამოვარდეს, მოთოვოს.

### 12 ივლისი:

3800 მეტრზე შევჩერდით. ადრე აქ არასდროს გაგვიშლია კარავი. მხოლოდ წასახემსებლად თუ შევჩერდებოდით. ახლა, როგორც მეგზურმა გვითხრა, შეჩერება სჯობს. მნიშვნელობა არა აქვს, 15 ივლისამდე საბაზო ბანაკამდე მაინც ვერ ავალთ.

დღეს გია თორთლაძის დაბადების დღეა. ასე რომ, სადღესასწაულო განწყობა გვაქვს.

### 14 ივლისი:

საბაზო ბანაკში გადაუღებლად თოვს. ძლიერი ქარია. სხვა ექსპედიციათა წევრები გამოდარებას ქვევით ელიან. მეტეოროლოგთა ცნობით, 6500 მეტრზე ქარის სიჩქარე საათში 150 კმ-ს აღწევს.

პირველმა ოთხეულმა: კუზნეცოვმა, უტეშოვმა, ნაუმენკომ და კულბაჩენკომ ორი დღე იყურყუტეს ზედა ბანაკში. მეორე ბანაკიდან მათთან იტალიელთა კარავი ჩამოფრინდა. ქარმა მოგლიჯა. ოთხეული საბაზო ბანაკში დღეს დაბრუნდა. უკან აიღეს გეზი კანადელებმაც. ბროუდ პიკიდან მობრუნებულმა ექსპედიციებმაც ჩვენთან მოიყარეს თავი, რომელთა ნახევარიც ავადაა. პროგნოზის მიხედვით ავდარი კიდევ ხუთ დღეს გასტანს. როგორც კი გამოიდარებს, მაღლა დავაწვებით - მესამე ბანაკი გვაქვს გასაშლელი.



წლეულს K2 ჭერჭერობით მხოლოდ იტალიელთა ოჯახურმა წყვილმა დალაშქრა.

### 25 ივლისი:

ხანგრძლივი უამინდობის მერე, როგორც იქნა, ზევით დავიძარით. პირველმა ჯგუფმა ქარიშხალში მეორე ბანაკამდე ააღწია და საშინელი სურათიც გადაეშალათ. ორი კარავი დაგლეჯილი დახვდათ, ხოლო დუგები - გადატეხილი. და მაინც, მადლობლები ვართ, რომ ქარმა ფერდობებზე არ მიმოფანტა ჩვენი საძილე ტომრები. ყველაფერი მიყრილმოყრილია. ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, სხვა ექსპედიციის კარვები უგზოუკვლოდ გაქრა. მას შემდეგ, რაც გადარჩენილი კარვები და ნივთები დავამაგრეთ, უკან დავიხიეთ.

20 ივლისის ღამე პირველ ბანაკში გავატარეთ. მომდევნო დღეს პირველი ჯგუფი საბაზო ბანაკში დაეშვა, მეორე კი გამოდარებას დაელოდა. 21 ივლისს ქარიც მინელდა. 22-ში კი 7350 მეტრზე მესამე ბანაკი გავშალეთ და მომდევნო დღეს საბაზოში დავბრუნდით.

23 ივლისს პირველი ჯგუფი პირველი ბანაკისკენ გაემართა - დღეს (25 ივლისი) მეორე.

### 27 ივლისი:

საბაზო ბანაკში დავეშვით, რასაც ჩვენთვის სიამოვნება არ მოუტანია. ქვათა ცვენამ დაგვტანჯა. საბაზო ბანაკში ორი იტალიელი დაგხვდა - თავისიანებს ელოდნენ. ოთხი საათის შემდეგ ისინიც გამოჩნდნენ. როგორც გაირკვა, გუშინ 13:00 საათზე მწვევრვალიც დაულაშქრავთ. როგორც ვიცით, ახლა იქ, მაღლა, არავინაა. აქ მყოფმა ექსპედიციებმა გადაწყვიტეს, შინ წასვლა არ იჩქარონ და მწვერვალზე ხელახლა ასვლა სცადონ.

### 28 ივლისი:

დღეს დასვენების დღე გვაქვს. 4-5 დღე უნდა დავისვენოთ. ზევითქვევით სიარულმა არაქათი გამოგვაცალა. ახლა თითოეულ ჩვენგანს ერთი კითხვა გვიტრიალებს - როგორი ამინდი იქნება. ქვევით თბილა, ზევით კი მოღრუბლულია და ქარი ქრის.

# უმედგრესი დაცვით

სამხრეთული რაგბის პირველი სამწრიანი სამი ერის მეოთხე რაუნდში ფავორიტმა და ლიდერმა ზელანდიამ მდევარი ავსტრალია უმედგრესი დაცვით სტუმრად ძლია, სამეზობლო ბლედისლოუს თასი მეოთხე წლითაც შეინარჩუნა და თუმცა ტურნირის ბოლომდე კიდევ ხუთი მატჩია გასამართი, ოლ ბლექსი უკვე იმდენად დაწინაურდა, ძნელად, რომ ზედიზედ მეორე ჩემპიონობა ხელიდან გაუშვას.

### ავსტრალია 9:13 ზელანდია

ბლედიუსლოუს თასის მატჩი ქვინზლენდის დედაქალაქ ბრისბენში ათი წლის შემდეგ გაიმართა. გაუმჯობესდა განახლებულ სანკორპზე დასწრების რეკორდი. მასპინძელ ვოლაბიზს ამ არენაზე ზედიზედ ცხრა ტესტი ჰქონდა მოგებული, მაგრამ კოკა წყალზე იმავე სტუმართან გაუტყდა, ვისგანაც ათი წლის წინ ბოლო მარცხი იწვნია.

ზელანდიამ ავსტრალია ზედიზედ მეოთხედ ძლია, ბოლო ოთხ წელში კი მეცხრე შეყრაზე მეშვიდედ მოუგო. კივებმა ბოლო 12 თვეში ზედიზედ მე-13 ტესტში გაიმარჯვეს, ავსტრალია კი, 2002 წლის ნოემბრის აქეთ, ულელოოდ პირველად დაშვრა. და კიდევ, თუ სამხრეთელ სტატისტიკოსებს დაეჯერებათ, ოლ ბლექსმა ზედიზედ 68-ე ისეთი მატჩი მიიყვანა გამარჯვებამდე, რომელშიც პირველი ტაიმი მოიგო.

დარი იდგა. პუბლიკის მეხუთედი ზელანდიელი იყო. მეტისმეტად პატრიოტ ქვინზლენდელებს ხაზები თეთრად კი არა, ყვითლად გაევლოთ. ახალი ჰაკას, "კაპა ოპანგოს" გამო გამართული დისკუსიის შემდეგ ოლ ბლექსმა ძველი, საუკუნოვანი "კა მატე კა ორა" შეასრულა, მუხთალმა ოზებმა კი მეზობლისგან ასეთი დათმობა არად ჩააგდეს და კიდურების ქნევითა და ღრიალით გახურებული სტუმრები ერთი წუთით გააცივეს იმით, რომ სავარჯიშო ტომრები გამოიტანეს მოედანზე და თავად მეორე, სახელდახელო მოთელვა გააჩაღეს.

### ღონივრები და აგრესიულები

მატჩში ერთადერთი ლელო კი გავიდა, მაგრამ რაგბის დონით ბრისბენის ომი წლეულს გამართულ ტესტებში უდავოდ საუკეთესო იყო. საწყის 50 წუთში ზელანდია ცოტათი ჯობდა მასპინძლებს, ბოლო ნახევარ საათში კი ჩამორჩენილი ავსტრალია გამწარდა და ასევე ოდნავ აჯობა სტუმრებს.

ოლ ბლექსმა დაცვის სიმტკიცითა და უკეთესი საშემსრულებლო ოსტატობით მოიგო: თავად ორი სალელოე შანსიდან ერთი გამოიყენა, ვოლაბიზს კი ოთხივე გაუბათილა. ოზებს შერკინებაში ვერაფერი არგო 130-კილოიანმა როძილა ბლეიქმა, მაგრამ თამაშის ბოლოსღა გამოცვალეს. სამაგიეროდ, კივებს მეორე ნახევარში დერეფანი მთლად მოეშალათ და ბურთი 6-ჯერ (!) ჩააბარეს მეტოქეს.



ზელანდიამ ავსტრალიაშიც მოიგო.

ფეხით თამაში ხშირი რომ იყო, ბურთის ფლობაში დერეფნის წილი შერკინებისაზე მეტი გამოვიდა. ბოჭვაზე მეტოქეებმა ერთმანეთი არ გაახარეს, მაგრამ ეგეც ცხადი იყო, რომ კივები უფრო ღონივრები და აგრესიულები იყვნენ, რის გამოც ოზებს წინსვლა უჭირდათ და კონტაქტშიც ბურთს მეტოქეზე ხშირად კარგავდნენ.

ირლანდიელმა რეფმა რიგიანად გაართვა თამაშს თავი და ჯარიმა თითქმის თანაბრად დანიშნა (10-9 მასპინძელთა სასარგებლოდ), მაგრამ მათგან კარში დასარტყამი ცოტა იყო. ჰოდა, სთერლინგ მორტლოქმა ოთხი ცდით სამი გოლი გაიტანა, დენ კარტერმა კი - ორით ერთი. და კიდევ, კივთა კიკერმა გარდასახვა მარცხენა კიდიდან ხომ შეაგდო და არეკნიც ისე დროულად დაჰკრა, რომ ოზებს გასამარჯვებლად ლელოს გატანა დასჭირვებოდათ და გოლის იმედად ვერ ყოფილიყვნენ.

### დერეფანში ყვირილი მორთეს

რეფმა ოლ ბლექსი ოფსაიდისთვის პირველივე წუთზე დააჯარიმა. უაგრესიულესი დაცვის წინაშე ოზმა ბეკებმა თამაში ვერ ააწყვეს და მორტლოქს ბურთი რამდენჯერმე გაუვარდა. მსაჯმა რაქში დააჯარიმა კევენ მეალამუ და მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ კიკოფზე მორტლოქს ბურთი მეალამუმვე ააცალა, აქეთ-იქით გათამაშების შემდეგ კი ჯერი კოლინზმა მოკლე ფრთაზე ძალიან უკან უპასა ჯო როკოთოკოს, ვისაც ერთი წელი იყო, ლელო ვერ გაეტანა და ჩიოდა, რაგბი ისე ვითარდება, რომ ფრთები უქმად ვრჩებითო.

"როკმა" ოვალი მაინც დაიმორჩილა, გარედან გასცდა სეხნია ელსომს, ჩახურვაზე გამოვარდილ კრის ლეითემს უგანა და აკიდებულ მეტ გიტოს ლელოში შევარდნა მოასწრო. მერე ლეითემმა ჯარიმა ალამთან გადაიტანა, მაგრამ ვოლაბიზს 5-მეტრიან დერეფანში რიჩი მაკქოუმ მოუგო ბურთი. იქვე კარტერმა მორტლოქი ხელის კვრით მოიშორა და დაცვა საკუთარი მეოთხედიდან გაარღვია, მაგრამ იჩქარა, გაგორება მოეჭრა და ლეითემს მწარედაც დაეჯახა.

პირველი მეოთხედის ბოლოს ოლ ბლექსი მეტად დაწინაურდა: კივებმა დერეფანში ისეთი ყვირილი მორთეს, რომ დაყრუებულმა ოზებმა ბურთი კარგა ხანს ვერ მოაწოდეს. მსაჯმა სტუმრებს თავისუფალი უბოძა, ამათ გაათამაშეს და იქვე ელსომი მიწაზე თამაშისთვის დაჯარიმდა. მერე ოზებმა ბევრი უტიეს და კოლინზმა ბურთის ჩაკვლისთვის მეორე ჯარიმა მიიღო, მაგრამ მორტლოქმა მარჯვენა კიდიდან მარცხნივ დაახაია.

### ჭერარდმა ორჭერ იდედლა

აქედან მოყოლებული, ავსტრალიამ ბევრად მეტი უტია, მაგრამ ვერაფრით გაიტანა გამარჯვების ლელო. 54-ე წუთზე თამაშის მადაზე მოსულმა მორტლოქმა არონ მეიჯერსა და მალილი მულიაინას შორის გაჭრა ხაზი და გრძელი პასით მარკ ჯერარდი გააჭენა. ლელო თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ოზმა იდედლა, გიარის შიშით შიგნით წავიდა და 5 მეტრის ნიშნულთან კაპიტან მაკქოუს კერძი შეიქნა. მსოფლიოს უპირველესმა მლეტელმა შებოჭილს ზედახორაში ბურთიც აართვა, მაგრამ მოგერიებული კიდეზე არ გადავიდა.

ლარქემმა ძალიან შორს გადაუგდო ტუნქირს და ეს განდაგან წავიდა, მაგრამ ორმეტრა ალი ვილიამსმა ალაგმა და როდნი სოიალომ აუტში დაარტყა. მერე მოხდა უგვანო ინციდენტი: კოლინზმა სმითს ნაწნავის ახევა დაუპირა, კივებმა კი უტიეს, უტიეს და კარტერმა რომ შეატყო, ხეირი არაფერი გვექნებაო, 25 მეტრიდან დაკრა არეკნი, რომელიც, გაგიკვირდებათ და, მის ტესტ-კარიერაში პირველი ყოფილა.

ორიოდე წუთში ვილიამსი ბოჭვაზე დაჯარიმდა და მორტლოქმა 42 მეტრიდან ისევ ოთხამდე შეამცირა ჩამორჩენა. აქ სათამაშო ბოლო მეოთხედიღა რჩებოდა. ვოლაბიზმა ერთბაშად სამი მორკინალი გამოცვალა, ოლ ბლექსმა კი - ერთი. ჰოდა, საომარი კიდევ ათი წუთი რომ იყო, ოზებმა ბურთი კიდეზე დაარტყეს, დერეფანი მოიგეს და დაიწყეს 13-ფაზიანი შტურმი, რომლის ბოლოშიც, უკვე წითელ ზოლში, ჯერარდს წინ გაუვარდა ოვალი.

### საუკეთესო მაკქოუ იყო

ზელანდიამ ვითარება კი განმუხტა, მაგრამ ცოტა ხნით. კივებმა დერეფანში ფილ ვოს ჩააბარეს ბურთი, მორტლოქმა კიდევ გაჭრა ხაზი, მაგრამ არეულმა ლარქემმა მარჯვნივ ჩალაგებულ სამ ფორვარდს ააცილა ოვალი და პასი აუტში გააკეთა. ამასობაში შეიცვალნენ ჰავბეკები და ლარქემს შეტევის გეზი კიდევ აებნა. მერე მეტ როჯერსმა სცადა შეგორება.

ბოლო წუთზე ლეითემმა როჯერსს ლელოსკენ დაუგორა, მაგრამ ამას კარტერმა უპრობლემოდ მიასწრო, სირენის შემდეგ კი ოზებმა კიდევ 100 წამი იცოდვილეს, მაგრამ ოლ ბლექსმა ყოველ ჯერზე სწორად გადააჯგუფა დაცვა და მეტოქე ცენტრს აქეთ არ გადმოუშვა. ჰოდა, 12 ფაზის შემდეგ რომ ჩაიხურა ბურთი და მსაჯმა უკანასკნელად დაუსტვინა, კივებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, რაღა თქმა უნდა, მაკქოუ ცნეს. ოლ ბლექსის კაპიტანმა მომხდარზე თქვა, ერთი-ორი გადამწყვეტი თერნოვერი გავახერხეთ; მეტოქის ბეკებისთვის კარგი შესატევი ბურთის მიცემა ჩვენთვის დამღუპველი იქნებოდა; ამიტომ სახელოები დავიკაპიწეთ და რეზერვი ბოლომდე ამოვწურეთ; ასეა, ჩვენს დროში გამარჯვება დაცვაში იჭედებაო.

### ბლედისლოუ ერთ რამედ გვიღირსო

რიჩის კოლეგამ, გრეგანმა თქვა, მაგარი მეტოქის წინააღმდეგ შანსი ცოტა გეძლევა და თუ მოგება გინდა, ისინი უნდა გამოიყენო, მაგრამ ჩვენ დღეს ხელი მოგვეცარა; ცდა არ დაგვიკლია, მეტოქეც მაგრად დაგვიდგა და წავაგეთ, რაც, რაკი სპორტსმენები ვართ, ძალიან გვწყინს, მაგრამ ისე გულიანად ვიომეთ, მარცხის არ გვრცხვენიაო.

წაგებულთა ოღრაშმა გურუმ ჯონ ქონოლმა შეგირდთა აშკარა წინსვლაზე გააკეთა აქცენტი და შენიშნა, ხომ ხედავთ, ოლ ბლექსთან ჩამორჩენა რარიგ შევამცირეთ; მსოფლიო თასამდე დარჩენილ 13 თვეში კიდევ უფრო გავძლიერდებით; ოლ ბლექსს არ ვაკნინებ, მაგრამ მოგება ნაღდად შეგვეძლო და 4-ქულიანი მარცხითაც გულს ვერ მოვიოხებთ, რადგან მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებდაო.

გამარჯვებულთა მოძღვარმა გრემ ჰენრმა კოლეგა გაკენწლა, რა კარგია, რომ ჰაკას ბოლო მოძრაობაზე უაზრო კამათის შემდეგ დიდებული მატჩი ვიხილეთ; ორივე გუნდმა სასწაულად ითამაშა; მოედანზე ნაღდი ჭადრაკი გაჩაღდა; ბიჭებმა ხასიათი და ჯიგარი გამოაჩინეს; საუკეთესო ჩვენი კაპიტანი იყო, ვინც ნაღდ ლელოს გადაგვარჩინა; ბლედისლოუს მოგებაც ძალიან მახარებს, რადგან კივეთში ეს ჯილდო მნიშვნელობით მეორეა მსოფლიო თასის შემდეგო.

*მასალა მომზადებულია საიტზე http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში სახელმძღვანელო "თავთავის" II დონის კომპლექტის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) დასაბეჭდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - სახელმძღვანელოს დაბეჭდვა და მიწოდება.
**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირების პროგრამა.

| დასახელება | გვერდების რაოდენობა | ტირაჟი |
|---|---|---|
| მასწავლებლის წიგნი | 100 | 4 000 |
| მოსწავლის წიგნი (ფერადი) | 120 | 70 000 |
| მოსწავლის რვეული | 200 | 70 000 |

- **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52
- **მიწოდების ვადები**: 2006 წლის 20 სექტემბრისათვის.

**აუცილებელი პირობა**:
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. Gგარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 21 აგვისტოს 14.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 21 აგვისტოს 14 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
**იურიდიული პირისათვის**:
ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა სასამართლოდან);**
დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან),**
ე) ბოლო სამი წლის საწარმოს ბალანსი, მოგების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციასთან ერთად (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული**).

**ფიზიკური პირისათვის**:
ა) ბოლო სამი წლის საშემოსავლო დეკლარაცია (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:
**მიმღები** - ერთიანი ანგარიში
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
**ა/ა** N 200122900
**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება - **არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში სახელმძღვანელო "თავთავის" II დონის კომპლექტის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) დაბეჭდვა.**

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:
დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

აჭარის არ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად აქვეყნებს ინფორმაციას ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

| № | შესყიდვის ობიექტი | | მიმწოდებელი | ხელშეკრულების ღირებულება, ლარი | მიწოდების სავალდებულო პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 |
| 1 | მიზნობრივი პროგრამის - "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა ჯიშობრივად გაუმჯობესებული სხვადასხვა სახის მრავალწლიანი (ვაზი, სუბტროპიკული ხურმა, კაკალი, თხილი, აქტინიდია, თუთა, აკაცია) სარგავი მასალით" განხორციელების შესყიდვა | ვაზის (15000 ჩხავერის, 5000 ალადასტურის და 5000 ოჯალეშის) ნერგის შესყიდვა | ინდ. მეწარმე "თემურ ზოიძე" | 18750 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| | | 15000 ვაზის (ცოლიკოურის) და 6000 აქტინიდიის ნერგის შესყიდვა | ს.პ.ს. "თურმანიძე" | 18000 | |
| | | სუბტროპიკული ხურმის 7500 ნერგის შესყიდვა | ინდ. მეწარმე "ავთანდილ მესხიძე" | 14250 | |
| | | 10000 თხილისა და 5000 აკაციის ნერგის შესყიდვა | შ.პ.ს. "სანერგე მეურნეობა" | 6000 | |
| | | 7000 კაკლის ნერგის შესყიდვა | შ.პ.ს. "თხილ-კაკალი" | 14000 | |
| | სულ | | | 71000 | |
| 2 | მიზნობრივი პროგრამის - "ციტრუსოვანთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხელშეწყობა" განხორციელების შესყიდვა | | შ.პ.ს. "ფერმერთა სახლი" | 148800 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| 3 | მიზნობრივი პროგრამის - „ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება" | | შ.პ.ს. "ფერმერთა სახლი" | 119546 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

# პროექტი: "აზერბაიჯანული ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს

**მულტიპლიკატორის ვაკანსიაზე (მშობლიური ენის სწავლების ახალი მეთოდიკა)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს "აზერბაიჯანული ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში". პროექტის ფარგლებში იგეგმება მულტიპლიკატორების შერჩევა, რომლებიც გაივლიან ტრენინგებს (3 ტრენინგი). მულტიპლიკატორები თავად ჩაატარებენ ტრენინგებს აზერბაიჯანული ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში;
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის სტაჟი;
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა;
- სასურველია ტრენერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების სერტიფიკატის ფლობა;
- სასურველია ახალი მეთოდოლოგიის ფლობა;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
- სასურველია კომპიუტერის ცოდნა.

**სამუშაოს ადგილსამყოფელი, ხანგრძლივობა და ხელშეკრულება:**
სამუშაო ადგილი - შესაბამისი რაიონული ცენტრი. ხელშეკრულება დაიდება 1 წლის ვადით. ანაზღაურება განხორციელდება ჩატარებული სამუშაოს მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები და სამოტივაციო წერილი (CV, Cover Letter) ქართულ ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-70-49; 95-49-52**
**el.-fosta: tinikoebanoidze@hotmail.com**
საკონტაქტო პირი **თინათინ ებანოიძე.**
განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 15 აგვისტო.

# განცხადება (ტენდერის ჩატარების შესახებ)

1. შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი" "სახელმწიფო შესაიდვების შესახებ"
საქართველოს კანონის შესაბამისად აჯხადებს ერთეტაპიან ტენდერს შემდეგზე:
2. შესასაიდი საქონლის ჩამონათვალი:
ლოტი 1 - კვების პროდუქტები.

შესაიდვის ობიექტის დასახელება შესაიდვების ობიექტის
აღწერილობა მიწოდების ადგილი
მიწოდების გრაფიკული ვადები
შ.პს. ბათუმის სამშობიარო სახლი 31.12.2006 წლამდე
1 შაქარი 1200 კგ
2 კარაქი 732 კგ
3 ფქვილი 720 კგ
4 მწვანილი 250 კგ
5 ხახვი 900 კგ
6 ბრინცი 600 კგ
7 კარტოფილი 5500 კგ
8 მაკარონი 480 კგ
9 მარილი 250 კგ
10 მანანის ბურღული 360 კგ
11 ტომატი 85 კგ
12 წიწიბურა 840 კგ
13 კომბოსტო 2160 კგ
14 სტაფილო 1800 კგ
15 ჩაი 18000 ჯ
16 ჭარხალი 960 კგ
17 საფუარი 12 კგ
18 მარგარინი 72 კგ
19 ზეთი 360 ლ
20 კაკაო 15 კგ
21 რყის ფხვნილი 960 კგ
22 ხილი 1920 კგ
23 მინერალური წყალი 05ლ 3000
24 სოდა 2 კგ
25 ქიშმიში 5 კგ
26 ნიორი 5 კგ
27 კვერჯხი 1000 ჯ
28 პური 7200 კგ
29 ხორჯი 2250 ლპ
30 ხაჭო 480 ლპ
31 არაჟანი 60 ლპ

ლოტი 2 - სადეზინფექჯიო, სარეჯხი საშუალებები და (იგიენური დანიშნულების საგნები:

საქონლის აღწერილობა რაოდენობა მიწოდების ადგილი

მიწოდების გრაფიკული ვადები
შ.პს "ბათუმის სამშობიარო სახლი"
31.12.2006 წლამდე
1 სარეცხის ფხვნილი 1740 ც
2 სახეხი ფხვნილი 960 ც
3 ტუალეტის ქაღალდი 9600 ც
4 საპონი 8400 ც
5 ახალშობილის პამპერსი 60 000 ც
6 ქალის პაკეტი 72 000 ც
7 მათეთრებელი სითხე 1320 ც
8 სარეცხი ჟელე 960 ც

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორჯიელდება ყოველთვიურად შემსაიდველიმს მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის დეკემბრის ჩათვლით.
4. მიწოდების ადგილი: ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ." 39. შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი".
5. დაინტენრესებულმა პირებმა საკვალიფიკაჯიო მონაჯემები სატენდერო წინადადებები ?დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ივლისს 10 საათიდან 21 ივლისს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე. შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი", ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ."39. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 ივლისს 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).
6. საკვალიფიკაჯიო მონაჯემები უნდა შეიჯაველ შემდეგ ჯნობებსა და ინფორმაჯიას:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) შესაიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები:
(მისამართი,ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).
ბ) იურიდიული პირის რეგისტრაჯიის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ)ჯნობა საქართველოს იუსტიჯიის სამინისტროს საცარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ჯნობა საგადასახადო ინსპექჯიიდან, რომ არ ხორჯიელდება მისი რეორგანიზაჯიაან ლიკვიდაჯია;
ე) ჯნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმყღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იავნენ მსცავრდებული და მოჯემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრით საქმიანობასთან დაკავშირებული დანაწაულისათვის;
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ჯნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიჯინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ჯნობა რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იაო მსცავრდებული და მოჯემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
6.3. როგორჯ ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ჯნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექჯიიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაჯიის საქმე;
ბ) ინფორმაჯია საგადასახადო ინსპექჯიიდან საქართველოს ბიუცეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;
გ) ჯნობა საქართველოს იუსტიჯიის სამინისტროს საცარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ჯნობა საგადასახადო ინსპექჯიიდან, რომ არ ხორჯიელდება მისი რეორგანიზაჯიაან ლიკვიდაჯია;
დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაჯემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);
7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაჯიო მონაჯემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბ.კონტრაქტორებისათვის.
8. საკვალიფიკაჯიო დოკუმენტაჯია წარმოდგენილი უნდა იაოს სამ ეგზემპლიარად. (ერთი ეგზემპლიარი დედანის ან ნოტარიულად დამლწმებული ასლის სახით).
9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაჯიო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ჯნობას და ინფორმაჯიას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;
10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაჯიაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.
11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაჯიის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეყლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. (საბანკო ანგარიშზე: მიმღები შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი", ს.ს.ბანკი "რესპუბლიკა" ბათუმის ფილიალი, კოდი 220101794 ანგ." 50000340800337 საინდიფიკაჯიო კოდი 245428434.
სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 19 ივლისამდე), მისამართზე ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ." 39. შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი".
12. ტენდერში შესაყლებელია რამდენიმე გამარცვებულის გამოვლენა, რომლებსაჯ მიენიჭებათ სახელმწიფო შესაიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯალკეული ლოტების შესრულების უფლება.
13. პრედენტენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
14. დამატებითი ინფორმაჯია დაინტერესებულ პირებს შეუყლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე ქ.ბათუმი რუსთაველის ქ." 39. ტელ 855- 58-40-00

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის განყოფილება - განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

ბ) სელექციისა და მცენარეთა დაცვის განყოფილება - განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

გ) ადილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის განყოფილება - განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი. ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არა უმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მისამართი: 6411, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 7 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 6411, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

http://www. batumibotanical. org
e-mail info@ batumibotanical. org
ტელ: 7-26-57. 899 95-04-61.

პასუხისმგებელი პილი: დარეჯან ცინცაძე.

# ექსპლუატაციის ტექნიკოსი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული კანდიდატი გაივლის მომზადებას ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცედურებში და შეიძენს უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა BTC-ს ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციისა და ინტეგრირებული მუშაობისათვის.

ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის ზოგად მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს მიეკუთვნება (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ადამიანების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) პრინციპებისადმი განუხრელი ერთგულების დემონსტრირება.
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის შენარჩუნება ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" გაცემის სისტემის დანერგვა და ობიექტზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღრიცხვის წარმოება;
- HSE-ს და წარმოების სფეროებში მოქმედი პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა;
- კომპანიის პროცედურების, ვალდებულებების და მართვის სისტემების შესრულება;
- მილსადენის ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცესების, პროცედურების და ვალდებულებების შესრულება;
- ექსპლუატაციის და ტექმომსახურების წესების ათვისების უნარის გამოვლენა;
